ლელო

ეროვნული სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 ივლისი სამშაბათი 2011

№ 173 (13470) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ თქვას, ზესტაფონო, გშორდეს! აგერ, თბილისი და მთელი საქართველო

დღეს ყველა ვართ ერთის ფანი ყველა ვართ ერთის ფონი ზე-სტა-ფო-ნი

საქართველოს, აბორიგენების ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ჯანგუზაშვილის ფოტოები

არის რეპორტაჟი!

„ლელოს" გუშინდელ ნომერში იმედი გამოვთქვით, რომ „ზესტაფონისა" და „შტურმის" თბილისური მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ავსტრიელთან ერთად ქართველი გულშემატკივარიც ნახავდა და, საბედნიეროდ, ყველაფერი ისე დასრულდა, თითოეულ ჩვენგანს რომ გაახარებს.

ამჯერად შინ დარჩენილებს ინტერნეტში თამაშის რეპორტაჟის ძებნა ალარ მოგვინევთ, შეგიძლიათ, 20 საათიდან გადართოთ „პირველ არხზე" და, რაოდენ გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, არა „ბოიმბაეს", არამედ ჩემპიონთა ლიგის მატჩს იხილავთ. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" ავსტრიულ ტელეკომპანიასთან, რომელსაც „ზესტაფონმა" თამაშის ჩვენების უფლება მიჰყიდა, გუშინ მიაღწია შეთანხმებას.

არც ის არის გამორიცხული, ტელეეთერით „შტურმისა" და „ზესტაფონის" განმეორებითი შეხვედრაც ვიხილოთ.

2

UEFA CHAMPIONS LEAGUE

შტურმი შტურმს, რომელსაც მოგება უნდა, მაგრამ ჩვენ უფრო გვინდა

MVP

ის, რაზეც ყველა ფიქრობდა

მენგელი ეკითხებოდა

12

ეპოქაა ასეთი: ლეო მესი და კრისტიანო რონალდო კვლავ ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ. თუმცა ამჯერად მათთან ერთად გახლავთ ჩავიც. „ბარსელონას" ორი და „რეალის" ერთი ვარსკვლავი უეფას ახალი გამოკითხვის, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „შორტ-ლისტში" მოხვდნენ.

საუკეთესოს 25 აგვისტოს დასახელებენ. „ბებერ კონტინენტზე" მოთამამე ვარსკვლავთა სიიდან ზემოხსენებული სამეული 53-მა ჟურნალისტმა დასახელა. თითოეული მათგანი უეფას წევრ თითო ქვეყანას წარმოადგენდა.

ცნობილია, როგორ განანილდა ადგილები ათეულში. სამეულს მოპყვნენ: ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ფალკაო (პორტუ), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), მანუელ ნოიერი (შალკე/ბაიერნი).

სამთა ვისი? მესი, ჩავი, რონალდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. ზესტაფონი-შტურმის წინ

თბილისის დრო თ ზესტაფონის დრო

შტურმის ვარჯიში; ფრანკო ფოდა (მარჯვნივ) და გიორგი ფოფხაძე პრესკონფერენციაზე

დიდი ოპტიმიზმი და დიდი დანაკარგი

ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ჯერ ქართველთა პრესკონფერენცია გაიმართა. "ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძესთან ერთად მედიის წინაშე საქართველოს ჩემპიონთა ცენტრალური მცველი მამუკა კობახიძე წარდგა. სწორედ მას მოუწევს კიშინიოვში მძიმედ დაშავებული გიორგი ხიდეშელის შეცვლა.

გეგუჩაძე: ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ამჯერად უფრო სერიოზულ მეტოქეს დავუპირისპირდებით. წარმატების მიღწევა ორივე გუნდს შეუძლია, შანსები, ვფიქრობ, 50/50-ზეა.

- ალბათ, მეტოქე უკვე შეისწავლეთ. როგორ ფეხბურთს თამაშობს "შტურმი" და რა არის მისი ძლიერი მხარე?

- საკმაოდ ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევრები არიან, გამოირჩევიან კარგი ფიზიკური მომზადებით, 90 წუთის განმავლობაში მობილიზებულნი მკაცრად იცავენ სათამაშო დისციპლინას. თუმცა ჰყავთ კრეატიული ფეხბურთელებიც. ასე რომ, "შტურმი" ყოველმხრივ მომზადებული გუნდია და განსაკუთრებული სისუსტეები არ აქვს.

- "დაჩიასთან" განმეორებითი მატჩის შემდეგ თქვით, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დაგიშავდათ.

- დღეისთვის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში გიორგი ხიდეშელია, რომელიც კიშინიოვში მიღებული ტრავმის გამო საოპერაციოა. მენისკის ოპერაცია გარდაუვალია, თუმცა არც ის არის გამორიცხული, მას ჯვარედინი მყესების პრობლემაც აღმოაჩნდეს. მოკლედ, იგი საკმაო ხნით დავკარგეთ. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა აქვს და მათ მდგომარეობას დავაკვირდებით.

- არის თუ არა თქვენთვის დიდი პრობლემა ის, რომ მატჩი არა ზესტაფონში, არამედ თბილისში ჩატარდება?

- ახალს არაფერს ვიტყვი, შეჩვეული გარემო სულ სხვაა, მაგრამ "ზესტაფონი" ქართული გუნდია და საქართველოში ითამაშებს. მოედნის ფაქტორს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

- "ზესტაფონის" წინააღმდეგ ამ კლუბის ყოფილი ფეხბურთელი გიორგი ფოფხაძე ითამაშებს.

- ნებისმიერ ქართველ ლეგიონერს, მათ შორის ფოფხაძესაც, წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ, ბუნებრივია, არა ჩვენთან თამაშში. ისე კი, იმ გუნდების წინააღმდეგ, სადაც ქართველები თამაშობენ, წარმატებას ვაღწევთ და იმედია, ეს ტრადიცია გაგრძელდება.

ზესტაფონელთა ვარჯიშამდე გია გეგუჩაძემ მამუკა კობახიძე პრესკონფერენციაზე იახლა

მენთეშას მოუწყენია...

- ქართველი გულშემატკივრები ფოფხაძეს როგორ შეხვდებიან?

- ჩვენი ქომაგები სტუმრებს თბილად ხვდებიან და ქართველს მით უფრო თბილად დახვდებიან.

კობახიძე: თითოეული ფეხბურთელი ბრძოლისთვის მზადაა. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ნამდვილად გვაქვს და მის გამოსაყენებლად ძალებს არ დავუშურებთ.

რას გავიხსენებდი? თბილისში მოედანი არც მაშინ ვარგოდა

"შტურმის" გერმანელმა თავკაცმა ფრანკო ფოდამ პრესკონფერენციაზე ფოფხაძე იახლა.

ფოფხაძე: - მოხარული ვარ, საქართველოში ჩამოსვლის საშუალება რომ მომეცა. მინდოდა, "ზესტაფონს" რაც შეიძლება ბევრი ეტაპი გადაელახა, ახლა კი მისი ქომაგობა ვეღარ გამომივა.

- როგორ შეეჩვიე ახალ გუნდს?

- "შტურმთან" კონტრაქტი დაახლოებით სამი კვირის წინ გავაფორმე, მაგრამ თავს უკვე შინაურულად ვგრძნობ. ერთი მატჩი ჩემპიონთა ლიგაში ჩავატარე, ერთიც - ავსტრიულ ბუნდესლიგაში. ჩემპიონატის შეხვედრაში გაძევებამ ხასიათი გამიფუჭა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ იმით, რომ შესანიშნავ გუნდში მოვხვდი. ავსტრიის ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერია და რაკი "შტურმი" ჩემპიონი გახდა, ესე იგი, არც იგია ხელწამოსაკრავი.

ფოდა: "ზესტაფონი" ტექნიკური გუნდია, მაგრამ შეტევა ჩვენც გვიყვარს და შევეცდებით, სასურველ შედეგს თბილისშივე მივაღწიოთ. დიდი ხანია, "შტურმს" ჩემპიონთა ლიგაში აღარ უთამაშია და ამ ტურნირზე დაბრუნება ჩვენთვის ღირსშესანიშნავი ამბავია.

- ფოფხაძის კონკურენტი დისკვალიფიცირებულია და მას, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში დააყენებთ.

- ვნახოთ. ფაქტი ის არის, რომ გიორგი ნიჭიერი და მზარდი ფეხბურთელია და "შტურმს" იოლად შეეწყო.

- როგორ გაიხსენებდით თბილისის "დინამოსთან" შარშან ევროპის ლიგაზე ჩატარებულ მატჩებს?

- უპირველესად, იმას გავიხსენებ, რომ თქვენს სტადიონზე მაშინაც და ახლაც მოედნის საფარი ცუდ მდგომარეობაშია. შარშან ამან ხელი შეგვიშალა და, ალბათ, "ზესტაფონთან" თამაშშიც ასე იქნება.

ჩემპიონთა ლიგაზე ზესტაფონი სრულიად საქართველოა

სამწუხაროდ, ფოდას უნდა დავეთანხმოთ – ეროვნული სტადიონის გაზონი არასახარბიელო მდგომარეობაშია. ახლა საკითხავი ის არის, ტექნიკური მეტოქეებიდან ეს ფაქტორი რომელს უფრო შეუშლის ხელს.

"შტურმის" ვარჯიში მხოლოდ პირველი 15 წუთის განმავლობაში იყო ღია და განსაკუთრებული ვერაფერი ვნახეთ. ამ პერიოდში ავსტრიელები მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშით იყვნენ დაკავებულნი. სანამ საშუალება იყო, ტრიბუნიდან მეტოქეს გია გეგუჩაძეც აკვირდებოდა.

მისი კოლეგისთვის კი "ზესტაფონის" ვარჯიში საინტერესო არ აღმოჩნდა. საქართველოს ჩემპიონთა წვრთნა თავიდან ბოლომდე ღია იყო. ვარჯიშმა საათზე ოდნავ მეტხანს გასტანა და ფეხბურთელებმა წინასამატჩო მზადებისთვის ჩვეული პროგრამა გაიარეს.

სრული დატვირთვით ივარჯიშეს **ალექსი ბენაშვილმა** და **შოთა ბაბუნაშვილმა**, რომლებიც მცირე პრობლემების გამო გუნდს მოლდოვაში არ გაჰყოლიან. სრულად არ დატვირთულა **თემურ ღონღაძე**, რომელიც ჯანმრთელად კია, მაგრამ "დაჩიასთან" მატჩში გაძევების გამო დღევანდელ დაპირისპირებას გამოტოვებს. მსუბუქად ივარჯიშა **გოგი ფიფიამ, ზურაბ მენთეშაშვილი** კი კვლავაც არ მომჯობინებულა.

"ზესტაფონის" დღევანდელი სასტარტო შემადგენლობა, წესით, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს: **რ. კვასხვაძე – ალადაშვილი, გ. ონიანი, კობახიძე, ელიავა – აფციაური, დაუშვილი, ძარია, გრიგალაშვილი – დვალი, გელაშვილი.**

შეგახსენებთ, დღევანდელი მატჩი 20 საათზე დაიწყება, ბილეთების უმეტესობა კი 5 ლარი ღირს. ზესტაფონიდან თბილისში ქომაგებს რამდენიმე ავტობუსი ჩამოიყვანს, ამას დედაქალაქში მცხოვრები ზესტაფონელებიც დაემატებიან და მარტო ამ ქალაქის მკვიდრნი ეროვნულ სტადიონზე ათასობით იქნებიან. "ზესტაფონი" მხოლოდ ერთი ქალაქის კი არა, მთელი საქართველოს გუნდია და დღეს მას თბილისელები და სხვა კუთხის შვილებიც მრავლად გაამხნევებენ.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა
ავტორის ფოტოები

მსაჯები: მოთელილ-მოთენილები

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ევროპის ლიგა. რეიკიავიკი VS დინამო

შორია ისლანდიამდე...

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ თბილისის „დინამოს“ მშვენიერი შანსი აქვს ევროტურნირების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახოს: ისლანდიური „რეიკიავიკი“ დამაჯერებლად კი ლიდერობს თავისი ქვეყნის ჩემპიონატში, მაგრამ ამ წყვილში ფავორიტად მაინც ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი მიგვაჩნია. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ესპანელი სპეციალისტის, **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამო“ მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს — ამის მაგალითად წინა კვირაში უელსურ „ლანელისთან“ შთამბეჭდავი გამარჯვებაც (5:0) გამოდგება. მოკლედ, „რეიკიავიკი“-„დინამოს“ შეხვედრას იმედით ველოდებით და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი გუნდის შანსებსაც უფრო მაღლა ვაფასებთ. „რეიკიავიკთან“ ალექს გარსია „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მეხუთე ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს და ისე როგორც წინა ოთხ შემთხვევაში, ოპტიმალური შემადგენლობა კვლავაც არ ეყოლება. მართალია, როგორც იქნა, დისკვალიფიკაციებს ავცდით, მაგრამ ამჯერად უკვე ტრავმირებული ფეხბურთელები დაგვაკლდებიან: 20 წლის **ლევან კაკუბავა** „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და სანყენია, რომ ისლანდიელებთან მატჩს დააკლდება; ისე, როგორც 26 წლის **ლევან ხმალაძე** და მისი თანატოლი **შოთა კაშია,** რომლებთაც ალექს გარსიას ხელმძღვანელობით ახალ სეზონში ოფიციალური მატჩი ჯერ არ ჩაუტარებიათ.

„რეიკიავიკთან“ სათამაშოდ ალექს გარსიამ 18 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები: **გიორგი ლორია, გიორგი ნადირაძე;**

მცველები: **დავით ოდიკაძე, გულვერდ თომაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი, ირუა ჰომოლა;**

ნახევარმცველები: **ალექსანდრე კოშკაძე, ნიკა კვეკვესკირი, ჩისკო, გიორგი თექთურმანიძე, ჯაბა ჯიღაური, ირაკლი ლექვთაძე, ნიკა ფირცხალავა, გოგა ბერაია;**

თავდამსხმელები: **გიორგი კახელიშვილი, რობერტინინო, კოტო, იაგუე.**

როგორც ამჩნევთ, განაცხადში ვერ მოხვდნენ **ლადო ახალაია** და **ვახტანგ ფანცხავა,** აი, **სამირ ჰაჯიბულიჩი** და **სანდრო იაშვილი** კი წინა ოთხ შეხვედრაშიც არ გამოჩენილან „დინამოს“ შემადგენლობაში...

„დინამო“ ისლანდიაში დღეს გამთენიისას გაემგზავრა, თანაც ქართულ დელეგაციას ხანგრძლივი „საჰაერო მოგზაურობაც“ მოუნევს სტამბოლისა და ლონდონის გავლით...

გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა

ისლანდიაში დინამოს ლევან კაკუბავა დააკლდება

ქართულ-ავსტრიული დაპირისპირებები

მარადიული მეჯრეე

1993 წლიდან მოყოლებული (ანუ, იმის მერე, რაც ქართული გუნდები ევროტურნირებზე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ასპარეზობენ) რომელი ქვეყნის გუნდს არ შევხვედრივართ; განსაკუთრებით ხშირად გვიწევდა ფარერელებთან, ჩრდილოირლანდიელებთან, სერბებთან, სლოვაკებთან, სომხებთან, ბერძნებთან, პოლონელებთან და ბელარუსებთან დაპირისპირება, მაგრამ განვლილი ამ 18 წლის განმავლობაში ქართული გუნდები ევროტურნირებზე ყველაზე მეტჯერ ავსტრიულ კლუბებს ხვდებოდნენ; ანუ, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გუნდებს ქართული კლუბები ხუთჯერ თუ ექვსჯერ „გადაჰყრიან“, აი, ავსტრიელებთან კი მეცხრე დაპირისპირება გველოდება! სამწუხაროდ, ევროტურნირებზე ჩვენს „მარადიულ მეტოქეებთან“ დადებითი ბალანსით თავს ვერ მოვინონებთ: აქამდე ჩატარებულ თოთხმეტ მატჩში 4 შეხვედრა მოვიგეთ, 1 ფრედ დავამთავრეთ და 9 წავაგეთ! აქედან გამომდინარე, ბურთების სხვაობაც რომ ჩვენთვის უარყოფითი იქნება, რა გასაკვირვია — 11:27...

...„აუსტრია“, „რაპიდი“, „შტურმი“, „ტროლი“, „რიდი“, „პაშინგი“, — აი, ამ ავსტრიულ გუნდებს ვეპაექრებოდით ხოლმე სხვადასხვა დროს ევროტურნირებზე; ფაქტობრივად, „ზალცბურგის“ გარდა, ყველა წამყვან ავსტრიულ გუნდს შეხვედრივართ და „შტურმს“ თუ ზედიზედ მეორედ უწევს საქართველოში ჩამოსვლა, „რიდს“ სხვადასხვა დროს სამ ქართულ გუნდთან („მერანი-91“-თან, „ვიტ ჯორჯიასთან“, „დინამოსთან“) უთამაშია.



2010 წლის 5 აგვისტო. დინამო-შტურმი 1:1

გრაცერიდან ტროლამდე

ქართულ-ავსტრიული გუნდების გზები ევროტურნირებზე 90-იან წლებამდეც გადაკვეთილა: 1981/82 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშების 1/16-ფინალში თბილისის „დინამოს“ მეტოქედ ავსტრიული „გრაცერი“ ერგო. „დინამო“ ამ გათამაშების... ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი იყო, — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 1981 წლის შემოდგომაზე დაწყებულ თასების მფლობელთა თასის ტურნირს „დინამო“ ხომ თასის მფლობელის რანგში ხვდებოდა! როგორც მოსალოდნელი იყო, **ნოდარ ახალკაცის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამოს“ არ გასჭირვებია „გრაცერის“ გზიდან ჩამოცილება: თბილისში 2:0 მოვიგეთ (გოლები **ვაჟა ყვანიამ** და **რამაზ შენგელიამ** გაიტანეს), განმეორებითი შეხვედრა კი ფრედ, 2:2 დასრულდა (დინამოელთაგან ორივე გოლი რამაზ შენგელიამ გაიტანა).

რაც შეეხება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ქართულ-ავსტრიული კლუბების პირველ დაპირისპირებას, ცოტა არ იყოს, მწარედ მოსაგონარი ფაქტია. არადა, 1993 წლის შემოდგომაზე, როდესაც თბილისის „დინამო“ უეფას თასის 1/32 ფინალში ავსტრიულ „ტიროლს“ უნდა დაპირისპირებოდა, ფეხბურთის ქართველი ქომაგი ოპტიმისტურად იყო განწყობილი მოსალოდნელი პაექრობის წინ. ამ ოპტიმიზმის „მიზეზი“ კი ჩვენი გუნდის შემადგენლობა იყო — „დინამოს“ თითქმის ყველა ფეხბურთელი ერთი წლის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენდა! იმის მიუხედავად, რომ ერთი ტაიმის განმავლობაში კაცნაკლული ვთამაშობდით, **გივი ნოდიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ“ მაინც შეძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება — ერთადერთი ბურთი **რევაზ არველაძემ** გაიტანა. აი, განმეორებით მატჩში კი სრული ფიასკო გველოდა — ავსტრიული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის, **ჰანს კრანკლის** გაწვრთნილმა „ტიროლმა“ ჩვენი გუნდი დიდი ანგარიშით (5:1) დაამარცხა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში „დინამომ“, ფაქტობრივად, ერთი ნომინალური მცველით (**ნუგზარ ლობჟანიძე**) ითამაშა, თანაც ძალიან გვაკლდა დისკვალიფიცირებული **მურთაზ შელია...**

პროვინციული რიდი და ტიტულიანი რაპიდი

„ტიროლის“ მერე იყო „რიდთან“... ზედიზედ სამი მატჩი; განსაკუთრებით პირველი დაპირისპირება გვინდა აღვნიშნოთ, როცა ევროტურნირების დებიუტანტმა, **თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „მერანი-91“-მა **მიხეილ მაზიაშვილის, დავით გოდერძიშვილისა** და **ბადრი კვარაცხელიას** გოლებით სტუმრად შეძლო ავსტრიული გუნდის დამარცხება. ქართულ-ავსტრიული სხვა დაპირისპირებებიდან „ვიტ ჯორჯიას“ ღირსეული ასპარეზობა უნდა აღვნიშნოთ: „ვეტერინარები“ სამჯერ შეხვდნენ ავსტრიულ კლუბებს და თავი არც ერთხელ შეურცხვენიათ. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით თბილისის „დინამოზე“ - 2006 წელს „ინტერტოტოს თასზე“ პროვინციულ „რიდთან“ ორივე მატჩი რომ წააგო, ცოტა არ იყოს, არ გვესიამოვნა; თუმცა, უარესი წინ გველოდა: უკვე მომდევნო წელს, როცა უეფას თასის III საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოსა და ავსტრიის ყველაზე ტიტულიანი გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, ვენის „რაპიდმა“ ჯერ თბილისში მოუგო „დინამოს“ დიდი ანგარიშით (3:0), ორი კვირის შემდეგ კიდევ უფრო შთამბეჭდავი სხვაობით გაიმარჯვა — 5:0!

ძველ-ახალი შტურმი

ზედიზედ მეორე წელია, „შტურმი“ საქართველოში ჩამოდის: შარშან, უეფას ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე **ფრანკო ფოდას** გუნდმა **ფერდინანდ ფელდჰოფერისა** და **რომან კინასტის** გოლებით თბილისის „დინამოს“ 2:0 აჯობა საშინაო მატჩში, განმეორებით შეხვედრაში კი თავისთვის სასურველ შედეგს მიაღწია (1:1). ამის შემდეგ „შტურმი“ ევროპის ლიგის პლეი-ოფში ტურინის „იუვენტუსს“ შეხვდა და ორივე მატჩში დამარცხდა (1:2, 0:1); თუმცა, გრაცელებისათვის გასული სეზონი მაინც განსაკუთრებული იყო: 12-ლიანი პაუზის მერე „შტურმი“ ავსტრიის ჩემპიონი გახდა! სულ კი „შტურმს“ სამი საჩემპიონო ტიტული აქვს - მანამდე 1998 და 1999 წლებში ხდებოდა ავსტრიაში საუკეთესო. ამას გარდა, ოთხჯერ ქვეყნის თასს დაეუფლა, სამჯერ კი - სუპერთასს. საერთოდ, „შტურმის“ ისტორიაში ყველაზე წარმატებულ პერიოდად 1994-2002 წლები მიიჩნევა, როცა გუნდის მთავარი მწვრთნელი, ცნობილი ბოსნიელი სპეციალისტი **ივიცა ოსიმი** გახლდათ. „საშინაო“ ტიტულებს თავი რომ დავანებოთ, ამ პერიოდში „შტურმი“ საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობდა ევროტურნირებზეც და ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ისახელა.

სხვადასხვა დროს „შტურმის“ ღირსება ცნობილ ლეგიონერებსაც დაუცავთ: **ჯუზეპე ჯანინის** (იტალია), **ფილიპ დე ვილდუს** (ბელგია), **დარკო მილანჩის** (სლოვენია), **სერგეი იურანს** (რუსეთი) და... **დავით მუჯირს!** ჰო, მართლაც არ არის პატარა ამბავი, როცა ავსტრიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ისტორიაში „თავისი“ ადგილი უკავია ქართველ ფეხბურთელსაც - მუჯირი ოთხი სეზონის განმავლობაში „შტურმის“ ლიდერი გახლდათ! „მუმუს“ გარდა „შტურმში“ წარმატებული კარიერა ჰქონდათ კიდევ ორ ჩვენებურსაც - **გიორგი შაშიაშვილსა** და **ილია კანდელაკს;** ამ სეზონიდან კი „შტურმში“ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხა - 24 წლის მარცხენა მცველი **გიორგი ფოფხაძე.**

შარშანდელთან შედარებით „შტურმის“ შემადგენლობა, ფაქტობრივად არ შეცვლილა და გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ერთი ფეხბურთელი წავიდა — ხორვატიის ნაკრების 26 წლის მცველი **გორდონ შილდენფელდი** (ფრანკფურტის „აინტრახტში“ გადავიდა). რაც შეეხება ახალწვეულებს, ფოფხაძის გარდა „შტურმმა“ 22 წლის ხორვატი ფორვარდი **დარკო ბოდული** დაიმატა. თუმცა, ამ უკანასკნელს ძირითადში მოხვედრა გაუჭირდება, რამეთუ „შტურმს“ თავდასხმის ხაზში ერთი-მეორეზე გამოცდილი ფორვარდები ჰყავს: 36 წლის **მარიო ჰაასი,** 30 წლის **იმრე საბიჩი** (უნგრეთი) და 27 წლის **რომან კინასტი.** „შტურმის“ ლიდერებად უნდა მივიჩნიოთ სხვა ფეხბურთელებიც: 29 წლის მეკარე **კრისტიან გრატცეი,** 31 წლის მცველი **ფერდინანდ ფელდჰოფერი** და 35 წლის ბოსნიელი ნახევარმცველი **სამირ მურატოვიჩი.** აქვე, იმასაც შეგახსენებთ, ახლახან დაწყებულ ავსტრიის ჩემპიონატის მეორე ტურში „შტურმმა“ ფრედ (2:2) ითამაშა „მატერსბურგთან“ (გოლები კინსტმა და მურატოვიჩმა გაიტანეს). „ზესტაფონთან“ მატჩის წინ „შტურმის“ თავკაცმა, გერმანელმა სპეციალისტმა **ფრანკო ფოდამ** ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა; თანაც, ახალ გუნდში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა გიორგი ფოფხაძემ, რომელმაც 69-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნიდან გააძევეს...

უეფას თასი. 1/32 ფინალი

დინამო-ტიროლი 1:0

13.09.1994. თბილისი. ეროვნული. 50000 მაყურებელი.

1:0 რ. არველაძე (40)

დინამო: ზოიძე-ნ. ლობჟანიძე, ნემსაძე, შელია-ყაველაშვილი (88. ცქიტიშვილი), ინალიშვილი, ჯაბარაული, ქინქლაძე, რ. არველაძე-ა. არველაძე (90. დიდავა), შ. არველაძე

გაფრთხილება: შელია

გაძევება: შელია

არბიტრი: მ. პირო (ბელგია)

ტიროლი-დინამო 5:1

27.09.1994. ინსბრუკი. „ტიროლი“.

1:0 ჩერნი (4), 2:0 შტიოკერი (32), 3:0 დანეკი (35), 3:1 შ. არველაძე (36), 4:1 დანეკი (56), 5:1 იანეშიტცი (88)

დინამო: ზოიძე-რევიშვილი (84. კიკნაძე), ნემსაძე, ნ. ლობჟანიძე-ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული (74. ანჩაბაძე), ქინქლაძე, რ. არველაძე-ა. არველაძე, შ. არველაძე

ინტერტოტოს თასი

რიდი-მერანი 91 1:3

13.07.1997. რიდი

0:1 მაზიაშვილი (6), 0:2 გოდერძიშვილი (17), 1:2 ჯანსენი (39), 1:3 კვარაცხელია (54)

მერანი-91: გვენცაძე-ივანიშვილი (76. გოგიტაძე), ქველაძე, სიდამონიძე, დ. კაკუბავა-მაზიაშვილი (87. დ. ჯიშკარიანი), გოგობერიშვილი (77. დავითაშვილი), კ. მელქაძე, ბ. კვარაცხელია-ბ. ამბროძე-გოდერძიშვილი

ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

ვიტ ჯორჯია-რიდი 1:0

16.06.2001. თბილისი. ეროვნული.

1:0 გოგობერიშვილი (51).

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე-საჯაია, ჭანკოტაძე, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი-ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, დიღმელაშვილი, გ. ყიფიანი (46. არეშიძე)-ლ. მელქაძე (79. ინნკირველი), ზ. მეტრეველი (46. ადამია)

გაფრთხილება: ფოსტერი, ნენტვიჩი

გაძევება: საჯაია

არბიტრი: ა. იოში (უნგრეთი)

რიდი-ვიტ ჯორჯია 2:1

23.06.2001. რიდი. „დერ შტატდერ“.

0:1 მელქაძე (14). 1:1 ანგერშმიდი (17), 2:1 ლოუერსი (79)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე-ინნკირველი, ჭანკოტაძე, თ. კობიაშვილი, დ. დოლიძე (67. ფეიქრიშვილი)-ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, დიღმელაშვილი, გ. ყიფიანი-ადამია (60. არეშიძე), ლ. მელქაძე (90. ზ. მეტრეველი).

გაფრთხილება: გოგობერიშვილი

გაძევება: გოგობერიშვილი

არბიტრი: სიპაილო (ლატვია)

ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

პაშინგი -ვიტ ჯორჯია 1:0

22.06.2003. შვანენშტადტი. 700 მაყურებელი

1:0 გლიდერი (66)

ვიტ ჯორჯია: მერლანი-გ. კვახაძე, ინნკირველი, ჯ. მუჯირი, ო. გველესიანი-დ. დოლიძე, დ. ნოზაძე, დიღმელაშვილი (79. მარცვალაძე), გოჩაშვილი-ე. მერებაშვილი (90. დ. ბოლქვაძე), ლ. მელქაძე (86. პ. დათუნაიშვილი)

არბიტრი: ს. იარეჩი (ალბანეთი)

ვიტ ჯორჯია-პაშინგი 2:1

28.06.2003. თბილისი. ეროვნული. 5000 მაყურებელი

1:0 მელქაძე (53), 1:1 ხორვატი (62), 2:1 ე. მერებაშვილი (90)

ვიტ ჯორჯია: მერლანი-ლ. მერებაშვილი (26. პ. დათუნაიშვილი), ინნკირველი, ჯ. მუჯირი, ო. გველესიანი-დ. დოლიძე, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გოჩაშვილი (70. ე. მერებაშვილი)-ლ. მელქაძე, მარცვალაძე

გაფრთხილება: დათუნაიშვილი, ნოზაძე

არბიტრი: რ. მალეკი (პოლონეთი)

ინტერტოტოს თასი. II ეტაპი

რიდი-დინამო 3:1

01.07.2006. გრაცი. 4800 მაყურებელი

1:0 კლასპერი (7), 1:1 გრიგალაშვილი (37), 2:1 დრეშლერი (47), 3:1 სეო (80)

დინამო: გრიშიკაშვილი-ამბროზიო, შ. კაშია, გიგაური, თომაშვილი-გრიგალაშვილი (88. ზ.მ. ჯანამია), ჩირიკაშვილი, ხუციშვილი (52. კ. მახარაძე), კობახიძე-ს. იაშვილი, ბობოხიძე (58. დვალი).

გაფრთხილება: კასტნერი; გიგაური, კობახიძე

არბიტრი: დ. სტანიშიჩი (სერბეთი)

დინამო-რიდი 0:1

09.07.2006. თბილისი. მ. მესხი. 5500 მაყურებელი

0:1 დრეშლერი (67).

დინამო: გრიშიკაშვილი-ამბროზიო, შ. კაშია, თომაშვილი, ნავალოსკი (62. ბობოხიძე)-გრიგალაშვილი (69. ზ.მ. ჯანამია), ხმალაძე (52. ჩირიკაშვილი), ხუციშვილი, კობახიძე-დვალი, ს. იაშვილი.

გაფრთხილება: ნავალოსკი, ჩირიკაშვილი, შ. კაშია; ბრენერი,

არბიტრი: მ. ვოთბი (უელსი)

უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო-რაპიდი 0:3

16.08.2007. თბილისი. მ. მესხი. 7000 მაყურებელი

0:1 ფაბიანო (24), 0:2 ჰოფმანი (39), 0:3 ბაზინა (53)

დინამო: ოვონო (37. ლორია) — შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია-ფეიქრიშვილი (76. ხუციშვილი), ოდიკაძე, ხმალაძე, კობახიძე (46. სპასოვევიჩი)-გ. მერებაშვილი, აკირემი

გაფრთხილება: ოდიკაძე, ოვონო, შ. კაშია, სპასოვევიჩი, კრშკო, ხუციშვილი; ტონოფერი

არბიტრი: ტ. მიკულსკი (პოლონეთი)

რაპიდი-დინამო 5:0

30.08.2007. ვენა. „ერნსტ

ჰაპელი“. 15000 მაყურებელი

1:0 ბაზინა (30), 2:0 ბილიჩი (54), 3:0 ჰოფმანი (59), 4:0 კავლაკი (73), 5:0 ჰოფმანი (75)

დინამო: ლორია-გ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დოლბეში-დიღმელაშვილი (56. კობახიძე), ხმალაძე-ფეიქრიშვილი, ხუციშვილი (86. ფირცხალავა), გ. მერებაშვილი-აკირემი (61. სპასოვევიჩი)

გაფრთხილება: ხუციშვილი, ზელიჩი

ევროპის ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

აუსტრია -ვიტ ჯორჯია 2:0

28.08.2008. ვენა. „ფრანც ჰორი“

1:0 ჰატენბერგერი (26), 2:0 ოკოტი (74)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი-ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე-გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, გ. მელქაძე (90. მაისაშვილი), კლიმიაშვილი (82. კვალინძე)-ლიპარტია, ვ. კვარაცხელია (67. ლუჭაშვილი)

გაფრთხილება: კრამერი; კლიმიაშვილი, კვარაცხელია, კვახაძე, ლუჭაშვილი

არბიტრი: ჯ. ატარდი (მალტა)

შენიშვნა: **უეფას გადაწყვეტილებით მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდა.**

ევროპის ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი

შტურმი-დინამო 2:0

29.07.2010. გრაცი. „უსკ-არენა“. 4700 მაყურებელი

1:0 ფელდჰოფერი (49), 2:0 კინასტი (59)

დინამო: ლორია-კახელიშვილი, თომაშვილი, კაკუბავა, ხმალაძე-ფირცხალავა (60. რობერტინიო), ედნილსონი-ჯუფისი, თექთურმანიძე, კოშკაძე-ზ. მეტრეველი (86. სიხარულიძე)

გაფრთხილება: კინცლი; ფირცხალავა

არბიტრი: ჰ. კაასიკი (ესტონეთი)

დინამო-შტურმი 1:1

05.08.2010. თბილისი. ეროვნული. 5000 მაყურებელი

1:0 რობერტინიო (11), 1:1 მურატოვიჩი (40)

დინამო: ლორია-კახელიშვილი, თომაშვილი, კაკუბავა, ხმალაძე-ედნილსონი, კოშკაძე-რობერტინიო (83. გეთიაშვილი), თექთურმანიძე (77. მამუჩიშვილი), ჯუფისი (69. გ. გველესიანი)-ვანაძე.

გაფრთხილება: კაკუბავა, ვანაძე; შინდეფელდი, ვებერი

გაძევება: კახელიშვილი, ხმალაძე

არბიტრი: მ. მაჯიჩი (სერბეთი)

● ჩვენი ევროისტორია

აშკარა-დასაჯერებელი: სამშაბი ჯმაყოფილება

2009 წელი. ზესტაფონი-ჰელსინგბორგი 1:2

სასიამოვნო რეალობა და საუკეთესონი პოსტსაბჭოეთში

...იმის მტკიცება, რომ ქართულმა ფეხბურთმა არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, გადაჭარბებულია; თუმცა ვერც სასიამოვნო რეალობას გავექცევით: ქართული გუნდებისათვის ევროტურნირები კვლავაც გრძელდება! ეგ კი არა, დიდი შანსია, რომ ეს მართლაც სასიამოვნო რეალობა, სულ მცირე, ერთი თვით გაგრძელდეს; ყოველ შემთხვევაში, ევროტურნირებს შემორჩენილი სამი ქართული გუნდიდან ორს („ზესტაფონსა“ და „დინამოს“) რეალურად ხელეწიფება მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა და პლეი ოფში გასვლა. აქედან კი ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე ხომ ერთადერთი „ნაბიჯი“ რჩება...

... დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ქართული გუნდები ევროტურნირებზე 1993 წლიდან ასპარეზობენ და ჯერჯერობით საუკეთესო შედეგად თბილისის „დინამოს“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა რჩება. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა ამ წარმატებას 2004 წელს, **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით მიაღწია და ვიდრე ჯგუფურ ეტაპამდე მივიდოდა, „დინამომ“ სამი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა. ამას გარდა, ამ 18 წლის განმავლობაში ერთი-ორჯერ სხვა „გამონათებებიც“ გვქონია ევროტურნირებზე, მაგრამ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სამ ქართულ გუნდს ეასპარეზოს, მსგავსი არასდროს მომხდარა! ჰო, მართლაც საამაყოდ გვაქვს საქმე: რამდენჯერმე კი არა, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, ქართული გუნდებისათვის ევროტურნირები... პირველ ან მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობით მთავრდებოდა. ორჯერ კი ისე მოხდა, პირველსავე ეტაპზე გამოეთიშნენ ასპარეზობას! პირველი ასეთი კოშმარი 2000 წლის ზაფხულში გვქონდა, როცა ვერც ერთმა ჩვენმა გუნდმა საწყისი ეტაპი ვერ დაძლია: ჩემპიონთა ლიგაზე მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედო“ ორი მატჩის ჯამში სერბულ „ცრვენა ზვეზდასთან“ დამარცხდა (0:4, 2:0), ასევე წარუმატებლად იასპარეზეს უეფას თასზე „ვიტ ჯორჯიამ“ და „ლოკომოტივმა“, შესაბამისად ებრაულ „ბეითარსა“ და სლოვაკურ „სლოვანს“ რომ ვერ აჯობეს; თუმცა, უფრო დიდი იმედგაცრუება „ინტერტოტოს თასზე“ გვქონდა, როცა თბილისის „დინამომ“ ბელგიური „სტანდარდის“... მესამე შემადგენლობას ვერ აჯობა (2:2, 1:1) და გათამაშებას პირველსავე რაუნდში გამოეთიშა...

ანალოგიური სიტუაცია იყო 2003 წელსაც. როცა ოთხივე ქართული გუნდი ასპარეზობას პირველსავე ეტაპზე ჩამოშორდა; ჩემპიონთა ლიგაზე თბილისის „დინამო“ მონაწილეობდა და პირველი მატჩის მერე სოლიდური უპირატესობაც ჰქონდა — ალბანურ „ტირანას“ 3:0 მოუგო; თუმცა, განმეორებით მატჩში „ტირანამ“ ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა და მერე, პენალტების სერიაშიც გვაჯობა! უეფას თასზეც არანაკლებ ფიასკო გველოდა: ქუთაისის „ტორპედომ“ ორივე მატჩი წააგო ფრანგულ „ლანსთან“ (0:3, 0:2), ისე როგორც ევროტურნირების დებიუტანტმა „სიონმა“ — ბოლნისელები არაფრით გამორჩეულ სლოვაკურ „პუხოვთან“ ორივე შეხვედრაში უშანსოდ იყვნენ (0:3, 0:3). შედარებით ღირსეულად იასპარეზა „ინტერტოტოს თასზე“ „ვიტ ჯორჯიამ“, მაგრამ ორი მატჩის ჯამში ავსტრიული „პაშინგს“ ვერ აჯობა (0:1, 2:1). მოკლედ, წლევანდელი ევროტურნირები დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ; თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი შანსია, რომ ქართულმა გუნდებმა ეს წარმატებული სვლა კვლავაც გააგრძელონ.

... ცხოვრებისა არ იყოს, ფეხბურთშიც ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ... შედარებითია; ჰოდა, გადავხედოთ ევროტურნირებს შემორჩენილ გუნდებს და ვნახოთ, თუ რამდენი წარმომადგენელია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან; უკრაინასა და რუსეთს „თავი დავანებოთ“ (იმათ საკლუბო რეიტინგამდე მართლაც ბევრი გვიკლია) და სხვებს თუ „გავეჯიბრებით“, აღმოჩნდება, რომ საუკეთესო შედეგი ჩვენ გვქონია! ანუ, საქართველო თუ სამი გუნდით ხვდება ევროტურნირების მესამე საკვალიფიკაცი ეტაპს, სხვებს თითო ჰყავთ შემორჩენილი: ჩემპიონთა ლიგაზე ლიტვური „ეკრანასი“ და ბელარუსის „ბატე“, ხოლო უეფას თასზე ყაზახური „აქტობე“, აზერბაიჯანული „ყარაბაღი“ და ლატვიური „ვენტსპილსი“.

ღირსეული ჩემპიონის ევროპული ამგზიცია

როგორც უნდა მორჩეს „ზესტაფონისა“ და „შტურმის“ დაპირისპირება, **გია გეგუჩაძის** გუნდი მაინც გააგრძელებს ევროტურნირებზე ასპარეზობას; რა თქმა უნდა, ვისურვოთ, რომ „ზესტაფონმა“ წარმატებით დაძლიოს ავსტრიული „ბარიერი“, — ასეთ შემთხვევაში ხომ ჩვენი ქვეყნის მართლაც ღირსეულ ჩემპიონს ყველა ქართველი ქომაგისათვის სანუკვარ მიზნამდე (ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე) ერთი ნაბიჯილა დარჩება! უარეს შემთხვევაში (ანუ, „შტურმის“ ვერდაძლევას ვგულისხმობთ) „ზესტაფონი“ ამჯერად უკვე ევროპის ლიგის პლეი ოფში გააგრძელებს ასპარეზობას და აქაც ერთადერთი რუბიკონილა იქნება დასაძლევი, რათა ჩვენი გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდეს. „ზესტაფონი“ ევროტურნირებზე მეხუთედ მონაწილეობს და, ფაქტობრივად, ყოველ წელს აუმჯობესებს შედეგს; სადებიუტო ციკლი წარუმატებელი აღმოჩნდა: 2007 წლის ზაფხულში, „ინტერტოტოს თასზე“ მოასპარეზე „ზესტაფონი“ ორი მატჩის ჯამში დამარცხდა ყაზახურ „ტობოლთან“(0:3, 2:0); მომდევნო წელს „ზესტაფონი“ უეფას თასზე მონაწილეობდა, მაგრამ გათამაშებას პირველ საკვალიფიკაციო რაუნდშივე გამოეთიშა: უნგრულ „დიორ ეტოსთან“ სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა, შინ კი 1:2 დამარცხდა. ამის შემდეგ „ზესტაფონისათვის“ პირველი ეტაპის გავლა პრობლემას არ წარმოადგენდა: 2009 წელს ჩრდილოირლანდიურ „ლისბერნს“ ორივე მატჩში შთამბეჭდავი ანგარიშით (5:1, 6:0) აჯობა, მეორე ეტაპზე კი... წამები დააკლდა, სახელგანთქმული **ჰენრიკ ლარსონის** „ჰელსინბორგი“ რომ გამოეთიშა! შეგახსენებთ, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდმა შინ 1:2 წააგო შვედურ გუნდთან, სტუმრად კი 2:0-ს იგებდა და მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის დამთავრებამდე ათიოდე (!) წამი რომ რჩებოდა, მაშინ გაუშვა საკუთარ კარში გოლი; მერე, შვედებმა დამატებით დროში ერთი ბურთი კიდევ გაიტანეს და მომდევნო ეტაპზეც გავიდნენ. რაც შეეხება შარშანდელ ევროტურნირებს, „ზესტაფონმა“ უპრობლემოდ დაძლია ევროპის ლიგის I და II საკვალიფიკაციო ეტაპი: ჯერ სან-მარინოს „ფაეტანოს“ აჯობა, მერე კი — სლოვაკურ „ბისტრიცას“; „ზესტაფონი“ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლვოვის „კარპატსაც“ ღირსეულად ეთამაშა, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე ბევრად უფრო გამოცდილი უკრაინული გუნდის ძლევა ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, „კარპატი“ ამის შემდეგ ჯგუფურ ეტაპზეც მოხვდა და იქაც საკმაოდ წარმატებით ასპარეზობდა...

გია ტუხაშვილი

ზესტაფონი ევროტურნირებზე

2007 წელი

ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

ტობოლი (ყაზახ.)-ზესტაფონი 3:0

გოლები: ჟუმასკალიევი, ბალტიევი, ბაკაევი

ზესტაფონი-ტობოლი 2:0

გოლები: საჯაია, კ. ჩხეტიანი

2008 წელი

უეფას თასი

I საკვალიფიკაციო რაუნდი

დიორი ეტო (უნგრ.)-ზესტაფონი 1:1

გოლები: ბოორი; ვიეირა

ზესტაფონი-დიორი ეტო 1:2

გოლები: ბ. გოცირიძე; იოჟი, პაკოლიჩი

2009 წელი

ევროპის ლიგა

I საკვალიფიკაციო ეტაპი

ლისბერნი (ჩრ. ირლ.)-ზესტაფ. 1:5

გოლები: უილანი; გელაშვილი (2), გრიგალაშვილი (2), აფციაური

ზესტაფონი-ლისბერნი 6:0

გოლები: დვალი (3), ბენაშვილი (2), გელაშვილი

II საკვალიფიკაციო ეტაპი

ზესტაფ.-ჰელსინგბორგი (შვედ.) 1:2

გოლები: ბენაშვილი; იონსონი, ლარსონი

ჰელსინგბ.-ზესტაფონი 1:2 (დ.დ. 2:2)

გოლები: ეკსტრანდი, სუნდინი; დვალი, გელაშვილი

2010 წელი

ევროპის ლიგა.

I საკვალიფიკაციო ეტაპი

ზესტაფონი-ფაეტანო (სან-მარ.) 5:0

გოლები: დვალი-2, გელაშვილი-2, გორგიაშვილი

ფაეტანო-ზესტაფონი 0:0

II საკვალიფიკაციო ეტაპი

ზესტაფონი-ბისტრიცა (სლოვაკ.) 3:0

გოლები: დვალი-2, ძარია

ბისტრიცა-ზესტაფონი 1:0

გოლი: დურისი

III საკვალიფიკაციო ეტაპი

კარპატი (უკრაინა)-ზესტაფონი 1:0

გოლი: ხუდობიაკი

ზესტაფონი-კარპატი 0:1

გოლი: კოჟანოვი

2011 წელი

ჩემპიონთა ლიგა.

II საკვალიფიკაციო ეტაპი

ზესტაფონი-დაჩია (მოლდოვა) 3:0

გოლები: დვალი-2, გელაშვილი

დაჩია-ზესტაფონი 2:0

გოლები: პოპოვიჩი, ორბუ

● ამბები

ერთიანი ინფორმაცია

ვიტ ჯორჯიამ ოფლიანობა

“ვიტ ჯორჯიამ” თურქულ შეკრებაზე მესამე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და თუკი პირველ ორში გაიმარჯვა, ამჯერად ფრეს დასჯერდა. თურქეთის რანგით მეორე ლიგის ბინადარ “ელაზიგსფორთან” ქართველებმა 0:0 ითამაშეს.

როგორც ვეტერინართა ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, თამაში თანაბარი იყო და საგოლე შანსები ორივე გუნდმა გაუშვა ხელიდან.

“ვიტ ჯორჯიამ” ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე (46. ვაშაკიძე), ჯანელიძე, ზაქრაძე (46. ჯუღელი) - ჩიმაკაძე (85. ლობჯანიძე).**

ლევან ჯანეზაშვილი

ასწორებს: ესე იგი, საფრის დრო

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები სწრაფი ტემპით გრძელდება და შეიძლება ითქვას, უკვე გადამწყვეტ ფაზაშიც შევიდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სრული დატვირთვით მიმდინარეობს VIP და პრესლოჟების სარემონტო სამუშაოები. ორივე ლოჟის სტრუქტურა და განლაგება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

თითქმის მთლიანად შეიცვალა გასახდელების ბლოკიც. განახლებულ “მიხეილ მესხზე” საპრესკონფერენციო დარბაზი გასახდელების გვერდით მოეწყობა, რაც ჟურნალისტებს საქმეს საგრძნობლად გაუადვილებს. თუკი ადრე მედიის წარმომადგენლებს, მწვრთნელებსა თუ სპორტსმენებს ერთმანეთთან შესახვედრად მოედნის გადაკვეთა ან სტადიონისთვის ნახევარი წრის შემოვლა უწევდათ, ამიერიდან მსგავსი დისკომფორტი აღარ შეექმნებათ.

გასახდელების ბლოკის რეაბილიტაციისას საკმაოდ უსიამოვნო პრობლემებმა იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ თითქმის უფუნქციო იყო საკანალიზაციო სისტემა და ფეკალური მასები მიწაში ჩადიოდა. ამის გამო, საჭირო გახდა მიწის დიდი ნაწილის ამოღება და ახალი საკანალიზაციო სისტემის გაკეთება.

შეგახსენებთ, რომ ვაკის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები უეფას სტანდარტების ზედმიწევნით დაცვით მიმდინარეობს. სფფ-ის მიზანია, სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სტადიონს იმდენი ვარსკვლავი მიენიჭოს, რამდენიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის თამაშებისა და სხვა უმაღლესი დონის მატჩების ჩასატარებლადაა საჭირო.

ყველაზე სასიამოვნო სიახლე კი ისაა, რომ გუშინ თბილისში ბალახის ახალი საფრის ჩამოტანას ელოდნენ. ბერძნული კომპანია გაზონის დაგებას დაუყოვნებლივ შეუდგება. სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება და ახალი მინდორი ექსპლუატაციაში დაგეგმილ ვადაში შეკ.

ლევან ჯანეზაშვილი

ბორპედო სლოვენიაშია

ქუთაისის “ტორპედო” მოსამზადებელი ეტაპის ბოლო შეკრების გასავლელად სლოვენიაში გაემგზავრა. გუნდის ახალმა მწვრთნელებმა, **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** იქ შემდეგი ფეხბურთელები იახლეს:

მეკარეები: **ომარ მიგინეიშვილი, მაქსიმე ქვილითაია;**

მცველები: **სევასტი თოდუა, დაჩი ფოფხაძე, თეიმურაზ ფარულავა, რევაზ ქემოკლიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, მიხეილ ჩხარტიშვილი, ნუკრი მანჩხავა, გიორგი გურული, ცოტნე ხარაბაძე, ვაჟა ტაბატაძე;**

ნახევარმცველები: **დავით დიღმელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, თორნიკე თარხნიშვილი, გიორგი კუხიანიძე, გიორგი სეთურიძე, გივი იოსელიანი, დავით კირკიტაძე;**

თავდამსხმელები: **გიორგი მეგრელაძე, ნიკა საბანაძე, რევაზ გოცირიძე.**

სლოვენიაში იმერელთა სპარინგპარტნიორები იქნებიან ჰაიფის “ჰაპოელი”, ბელგრადის ოფკ და კრაიოვას “უნივერსიტატია”.

ლევან ჯანეზაშვილი

უჩას კრივგასი კარგად უჩანს

უჩა ლობჟანიძე

უკრაინული პრემიერლიგის ბოლო ტურში “კრივგასმა” სტუმრად 3:1 სძლია “ილიჩივეცს”. გამარჯვებულთა გუნდში **უჩა ლობჟანიძემ და ჯაბა კანკავამ** ითამაშეს. ინტერნეტგვერდმა “უა-ფუტბოლმა” ლობჟანიძის თამაშს მაღალი შეფასება მისცა და ქართველი მცველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

როგორც ჩანს, უჩას “დნიპროდან” “კრივგასში” გადასვლა ძალიან ნაადგა. იმედია, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც აღარ შეაწუხებს და საქართველოს ნაკრებსაც დაუბრუნდება. ტრავმების გამო მან წლეულს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ერთხელაც ვერ ითამაშა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლიგა 1. სეზონის წინ

ფრანგული ტრანსფერები

აიაჩო

მოვიდნენ: მეჰდი მოსტეფა (ნიმი), პოლ ლასნე (ბორდო), ფრედერიკ სამარიტანო (ოსერი), სამუელ ბუჰური (ლე მანი), გილერმე ოჩოა (ამერიკა, მექსიკა), ლეიტი ნდიაი (მარსელი, იჯარა)

წავიდნენ: ჟან-ფრანსუა რივიერი (კლერმონი), ჟულიენ ვიალე (ლავალი), ლორან ბერნარდი, ტოფიკ გერაბი, ბილი მოდესტი

ბორდო

მოვიდნენ: დავიდ ბელიონი (ნიცა, იჯარა დაუმთავრდა), ნიკოლა მორის ბელე (სოშო), ლანდრი ნგემო (ნანსი), გრეგორი სერტიკი (ლანსი, იჯარა დაუმთავრდა), აბდუ ტრაორე (ნიცა, იჯარა დაუმთავრდა)

წავიდნენ: ანდრე (დინამო, კ. უკრაინა, იჯარა დაუმთავრდა), ფერნანდო კავენაგი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ულრიხ რამე (სედანი), მატიე სონიე (ტრუა), ფერნანდო (აღ შაბაბი, საუდის არაბეთი), პოლ ლასნე (აიაჩო), პიერ დუკასი (ლანსი), ალუ დიარა (მარსელი)

ვალანსიენი

მოვიდნენ: მოდი ტრაორე (ავრი, იჯარა დაუმთავრდა), კენი ლალა (პარი),

წავიდნენ: ჟონატან ლაკური, ნიკოლა პალუა (ლავალი, იჯარა დაუმთავრდა), გრეგორი ვიმბე (კარიერა დაასრულა)

დიჟონი

მოვიდნენ: იუსეფ ტუატი (კანი, იჯარა დაუმთავრდა), იუნეს სანარე (პსჟ), ბრის ჟოვიალი (ავრი), ბაპტისტ რეინე (მარტიგი), სედრიკ ვარო (პანიონიოსი, საბერძნეთი), ზაჰარია დიალო (შარლერუა, ბელგია), კრისტოფერ ჟურო (ჟანშე), გრეგორი ტილი (ბულონი), სამუელ სუპრაიენი (რენი), აბდულა მეიტე (ვესტ ბრომვიჩი), ტომას ჟუბერი (ლუზენა), დაისუკე მაცუი (გრენობლი)

წავიდნენ: ჟერომ მარტენი (ორლეანი), შარლი ფომენი (მარსელი, იჯარა დაუმთავრდა), ნიკოლა სეგინი (ლიონი, იჯარა დაუმთავრდა), ფლორან ოჟიე (რასინგი, იჯარა დაუმთავრდა), სებასტიან რიბასი (ჯენოა, იტალია), სტეფან მორისო (რუანი), ფრანკ გარდელი, მიკაელ ისაბე (კარიერა დაასრულა)



ლორიანიდან კევინ გამეიროს პარი სენ-ჟერმენში გადასვლა ჯერჯერობით სეზონის ყველაზე საინტერესო ტრანსფერად რჩება

კანი

მოვიდნენ: ლივიო ნაბაბი (ლავალი, იჯარა დაუმთავრდა), პიერ-ალან ფრო (ლილი), ფრედერიკ ბულო (მონაკო)

წავიდნენ: იოან მოლო (მონაკო, იჯარა დაუმთავრდა), ისმაილა ნდიაი (კორტრეიკი, ბელგია) პაბლო ბარბოსა, ჟულიენ ტუდიკი (ლანსი), იუსეფ ელ არაბი (აღ ჰილალი, საუდის არაბეთი)

ლილი

მოვიდნენ: ვენსან ენიემა (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), დიმიტრი პაიე (სენტ-ეტიენი), მარკო ბაშა (ლოკომოტივი, მ. რუსეთი), დავიდ როზენალი (ჰამბურგი, გერმანია), ბენუა პედრეტი (ოსერი), რონი ვოდელენი (ნანტი), ლორან ბონარი (მონაკო)

წავიდნენ: ჟერვინიო (არსენალი, ინგლისი), ლუდოვიკ ბუტელიე (არლი), პეტერ ფრანკარი (მონსი, ბელგია), იოან კაბაი (ნიუკასლი, ინგლისი), ნიკოლა ფოვერკი (სედანი), პიერ-ალან ფრო (კანი), სედრიკ ბასეია (შერბური), ადილ რამი (ვალენსია, ესპანეთი), ემილ ლიუნგი (ლოზანა, შვეიცარია), ემერსონი (ბენფიკა, პორტუგალია), სტეფან დიუმონი (მონაკო), არნო სოკე (პარიზი, იჯარით)

ლორიანი

მოვიდნენ: ჟერემი ალიადიერი, კევინ მონეპაკე (ლანსი), მატიე კუტადე (მონაკო), პედრინიო (აკადემიკა კოიმბრა, პორტუგალია), ადამა ტურე (პსჟ), ფლორან შაინიო (ლე პუარ სუ ვი), ჟულიენ კერსია (ოსერი), ლუკას მარეკი (ინდეპენდიენტე, არგენტინა)

წავიდნენ: ფრანსის კოკლენი (არსენალი, იჯარა დაუმთავრდა), ანტუან ბურონი, რაფიკ ბურდებალი, ალბან ჟუანელი, გიიომ გეჟუსი, ჟერემი მორელი, მორგან ამალფიტანო (ორივე მარსელი), კევინ გამეირო (პსჟ), ლიონელ კაპონე (ბრესტი), ჯეიმს ფანჩონე (ავრი), ფრანკო სოსა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), ოლივიე მონტერუბიო (კარიერა დაასრულა)

მონაელიე

მოვიდნენ: რემი კაბელა (არლი, იჯარა დაუმთავრდა), გრეგორი ლაკომბი (მონაკო, იჯარა დაუმთავრდა), ანრი ბედიმო (ლანსი)

წავიდნენ: ქსავიე კოლენი (კარიერა დაასრულა), რომენ არმანი (კლერმონი), ანტონი სკრიბი, მიკაელ ნილსონი (ბაბელსბერგი, გერმანია), ემირ სპაჰიჩი (სევილია, ესპანეთი)

ნანსი

მოვიდნენ: ალექსანდრ კუვილიე (ბულონი), ლოსემი კარაბუ (სედანი), სალიფ სანე (ბორდო, იჯარა დაუმთავრდა)

წავიდნენ: რონან ლე კრომი, ჟულიენ ფერე (რენი), ლანდრი ნგემო (ბორდო), ბენჟამინ გავანონი (ამიენი), ალფრედ ნდიაი (ბურსასპორი, თურქეთი), ჯენარო ბრასილიანო (მარსელი)

ნიცა

მოვიდნენ: მაჰამან ტრაორე (მეცი, იჯარა დაუმთავრდა), ლუსიანო მონსონი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), ლევინ გომესი (ნავალი, პორტუგალია), კამელ მერიემი (არლი), რაულ ფერნანდესი (უნივერსიტარიო, პერუ, იჯარა დაუმთავრდა), მიკაელ პოტე (ლე მანი, იჯარა დაუმთავრდა), ჟულიენ ბერტომიე (ჰონგ კონგი), დიდიე დიგა (მიდლსბრო, ინგლისი)

წავიდნენ: აბდუ ტრაორე (ბორდო, იჯარა დაუმთავრდა), ისმაელ გასე, აბეიკუ გვანსა (არსენალი, კ. უკრაინა), დავიდ ბელიონი (ბორდო, იჯარა დაუმთავრდა)

ლიონი

მოვიდნენ: ჯონ მენსა (სანდერლენდი, ინგლისი, იჯარა დაუმთავრდა), ლოიკ აბენზოა (არლი, იჯარა დაუმთავრდა), იანის ტაფერი (ტულუზი, იჯარა დაუმთავრდა), ნიკოლა სეკენი (დიჟონი, იჯარა დაუმთავრდა)

წავიდნენ: პაპე დიაკატე (დინამო, კ. უკრაინა, იჯარა დაუმთავრდა), სესარ დელგადო (მონტერეი, მექსიკა), ჟერემი ტულალანი (მალაგა, ესპანეთი)

მარსელი

მოვიდნენ: შარლი ფომენი (დიჟონი, იჯარა დაუმთავრდა), პაპე მ ბოუ (კანი), მორგან ამალფიტანო, ჟერემი მორელი (ორივე ლორიანი), ნიკოლა ნკულუ (მონაკო), ალუ დიარა (ბორდო), ჯენარო ბრასილიანო (ნანსი), ბრანდაო (კრუზეირო, ბრაზილია, იჯარა დაუმთავრდა)

წავიდნენ: ტაიე ტაივო (მილანი), გაბრიელ ჰაინცე (რომა, იტალია), ჟულიე გოდა, მოჰამედ დენუნი, სენა მანგო (მონაკო, იჯარით), ლეიტი ნდაიე (აიაჩო, იჯარა)

ოსერი

მოვიდნენ: ისაამ ჟემაა (ლანსი), ბენ საარი (ესპანიოლი, ესპანეთი, იჯარით), რუდი ადადი (შატორუ), ომარ კოსოკო (ამიენი)

წავიდნენ: ვალტერ ბირსა (ჯენოა, იტალია), მაქსიმ ბურჟუა (შატორუ, იჯარა), სტივენ ლანჟილი (სედანი, იჯარა), ბენუა პედრეტი (ლილი), რემი რიუ (ტულუზი), ირინეუშ იელენი, ჟულიენ კერსია (ლორიანი), ფრედერიკ სამარიტანო (აიაჩო)

პარი სენ-ჟერმენი

მოვიდნენ: კევინ გამეირო (ლორიანი), ნიკოლა დუშე (რენი), ჟერემი მენეზი (რომა, იტალია), გრანდი ნგუაი (ბრესტი)

წავიდნენ: კლოდ მაკელელე, გრეგორი კუპე (კარიერა დაასრულეს), სემი ტრაორე (თავისუფალი აგენტი), იუნუს სანარი (დიჟონი)

რენი

მოვიდნენ: ვენსან პაჟო (ბულონი, იჯარა დაუმთავრდა), შეიხ ნდიაიე (პარიზი, იჯარა დაუმთავრდა), ბენუა კოსტილი (სედანი), ჟულიენ ფერე (ნანსი), ჯონათან პიტრიოპა (ჰამბურგი, გერმანია)

წავიდნენ: ბირა დემბელე (სედანი), ჟერომ ღერუა (ევიანი), სილვენ მარვო (ნიუკასლი, ინგლისი), გაეტან კარო, სამულ სუპრაიენი (დიჟონი), ნიკოლა დუშე (პსჟ), ლჰაჯი ბადიანი (ლავალი), ფრანკ ჟულიენი (ავრი, იჯარით)

სენტ-ეტიენი

მოვიდნენ: ფლორან სინამა-პონგოლე (სპორტინგი, პორტუგალია, იჯარით), სტეფან რუფიე (მონაკო)

წავიდნენ: კევინ მირალასი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დიმიტრი პაიე (ლილი)

სოშო

მოვიდნენ: სებასტიან კორშია (ლე მანი), სტივენ მუიოკოლო (ვულვერჰემპტონი, ინგლისი)

წავიდნენ: ბრაუნ იდეიე (დინამო, კ. უკრაინა)

ბრესტი

მოვიდნენ: ჯონ კულმა (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი), ედენ ბენ ბზატი (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი), გრეგორი ლორენცი (არლი, იჯარა დაუმთავრდა), დიალო გიდილიე (ტრუა), იოან მარიტალი (ბასტია), ლიონელ კაპონე (ლორიანი)

წავიდნენ: გრანდი ნგუაი (პსჟ), ფოდი ტრაორე (ორლეანი), ფილიპ დარლა, ივან ბურჟი, ტომას კოტი, თეოფილი ნტამე, გაეტან დენევი

ტულუზი

მოვიდნენ: რემი რიუ (ოსერი), აიმენ აბდენური (ეტუალ დიუ საჰელი, ტუნისი), პავლე ნინკოვი (როტერ შტერნი, ჰოლანდია), უმუთ ბულუთი (ტრაბზონსფორი, თურქეთი), ემანუელ რივიერი (სენტ-ეტიენი), ლუანი (პალმეირასი)

წავიდნენ: მაურო სეტო (პალერმო, იტალია)

ევიანი

მოვიდნენ: სიდნი გოვუ (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ჯონათან მენსა, მაჰამედ რაბიუ (ორივე უდინეზე, იტალია), ჟერომ ლერუა (რენი), ფაბრის ერეტი (კიოლნი, გერმანია)

წავიდნენ: არავინ

ლევან გიგილაშვილი

ტრანსფერი

კრისტიან ტრეში ვოლფსბურგში წარადგინეს

ტრეშიც მგელია, 2015 წლამდე!

მაგათს ნიჭიერი საყრდენი 9 მილიონი დაუჯდა

შაბათს გზას დაადგა, კვირას სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტი გააფორმა, ორშაბათს კი - ანუ გუშინ, ტრანსფერი ოფიციალურად დადასტურდა: 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან ტრეში** უკვე „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელია. „კრისტიანი დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი საყრდენია,“ - ამბობს „ვოლფების“ მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** ექსშტუტგარტელზე, რომელსაც გერმანიის ნაკრებშიც იძახებენ ხოლმე.

„დესპოტ ფელიქსს“ ტრეში ყველაზე მეტად იმიტომ მოსწონს, რომ ის მრავალმხრივი ფეხბურთელია და გარდა საყრდენი ნახევარმცველობისა, მარჯვენა და ცენტრალური მცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. სხვათა შორის, კრისტიანმა „შტუტგარტში“ მოღვაწეობა სწორედ მარჯვენა მცველის რანგში დაიწყო და თავიდან მას შტუტგარტელ დანი ალვეშსაც კი ეძახდნენ. ახლა კი დიდი ხანია, რაც ნახევარდაცვის ცენტრში, „ექვსიანის“ პოზიციაზე თამაშობს.

ბევრი ივაჭრეს თუ ცოტა, „ვოლფსბურგი“ და „შტუტგარტი“ საბოლოოდ 9 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ, ტრეშის კონტრაქტს კი ვადა 2015 წლამდე აქვს. *„ჩემი აზრით, „ვოლფსბურგი“ უაღრესად პერსპექტიული გუნდია. მჯერა, რომ აქ სერიოზულ წარმატებებს მივაღწევ, რაც პირველ რიგში ფელიქს მაგათის დამსახურებაა“*, - განაცხადა კრისტიანმა ოფიციალური წარდგენისას.

ტრეშის ტრანსფერის შემდეგ დიდია იმის შანსი, რომ „ვოლფსბურგმა“ მაგათის ხელში არა მრავალნაცადი 4-1-2-1-2-ით, არამედ კლასიკური 4-4-2-ით, ანუ, გამთამაშებლის გარეშე იასპარეზოს. თანაც, **დიეგოს** ჩამოწერის შემდეგ (მაგათი ბრაზილიელს აუცილებლად მოიშორებს), ფლეიმეიკერის პოზიციაზე ღირსეული მოთამაშე მაინც აღარ ჰყავს. სამაგიეროდ, 32 წლის **ჟოსუესა** და ახლა უკვე ტრეშის სახით, ორი მაღალი დონის საყრდენი ნახევარმცველი ჰყავს. კრისტიან ტრეშს, რომელიც „მგლებში“ 15-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ბუნდესლიგაში 83 მატჩი აქვს ჩატარებული (5 გოლი, 6 პასი).

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერული ქიშპი

სიტიში რა დაგკარგვიაო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 30 წლის ფრანგმა მცველმა, **პატრის ევრამ** 24 წლის თანამემამულე **სამირ ნასრის** შეუთვალა, „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლაზე რომ ლაპარაკობ, მაგ კლუბში რა დაგრჩენია, ჩვენთან გადმოდიო. ნასრი, მოგეხსენებათ, „არსენალის“ მოთამაშეა და „მეთოფეთა“ გუნდში ბოლო სეზონიღა დარჩა ჩასატარებელი.

ამრიგად, ნასრისთვის სამი კლუბი იბრძვის: ლონდონური დასატოვებლად, მანჩესტერულები კი გადასაბირებლად, თუმცა ევრა უმცროს მეგობარს არწმუნებს, რომ ტიტულების მოგებისა და სახლის თასებითა და მედლებით გავსებისთვის „იუნაიტედს“ არავინ შეედრება. მცველი ამბობს, რომ თუ ნასრის მსოფლიო დონის ვარსკვლავობა უნდა, სწორედ „ოლდ ტრეფორდზე“ უნდა გადავიდეს.

ევრამ თქვა: „*შვებულების პერიოდში მე მას ბევრი ველაპარაკე. ავუხსენი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშს არაფერი შეედრება, ხოლო პირადად მისთვის მსოფლიო ვარსკვლავად ქცევა გადამწყვეტი მნიშვნელობის ამბავი იქნება. ასეთი ხუმრობაც გამიგია, ნასრი აშკარად პრინცია, მაგრამ მეფეობა თუ უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ უნდა გადავიდესო. ეს, რასაკვირველია, ხუმრობაა, მაგრამ ის სინამდვილესთან ძალიან ახლოს არის. „იუნაიტედში“ გადმოსვლა მას ჯილდოებს მოუტანს. ჩემი მაგალითი ავიღოთ. „ოლდ ტრეფორდზე“ გატარებულ ხუთ წელიწადში 12 ჯილდო მოვიპოვე. სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ რომელიმე სხვა გუნდთან ერთად იმავეს შევძლებდი.*

ნამდვილად არ ვიცი, ამწუთას ნასრის თავს რა ხდება. მისი შეძენით ბევრი კლუბია დაინტერესებული და ვისთან როგორ მიდის მოლაპარაკებები ჩემთვის უცნობია, მე სამირს უბრალოდ ვუთხარი, რომ მას „იუნაიტედში“ დიდებულად დახვდებიან და მეც ძალიან დავეხმარები, რადგან ფრანგი ვარ“.

პატრის ევრა

გუშინ მოგახსენებდით, რომ ნასრის „არსენალმა“ ახალი კონტრაქტი შესთავაზა და კვირაში 115 ათასი ფუნტის გადახდა აღუთქვა, მაგრამ ფეხბურთელმა უარი თქვა. რაც შეეხება კითხვას, ფეხბურთელს „სიტიში“ რა დარჩენია, მასზე პასუხი ძალიან ადვილია. „მანჩესტერ სიტიში“ ყველა ფულის გამო გადადის და ევრაც სწორედ ამას ამბობს. ფრანგ მცველს სწამს, რომ ისტლენდზე გადასვლის სხვა მიზეზი არ არსებობს.

„რასაკვირველია, თუ სამირს „სიტიში“ გადასვლა ურჩევნია, ვერაფერს გავხდები. არჩევანი მისი გასაკეთებელია, მაგრამ, როგორც ფეხბურთელი, არჩევანის წინაშე მე რომ აღმოვჩენილიყავი, „სიტისა“ და „იუნაიტედს“ შორის ულაპარაკოდ „იუნაიტედს“ ავირჩევდი. აქ მიდგომებშია განსხვავება. „სიტიში“ გადამსვლელი ფულის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს, „იუნაიტედში“ გადამსვლელი კი ფეხბურთისა და ტიტულების სასარგებლოდ. ნასრიმ ერთ ინტერვიუში თქვა, ბედნიერი ვარ ისეთი გუნდი რომ მეპატიჟება, როგორც „იუნაიტედიაო“. მოკლედ, ყველაფერზე კარგად უნდა დაფიქრდეს და თავის აგენტთან ერთად აწონ-დაწონოს რა ღირს და რა არა“.

ისე კი, ევრა, რომელიც დღეს, ახალგაზრდა თანაგუნდელს ასე დაჟინებით ურჩევს „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას, შარშან ამ კლუბიდან თავად გარბოდა. ერთი წლის წინ მისი ყიდვა „ინტერსა“ და „რეალს“ უნდოდათ. მაშინ „იუნაიტედის“ თავკაცი, სერ **ალექს ფერგიუსონი** ევრას შინ ესტუმრა და ლამის ჰიპნოზის სეანსი ჩაუტარა.

„დიან, შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მე წასვლა მინდოდა. ორ დიდ კლუბს სურდა ჩემი გადაბირება. ასეთ დროს ადამიანი სერიოზული არჩევანის წინაშე დგები. მაშინ ჩემს მდგომარეობაზე მწვრთნელს ველაპარაკე.

ცხოვრებაში ასეა, ადამიანს ცვლილება გჭირდება ხოლმე. ეს შეიძლება ოჯახური ან სხვა მიზეზით მოხდეს. ბედნიერი ვარ, რომ საბოლოოდ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ბედნიერი ვარ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ დავრჩი და ვთამაშობ“, — თქვა ევრამ.

● მანჩესტერ სიტი

ეი, რა სულელია, ეს ბალოტელი!

ვისაც ინტერნეტი გაქვთ, აუცილებლად ნახეთ, რა სისულელე გააკეთა **მარიო ბალოტელიმ**. მისამართიც ინებეთ: http://www.youtube.com/watch?v=W8HKSXSU148. 20 წლის აფროიტალიელის მორიგი გამოხდომა „ლოს ანჯელეს გელექსისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ამხანაგური შეხვედრის 30-ე წუთზე მოხდა. შეხვედრა, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, 1:1 დასრულდა და პენალტებით „სიტიმ“ მოიგო 7:6.

მათთვის, ვინც ამ ძალიან სასაცილო ეპიზოდს ვერ ნახავს, შევეცდებით ის აღვწეროთ: მანჩესტერელებმა „გელექსის“ კარს მოედნის სიღრმიდან შესანიშნავი, სწრაფი კომბინაციით შეუტიეს, რომლის ბოლოსაც ბალოტელი ამერიკელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ... რატომღაც შემოტრიალება და ბურთის კარში ქუსლით შეგდება მოინდომა. უნდილად გაგორებული ბურთი მიზანს აცდა, ისტლენდელთა მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** კი ვეღარ მოითმინა, წამოხტა და გიუმაჟი იტალიელი **ჯეიმს მილნერით** შეცვალა. საინტერესო კადრია: ბალოტელი მოედნის კიდესთან თავის გასამართლებლად რაღაცას ამბობს, ამბობენ მწვრთნელს ეკითხება, რატომ მცვლი, რას მერჩიო, რითაც მანჩინი მთლად გამოჰყავს წყობიდან. ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამის გასწვრივ მიდის, მწვრთნელი კი რამდენიმე მეტრით უკან მოსდევს და რაღაცას უყვირის. ალბათ, იტალიურად...

თამაშის შემდეგ მანჩინიმ თქვა: *„ჩვენ ვალდებულები ვართ ყოველთვის პროფესიონალები, სერიოზულები ვიყოთ. იმ ეპიზოდში მარიომ სწორედ ეს არ გააკეთა და მოედნიდან ამიტომაც გავიყვანე. მან ძალიან კარგად იცის, რომ შეცდა. ფეხბურთში სერიოზულობაა საჭირო. როდესაც გოლის გატანის შესაძლებლობა გეძლევა, ვალდებული ხარ გაიტანო. იმედი მაქვს, რომ დღევანდელი ამბავი ბალოტელის გაკვეთილად გამოადგება. 30-ე წუთზე შეცვლა მისთვის, რასაკვირველია, სასჯელი იყო. თუმცა, რაც მოხდა, მოხდა. ჩემთვის ეს ისტორია დასრულებულია. მარიო ახალგაზრდა კაცია და ხანდახან ეშლება. ყოველთვის მზად ვარ დავეხმარო. თუ ის სერიოზულად განეწყობა და პროფესიულად მოიქცევა, მთელი 90 წუთის განმავლობაში შესანიშნავად შეძლებს თამაშს“.*

„ლოს ანჯელეს გელექსის“ მწვრთნელი **ბრუს არენა**: *„ნაღდი გოლი მეგონა. ვერ მივხვდი, რა გააკეთა „სიტის“ ფეხბურთელმა, ალბათ თავი ოფსაიდში ეგონა და აღარ გაიტანა“.*

საინტერესოა, რომ ამ ეპიზოდამდე 10 წუთით ადრე, „სიტი“ სწორედ მარიო ბალოტელიმ დააწინაურა. მან „გელექსის“ პენალტი გაუტანა. ანგარიში შორეული ლამაზი დარტყმით შეცვლაზე შესულმა **მაიკ მაკგიმ** გაათანაბრა.

● ჩელსი

ბებრები

ანდრე ვილაშ-ბოაშმა „ჩელსის“ „ბებრები“ დაიცვა. საქმე ის არის, რომ მათ ასაკს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** გაუსვა ხაზი.

ფაქტია: „ლურჯების“ ახალგაზრდა მწვრთნელმა პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი გუნდი ჩაიბარა. „ჩელსიში“ ცხრა ფეხბურთელი მისი ტოლია, 30 წელსაა გადაცილებული. ფერგიუსონმაც სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება. ვილაშ-ბოაში ახალგაზრდებს არ ყიდულობს, არადა, დასავლეთ-ლონდონელებისთვის მოთამაშეების ასაკი შეიძლება დიდ პრობლემად იქცეს. პორტუგალიელ სპეციალისტს უფროსი კოლეგისთვის პასუხის გაცემის საშუალება ტაილანდის „ყველა ვარსკვლავის“ 4:0 დამარცხების შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე მიეცა.

„ამ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ ბევრის გაღება შეუძლიათ. მარტო იმ ჯილდოების ჩამოთვლა რად ღირს, მათ წლების განმავლობაში რომ მოუპოვებიათ. რასაკვირველია, ასაკს თავისი სპეციფიკაც ახლავს. „ჩელსი“ პრემიერლიგის მეორე თუ მესამე „უხუცესი“ გუნდია და მე, როგორც მწვრთნელს, სეზონის მსვლელობისას, ვეტერანების ძალთა აღდგენისთვის საჭირო დროის გამოყოფა და გათვალისწინება მომიწევს. გამოცდილ მოთამაშეთა და ახალგაზრდების შერევა-დაბალანსება ჩემი საქმეა. სწორედ ასე განისაზღვრება ის ფეხბურთი, რომელსაც მომავალ სეზონში „ჩელსი“ ითამაშებს“.

აღსანიშნავია, რომ „იუნაიტედის“ თავკაცი „ჩელსის“ ფეხბურთელების ასაკზე პირველად არ ამახვილებს ყურადღებას. სამი წლის წინ, როდესაც „ლურჯებს“ სათავეში **ლუიშ-ფელიპე სკოლარი** ჩაუდგა, მან ზუსტად იგივე თქვა, თუმცა ვილაშ-ბოაში პროვოკაციას არ წამოეგო და გაღიზიანებული პასუხის ნაცვლად თავისი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დაიწყო ლაპარაკი. AVB-მ შორეულ აღმოსავლეთში ოთხი ყმაწვილი წაიყვანა, რომელთაგან თავი **ჯოშ მაკეჩრანმა** გამოიჩინა. ბანგკოკში გამართულ შეხვედრაში მან ძველებსაც აჯობა და ახლებსაც. ჟურნალისტებმა მწვრთნელს ჰკითხეს, შეძლებს თუ არა მაკეჩრანი ისეთივე ეფექტის მოხდენას, გასულ სეზონში არსენალელმა **ჯეკ უილშირმა** რომ მოახდინაო. ვილაშ-ბოაშმა უპასუხა:

„ჯოში ნიჭიერი ბრიტანელი ახალგაზრდაა. მისი წყალობით „ჩელსი“ მომავალში უფრო მრავალმხრივი გუნდი გახდება. ასე მაგალითად, მალაიზიასთან შეხვედრაში ჩვენ თამაში მოედნის სიგანეზე გავშალეთ, დღეს კი, მაკეჩრანის მონაწილეობით, ერთმანეთს მეტოქის კარისკენ მიმართულ პასებს ვაწვდიდით და ამან მეტი საგოლე მომენტი მოგვიტანა. მოკლედ, რაც ვერ გავაკეთეთ წინა შეხვედრაში, დღეს შევძელით. ჯოშ მაკეჩრანი ჭკვიანი და მოწადინებული, სწორ გზაზე მდგომი ადამიანია“.

ტაილანდის „ყველა ვარსკვლავის“ კარში პირველი გოლი საჯარიმო მოედნის კიდიდან **ფრენკ ლემპარდმა** 38-ე წუთზე გაიტანა. დანარჩენი სამი გოლი „ლურჯებმა“ მეორე ტაიმში შეაგდეს. ეს შეძლეს **ჟოზე ბოსინგვამ**, **ბრანისლავ ივანოვიჩმა** და **ფლორენ მალუდამ**.

ბანგკოკის შემდეგ „ჩელსი“ ჰონკონგში გაფრინდა, სადაც აზიურ ტურნეს ინგლისურ გუნდებთან, „ასტონ ვილასა“ და „ბლექბერნთან“ შეხვედრებით დაასრულებს.

● ვეტერანის რჩევა

ინგლისური ფეხბურთის ვეტერანი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი, დღეს „ლოს ანჯელეს გელექსის“ მოთამაშე, 36 ნლის **დევიდ ბექჰემი** თავის ყოფილ კლუბს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ 27 წლის ჰოლანდიელი **ვესლი სნეიდერის** ყიდვას ურჩევს. ნახევარმცველი ძალიან კარგად იცნობს სნეიდერს, რომელიც წლების წინ მადრიდის „რეალში“ სწორედ მის შემცვლელად მიიყვანეს. ბექჰემმა თქვა:

„სნეიდერი მეტად ნიჭიერი ფეხბურთელია და კარგი ადამიანიც არის. დარწმუნებული ვარ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტყუილად არ იყიდის, ის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდება. ეჭვი არ არის, ის „ოლდ ტრეფორდზე“ საქმეს გააკეთებს“.

მანჩესტერელთა ყოფილმა ვარსკვლავმა დასძინა, რომ მისი აზრით „იუნაიტედს“ აუცილებლად სჭირდება **პოლ სქოულზის** შემცვლელი. სქოულზმა, მოგეხსენებათ, ამ წლის გაზაფხულზე ფეხბურთის თამაშს თავი დაანება.

„სქოულზი უნიჭიერესი ნახევარმცველი იყო. ის გუნდს დააკლდება. მის ნაცვლად საგანგებო უნარის მქონე მოთამაშის მიყვანაა საჭირო“.

სქოულზი ბექჰემის ბავშვობის მეგობარია. ისინი „მანჩესტერ იუნაიტედის“ სკოლაშიც კი ერთად იყვნენ. მათთან თამაშობდა „იუნაიტედის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, მცველი **გარი ნევილიც**, რომელმაც ასევე ცოტა ხნის წინ დაასრულა ფეხბურთელის კარიერა, თუმცა, როგორც ჩანს, ძმაკაცებისგან განსხვავებით ბექჰემი მოედნის დატოვებას ჯერ არ აპირებს:

„ლოს ანჯელესის გუნდთან კონტრაქტის თანახმად ბოლო წელიწადიღა მაკავშირებს, მაგრამ ძალიან მიყვარს ამერიკის ლიგაში თამაში. „გელექსის“ თავისი ხიბლი აქვს, აქ შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ და ბრუს არენაც შესანიშნავი მწვრთნელია“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ინტერვიუ მიროსლავ კლოზესთან

O KLOSE MIRO!

8 გოლი ორ მატჩში: რომში გერმანელი გოლეადორი შეუყვარდათ

33 წლის გერმანელმა თავდამსხმელმა მიროსლავ კლოზემ, რომელიც რომის „ლაციოში“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ გადავიდა, იტალიური თავგადასავალი ძალიან კარგად დაიწყო. ჯერ იყო და, აურონცო დი კადორეს ნაკრებთან პირველ ტაიმში 5 გოლი გაიტანა (ლაციალემ თამაში 16:0 მოიგო), შერე კი, „პიევიჯინასთან“ 8:0 მოგებულ შეხვედრაში ჰეთ-თრიკიც შეასრულა. 8 გოლი ორ მატჩში – მართალია, ამ შემთხვევაში ამხანაგურ შეხვედრებზე გვაქვს საუბარი და თანაც, სუსტ მეტოქეებთან, მაგრამ 8 გოლს ხომ გატანა უნდა და რომაული კლუბის ფანებს კლოზეზე უკვე აბოდებთ. ამიტომაცაა, „გაძეტა დელო სპორტმა“ გერმანელი ფორვარდის სტარტი „ლაციოს“ შემადგენლობაში ლეგენდარული სიმღერის, O Sole Mio-ს ინტერპრეტაციით რომ დაასათაურა - O KLOSE MIRO!

სტატიაში კი, ყველაზე პოპულარული იტალიური სპორტული გაზეთი წერს: „კლოზე „ლაციოს“ საგოლე გარანტია! ჩვენ კი არა მარტო მიროს გოლების რაოდენობა გვაოცებს, არამედ მისი თამაშის სტილიც და ის, რომ ვეტერანი გერმანელი გოლეადორი იტალიური ფეხბურთისთვის ზედგამოჭრილი ყოფილა.“

მირო ქებით ცაში „კორიერე დელო სპორტმაც“ აიყვანა: „კლოზე-შოუ გრძელდება! ახლა მთავარია, რომ კლოზემ ოფიციალურ მატჩებშიც გაიტანოს და „ლაციოს“ ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდება. აქამდეც ვიცოდით, რომ მირო მეტოქის კართან ცივსისხლიანი იყო, მაგრამ ახლა, როცა ცოცხლად ვხედავთ, როგორ თამაშობს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავიდან აღმოვაჩინეთ!“

„ბილდ ამ ზონთაგმა“ კლოზეს საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

- ჰერ კლოზე, იტალიაში არცერთ ახალწვეულს არ აქებენ ისე, როგორც თქვენ.

- მართალია, გაზეთების კითხვა ჯერ არ შემიძლია, მაგრამ მეუბნებიან, შენზე მხოლოდ კარგს წერენო, რაც ძალიან მიხარია. „ლაციოში“ თამაში ძალიან მსიამოვნებს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გადადგმულ ნაბიჯს ოდნავადაც არ ვნანობ.

- მაგრამ?

უნდა გსიამოვნებდეთ – „ლაციალეს“ ძირითად შემადგენლობაში თამაში ხომ ფაქტობრივად გარანტირებული გაქვთ...

- მოდი, ასე ვიტყვი: „ბაიერნში“ ბოლოს ყველაფერი ისე აღარ იყო, როგორც მე მინდოდა, რომ ყოფილიყო. ლუის ვან გაალს ჩემგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა და აშკარად ჩანდა, რომ მის კონცეფციაში ვერ ვჯდებოდი. მართალია, ვან გაალი „ბაიერნში“ ახლა აღარ მუშაობს, მაგრამ მაინც... თუმცა, ფაქტია ისიც, რომ რეკორდმაისტერში 4 ძალიან ლამაზი წელინადი გავატარე. ცოტა ხნის წინ ზუსტად ეს ვუთხარი „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგესაც და იმ ოთხი წლისთვის მადლობა გადავუხადე. რეკორდმაისტერში ყველაზე მეტად ის მომწონდა, რომ მიუნხენურ გუნდში ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოდა.

- „ლაციოში“ კი ასე არ არის...

- ვფიქრობ, „ლაციოს“ დარი გუნდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იქნება, რომ ახალ სეზონში კარგი სტარტი ავიღოთ. გუნდში ბევრი ახალწვეულია და მათ შეთამაშება სჭირდებათ. კარგი სტარტი კი კარგი განწყობის გარანტია იქნება. თავის მხრივ, კარგი განწყობა და ეიფორია გარკვეულწილად წარმატების გარანტიაცაა. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა გამოვა.

- თავს გუნდის ლიდერად გრძნობთ?

- დიახ, ამისათვის საკმარისი გამოცდილება მაქვს და ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც „ლაციომ“ გადამიბირა, სწორედ ჩემი გამოცდილება იყო. აქ ყველამ ძალიან მეგობრულად მიმიღო. ნამდვილი ლიდერი კი მაშინ ვიქნები, როცა ოფიციალურ მატჩებშიც კარგად ვითამაშებ და გოლებს გავიტან.

- თანაგუნდელებს რა ენაზე ესაუბრებით?

- ინგლისურად. ცოტა იტალიურად და გერმანულადაც. 7 ივლისის შემდეგ შეკრებაზე ვიყავით და მეც იძულებული გახლდით, ბევრი მელაპარაკა. იტალიური ძალიან ადვილი ენა აღმოჩნდა – სიტყვებს სწრაფად ვითვისებ და უკვე ბევრ რამეს ვიგებ. შეკრებაზე წიგნებიც მქონდა წაღებული და იტალიურში ვმეცადინეობდი. ძალიან მელოდიური და ლამაზი ენაა.

- 10 აგვისტოს გერმანია ბრაზილიას ამხანაგურად ეთამაშება. როგორ ფიქრობთ, სასტარტოში იქნებით?

- თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ფაქტია, რომ კარგ ფორმაშიც ვარ. იმის თქმა მინდა, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ უნდა მოვხვდე.

- ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა თქვა, გამორიცხული არაა, რომ კლოზე და მარიო გომესი ძირითადში ერთად ვათამაშოო...

მიროსლავ კლოზე ლაციოში თავს კარგად გრძნობს

- ...ეს ჯერ მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია, გოლები კი ორივე შემთხვევაში ძალიან სუსტ მეტოქეებს გავუტანე. შესაბამისად, ჩემი აზრით ჯერ დასკვნების გაკეთება ადრეა. ფაქტია, რომ კარგ ფორმაში ვარ და არც მონდომება მაკლია, რასაც აქ ყველა აღნიშნავს, მაგრამ ჯერ მაინც ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ „ლაციოში“ კარგად დავიწყე. მთავარი ამბები 27 აგვისტოს დაიწყება, როცა იტალიის ჩემპიონატი აიღებს სტარტს და მერე უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება იმას, თუ რამდენი გოლი გავიტანე ტესტ-მატჩებში.

- გულახდილად გვითხარით, „ლაციოში“ ყოფნა „ბაიერნში“ ყოფნაზე მეტად გსიამოვნებთ?

- ფეხბურთის თამაშით მე ყველგან და ყოველთვის დიდ სიამოვნებას ვიღებ.

- თუმცა „ბაიერნში“ ბოლოს ძალიან იშვიათად გათამაშებდნენ და ლოგიკურად, „ლაციოში“ ყოფნა უფრო

- თუ ტაქტიკურ სქემას ოდნავ შევცვლით, ეს ცუდი ნამდვილად არ იქნება – პირიქით, რაც უფრო მოქნილები ვიქნებით, მით უკეთესი. ასე ხომ ყველას უფრო გაუჭირდება ჩვენს წინააღმდეგ ასპარეზობა. მოკლედ, რატომაც არა?

- მომდევნო თვეებში, გერმანიის ნაკრებში გერდ მიულერის ლეგენდარული რეკორდის დამხობა შეგეძლებათ – ამისათვის საჭიროა, რომ 68-გოლიან ზღვარს გადააჭარბოთ. ნაციის ბომბარდირი ძალიან ავადაა... გერდთან კონტაქტი გაქვთ?

- „ბაიერნიდან“ მითხრეს, გერდი თავს უკეთ გრძნობსო და შვებით ამოვისუნთქე. იმედია, ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ გაუუარესდება. ის ყველა დროის საუკეთესო გერმანელი თავდამსხმელია. მისი ყველა რეკორდიც რომ დაემხოს, მიულერი მაინც ყველა დროის საუკეთესო გერმანელი თავდამსხმელი იქნება

დორტმუნდის ბორუსია

კოპას ფინალმა ბარიოსი შეინირა

დორტმუნდში განგაშის ზარებს შემოჰკრეს: რამდენად სერიოზულია ლუკასის ტრავმა?

ლუკას ბარიოსი დაშავდა

კვირა დორტმუნდის „ბორუსიას“ თავდამსხმელ **ლუკას ბარიოსისთვის** ორმაგად მტკივნეული დღე აღმოჩნდა: ჯერ ერთი, 26 წლის ფორვარდმა კოპა ამერიკას ფინალი წააგო (0:3 ურუგვაისთან) და თანაც, გერმანიის ჩემპიონის ნომერ პირველი გოლეადორი საკმაოდ მძიმედ დაშავდა. ბარიოსი პარაგვაის ნაკრებში 77-ე წუთზე გამოჩნდა და ზუსტად რვა წუთში ისევ მოედნიდან გასაყვანი გახდა. ერთ-ერთი სპურტის შემდეგ ლუკასი მინდორზე გაიშხლართა და ტკივილებისგან იკლაკნებოდა...

პირველივე დიაგნოზი მძიმეა: ბარიოსმა მყესი გაიწყვიტა! პარაგვაის ნაკრებისთვის კი ორმაგად მტკივნეული იყო ის, რომ გუნდს ფინალის ჩამთავრება 10 კაცით მოუხდა, რადგან სამივე ცვლილება გამოყენებული იყო. თუმცა პარაგვაის ნაკრები მაინც არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელიც ურუგვაის თამაშს შეუტრიალებდა და ახლა პრობლემა „დორტმუნდმა“ უნდა იკითხოს. ფაქტია, რომ ლუკას „ბორუსიას“ მინიმუმ ერთი თვე ვერ დაეხმარება, რაც იმას ნიშნავს, რომ გასულ სეზონში 16 გოლის გამტანი გოლეადორი ბუნდესლიგის პირველ ტურებს აუცილებლად გამოტოვებს.

აღსანიშნავია, რომ ბარიოსი გერმანიის თასის პირველ ეტაპს (31 ივლისს, „ზანდჰაუზენთან“) და ბუნდესლიგის პირველ ტურს (5 აგვისტოს, „ჰამბურგთან“) მაინც გამოტოვებდა, რადგან კოპა ამერიკის გამო დორტმუნდელები შვებულებას ორი კვირით უხანგრძლივებდნენ. ახლა კი ლუკასს მინიმუმ ერთთვიანი პაუზა გარანტირებული აქვს და ჯერაც არაა ცნობილი, როგორ წარიმართება მისი გამოჯანმრთელების პროცესი. საუკეთესო შემთხვევაში, ბარიოსი BVB-ს გერმანიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში (გასვლითი მატჩი ლევერკუზენში) დაუბრუნდება. მანამდე ბარიოსს „ბორუსიას“ თავდასხმაში პოლონელი **რობერტ ლევანდოვსკი** შეცვლის.

კიოლნი

პრინცი განაპარალეს!

პოდოლსკი თხების კაპიტანი აღარ არის, გუნდის თავი ჟერომელი იქნება

კიოლნელებს, ვინ იქნება ახალ სეზონში „კიოლნის“ კაპიტანი, ჰასუხი გუშინ გაეცა. როგორც მოსალოდნელი იყო, „თხების“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **სტალე სოლბაკენმა** გუნდის ლიდერს და ფანების უსაყვარლეს ფეხბურთელს, 26 წლის **ლუკას პოდოლსკის** კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. შეგახსენებთ, რომ პოლდი „კიოლნის“ კაპიტანი ზამთარში გახდა და მაშინ ეს „თხების“ იმჟამინდელი თავკაცის, **ფრანკ შეფერის** გადაწყვეტილება გახლდათ. სოლბაკენს კი, როგორც აღმოჩნდა, პოდოლსკი კაპიტნის რანგში არ ეპიტნავება.

მომავალ სეზონში „კიოლნის“ კაპიტანი ცენტრალური მცველი, გუნდის დაცვის ბურჯი, 25 წლის პედრო ჟერომელი იქნება, რომელიც პოდოლსკის შემდეგ ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. ეს ინფორმაცია სოლბაკენმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა.

კაპიტნის სამკლავურის დაკარგვა პოდოლსკისთვის სერიოზული დარტყმაა. წინა კვირაშიც ვწერდით, როგორ იმუქრებოდა ლუკასი, კაპიტნობას არაფრით დავთმობო. იმასაც შეგახსენებთ, რომ ლუკას პოდოლსკი „კიოლნში“ 2009 წელს, „ბაიერნიდან“ დაბრუნდა. საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნება ლუკასს მის დეგრადირებაზე. ფაქტია, რომ ეს ამბავი მას და სოლბაკენს შორის ურთიერთობას უკიდურესად დაძაბავს.

ვერდერი

ლია კარის დღე

მუსიკოსები და 20 000 ფანი

გასულ უქმეებზე დამტკიცდა, რომ ბრემენის „ვერდერს“ ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ფანები ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ „მუსიკოსებმა“ გასული სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარეს და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩნენ მიუხედავად იმისა, რომ კვირას ბრემენში კოკისპირულად წვიმდა და მხოლოდ 13 გრადუსი იყო, სეზონის ოფიციალურ გახსნას „ვეზერშტადიონზე“ მაინც 20 000 ფანი დაესწრო და რაც მთავარია, ყველა ბედნიერი იყო!

გულშემატკივრები თავიანთ საყვარელ მოთამაშეებთან ძალიან ახლოს მიდიოდნენ, ფოტოებს იღებდნენ და ავტოგრაფებს ართმევდნენ. შემდეგ გაიმართა შოუპროგრამით გაჯერებული ვარჯიში სხვადასხვა ეფექტებით. „არ მეგონა, რომ მაინც ამდენი ფანი მოვიდოდა, რადგან ძალიან ცუდი ამინდი იყო, - გაოცებული გახლდათ „ვერდერის“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**, - *ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენს გუნდს შესანიშნავი ქომაგები ჰყავს!“*

ალოფსმა სტუმართმოყვარე მასპინძლოს როლი იკისრა და ფანებს მადლობა კარგი ცნობებით გადაუხადა. ყველაზე კარგი ინფორმაცია ის არის, რომ ბრაზილიელი მცველი **ნალდო** ძალიან მალე გამოჯანმრთელდება – შეგახსენებთ, რომ „ვერდერის“ დაცვის ბურჯს ფეხბურთი წელინადია არ უთამაშია. იმედი გვაქვს, რომ ნალდო ვარჯიშს ამ კვირაში განაახლებსო, აუწყა ფანებს ალოფსმა. კარგად მიდის ახალწვეულ **მეჰმეთ ექიჩის** გამოჯანმრთელების პროცესიც, რომელიც ამ დღეებში უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებს.

„ვფიქრობ, ძალიან კარგი გუნდი გვყავს. მართალია, სუპერვარსკვლავებს ვერ ვყიდულობთ, მაგრამ ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს. ვარჯიშები შესანიშნავად მიმდინარეობს, ყველა ფეხბურთელი მონდომებულია, თავს არავინ ზოგავს. შესაბამისად, მეც და მთავარ მწვრთნელ თომას შაფსაც გული კარგს გვიგრძნობს“, - ამბობს ალოფსი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

ნომინანტები, სტატისტიკა, სიმბოლური ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელი — ლუის სუარესი (URUGVAI)

URUGVAIის ნაკრების ფორვარდი ლუის სუარესი კოპა ამერიკას საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან არა მარტო 4 გოლით გამოიჩინა თავი, არამედ დიდი ენერგია დაახარჯა მატჩებს და მუდამ ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. ამას დაერთო გამოცდილი დიეგო ფორლანის ლიდერობა და მივიღეთ URUGVAIის ნაკრების ჰეგემონია კოპაზე. სუარესის მონადინებამ მოაგებინა URUGVAIის ნახევარფინალური მატჩი პერუს წინააღმდეგ (2:0). ამ შეხვედრაში ახალგაზრდა ფორვარდმა ორივე გოლი გაიტანა. იმ თამაშში ლიერპულელი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს 31,7%-ით.

ისე გამოვიდა, რომ სუარესმა თავისი 4 გოლიდან 3 პერუს ნაკრებს გაუტანა, რადგან ჯგუფურ ეტაპზე URUGVAIი ამ გუნდს გადაეყარა და მაშინაც სუარესმა გამოიჩინა თავი (1:1). ერთი გოლი კი ფინალზე მოდის, თანაც ლუისმა პარაგვაელთა წინააღმდეგ ანგარიში გახსნა. მან კიდევ ერთხელ მოიგო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო დიეგო ფორლანს ეკუთვნოდა.

„ჩვენ ყველანი მადლიერნი ვართ იმ ხალხს, ვინც ფინალში გვერდში დაგვიდგა, არ დაიზარა, ჩამოვიდა და გვიგულშემატკივრა“, - განაცხადა სუარესმა პრიზის მიღებისას

კოპას საუკეთესო ფეხბურთელები (ბოლო 10 ტურნირი)

2007: როგინიო (ბრაზილია)
2004: ადრიანო (ბრაზილია)
2001: ამადო გევარა (ჰონდურასი)
1999: რივალდო (ბრაზილია)
1997: რონალდო (ბრაზილია)
1995: ენცო ფრანჩესკოლი (URUGVAI)
1993: სერხიო გოიკოჩეა (არგენტინა)
1991: ლეონარდო როდრიგესი (არგენ.)
1989: რუბენ სოსა (URUGVAI)
1987: კარლოს ვალდერამა (კოლუმბია)

ახალგაზრდა — სებასტიან კოატესი (URUGVAI)

ფინალური მატჩის შემდეგ „კლაროს“ ტროფეი URUGVAIელთა 20 წლის მცველ სებასტიან კოატესს გადაეცა. ის კოპა ამერიკას საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა. კოატესმა აჯობა ისეთ ახალგაზრდა ვარსკვლავებს, როგორიც კოსტარიკელი ჯოელ კემპბელი და ბრაზილიელი ნეიმარია. კოატესმა კოპას 5 შეხვედრაში მიიღო მონანილეობა.

კოატესი ტიპიური URUGVAIELი ფეხბურთელია, რომელშიც მებრძოლი სული უზადო ტექნიკასთან არის შერწყმული. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ კოატესის შეძენა კონტინენტზე და ევროპაში ბევრ სუპერგუნდს სურს.

მონტევიდეოელი ჭაბუკი 198 სანტიმეტრია სიმაღლეში და როცა ამხელა სიმაღლესთან ერთად ფეხბურთელი ტექნიკურიცაა, მას დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია - მას ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ამ კოპა ამერიკაზე ჰქონდა. მისი ამჟამინდელი კლუბი მონტევიდეოს „ნასიონალია“.

მეკარე — ხუსტო ვილარი (პარაგვაი)

წლის პარაგვაელი გოლკიპერის ოქროს ჟამი ამ კოპაზე ბრაზილიის ნაკრებთან მატჩი იყო, როცა მან ბრაზილიელი ვარსკვლავების არაერთი სახიფათო დარტყმა მოიგერია და ბოლოს ისე აუბნია თავგზა მათ, რომ 4 პენალტიდან 3 ააცილეს, ერთი კი აუღო. ასევე კარგი იყო ვილარი ვენესუელასთან ნახევარფინალურ მატჩში და არც ფინალში ყოფილა გოლები მაინცდამაინც მისი ბრალი. საბოლოოდ ვეტერანი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა, თუმცა ტურნირის ორგანიზატორებმა ის ამ მედალს არ დააჯერეს - შეჯიბრების საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

პარაგვაელთა კაპიტანმა დაიმსახურა ეს ჯილდო, მას მხოლოდ ერთი რეალური კონკურენტი ჰყავდა - URUGVAIელთა გოლკიპერი ფერნანდო მუსლერა.

ლიდერი — დიეგო ფორლანი (URUGVAI)

მას არ მიუღია არც ერთი ინდივიდუალური პრიზი. ამ ფოტოზე ის თასით ხელშია გამოხატული, თუმცა კოპა მას არ მიუღია ფიფას პრეზიდენტის ხელიდან, რადგან გუნდის კაპიტანიც არ არის. ის არ დაუსახელებიათ არც ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად და არც მთელი ტურნირის, მაგრამ ის მაინც ძალიან მაგარია - URUGVAIის ნაკრებმა რომ 16 წლის პაუზის შემდეგ პირველად მოიპოვა ტიტული დიეგო ფორლანის დიდი დამსახურებაა. მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი URUGVAIის ნაკრების ნამდვილი ლიდერია და სულია, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი ინდივიდუალური ტიტულიც კი არ შეხვედრია.

დიეგო ფორლანი URUGVAIული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა: ფინალში მან ორი გოლი გაიტანა და ექტორ სკარონეს წამოეწია - მათ ნაკრებში 31-31 გოლი აქვთ გატანილი, თუმცა დიეგოს მეტის შანსი რჩება. ფორლანმა ნაკრებში 82 მატჩი ითამაშა და ამ მხრივ ის ერთპიროვნული ლიდერია ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში (ეს რეკორდიც მან წლევანდელ კოპაზე დაამხო).

ფორლანი ღირსეული წარმომადგენელია მისი ოჯახის და ალბათ ერთადერთი ადამიანია დედამინის ზურგზე, ვისაც ამგვარი რეკორდი ეკუთვნის - კვირას დიეგო ფორლანი კოპა ამერიკას გამარჯვებული პირველად გახდა, ოჯახს მხოლოდ მისი ტიტული აკლდა - მამამისს და პაპამისსაც მოგებული აქვთ კოპა.



გომბარდირი — პაოლო გერერო (პერუ)

კოპა ამერიკას ბომბარდირთა დავა მოიგო იმ ფორვარდმა, რომელსაც, თითქოს, ყველაზე ნაკლები შანსი ჰქონდა საამისოდ, რადგან ფავორიტი ნაკრების წევრი არ იყო, თუმცა პერუელთა ცხრიანმა საპირისპირო დაამტკიცა, როცა 5 გოლით ყველას აჯობა. 5-დან 3 გოლი მან მე-3 ადგილისთვის მატჩში გაიტანა ვენესუელელთა წინააღმდეგ. მე-2 ადგილზე ბომბარდირთა დავაში ლუის სუარესი გავიდა.

27 წლის ლიმელი ფეხბურთელი უკვე მე-5 წელია, რაც გერმანულ „ჰამბურგში“ თამაშობს, მანამდე კი ის მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი იყო.

კოპა 2011-ის გომბარდირები

5 - პაოლო გერერო (პერუ)
4 - ლუის სუარესი (URUGVAI)
3 - სერხიო აგუერო (არგენტინა)
2 - ფელიპე კაისედო (ეკვადორი)
2 - ნეიმარი (ბრაზილია)
2 - რადამელ ფალკაო (კოლუმბია)
2 - ალვარო პერეირა (URUGVAI)
2 - ალეშანდრე პატო (ბრაზილია)
2 - დიეგო ფორლანი (URUGVAI)
სხვები: 1-1 გოლი (29 ფეხბურთელი)

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

სტატისტიკა

ყველაზე მეტი ზუსტი პასი თამაშში - ანდრე სანტოსი (ბრაზილია) - 276
ყველაზე მეტი ჩაწოდება თამაშში - დიეგო ფორლანი (URUGVAI) - 33
ყველაზე მეტი გრძელი პასი თამაშში - პაულო და სილვა (პარაგვაი) - 44
ყველაზე მერი დრიბლინგი თამაშში - ნეიმარი (ბრაზილია) - 27
ყველაზე მეტი მოგებული ორთაბრძოლა თამაშში - პაულო და სილვა (პარაგვაი) - 30
ყველაზე მეტი დარტყმა კარში - დიეგო ფორლანი (URUGVAI) - 12
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ - დიეგო ფორლანი (URUGVAI) - 26
ყველაზე მეტი ჯარიმა - გაბრიელ ჩიჩერო (ვენესუელა) - 20
ყველაზე მეტი ჯარიმა მასზე - ლუის სუარესი (URUGVAI) - 27
ყველაზე მეტი თამაშგარე თამაშში - ლუკას ბარიოსი (პარაგვაი) - 9
ყველაზე მეტჯერ მოგებული გურთი - ალბერტო როდრიგესი (პერუ) - 62
ყველაზე მეტი ყვითელი გარათი - მარტინ კასერესი (URUGVAI) - 4

გუნდური სტატისტიკა

ზუსტი პასები	
2075	არგენტინა
1986	ბრაზილია
1807	პარაგვაი

ზუსტი ჩაწოლებები	
27	URUGVAI
24	ჩილე
21	პერუ

მოგებული ორთაბრძოლები	
178	პარაგვაი
127	URUGVAI
111	ვენესუელა

დრიბლინგი	
83	ბრაზილია
64	არგენტინა
54	პერუ

კარში დარტყმა	
32	URUGVAI
30	არგენტინა
29	ვენესუელა

კარისკენ დარტყმა	
48	URUGVAI
47	კოლუმბია
44	არგენტინა

თამაშგარე	
19	პარაგვაი
17	ვენესუელა
15	პერუ

ბურთის მოპოვება	
221	პარაგვაი
201	პერუ
165	URUGVAI

URUGVAIის ნაკრების სტატისტიკა

გუნდური	
1185	ზუსტი პასი
27	ზუსტი ჩაწოლება
110	ზუსტი გრძელი პასი
127	მოგებული ორთაბრძოლა
32	ზუსტი დარტყმა
117	ჯარიმა
114	ჯარიმა მასზე
10	თამაშგარე
264	წუთი გურთის ფლობის

ყველაზე მეტი	
116	ზუსტი პასი მაქსი პერეირა
8	ზუსტი ჩაწოლება ფერნანდო მუსლერა
37	ზუსტი გრძელი პასი ფერნანდო მუსლერა
12	წარმატებული დრიბლინგი ლუის სუარესი
24	მოგებული ორთაბრძოლა არევალო რიოსი

URUGVAI: ლუის სუარესი (6 თამაში, 4 გოლი), დიეგო ფორლანი (6, 2), ფერნანდო მუსლერა (6), მაქსი პერეირა (6), არევალო რიოსი (6), დიეგო ლუგანო (6), ალვარო პერეირა (5, 2), დიეგო პერესი (5, 1), ალვარო გონსალესი (5), მარტინ კასერესი (5), სებასტიან ეგურენი (5), სებასტიან კოატესი (4), ნიკოლას ლოდეირო (3), ედინსონ კავანი (3), მაურისიო ვიქტორინო (2), ვალტერ გარგანო (2), აბელ ერნანდესი (2), კრისტიან როდრიგესი (2), ანდრეს სკოტი (1), დიეგო გოდინი (1), სებასტიან აბრეუ (1), ხუან კასტილიო (0), მარტინ სილვა (0).

სიმბოლური ნაკრები. 4-3-1-2 GOAL.COM

● ბარსელონა

ალექსის 9

ალექსის სანჩესი პრეზენტაციაზე

გუშინ „ბარსელონამ“ ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი 22 წლის ჩილელ **ალექსის სანჩესთან**. „გვარდიოლამ დამირეკა და მას მერე მჯეროდა, რომ „ბარსელონაში“ ვითამაშებდი. მან საკუთარი ძალის რწმენა ჩამინერგა. ახლა მთავარია ჩემთვის ახალ გარემოს მალე შევეგუო, მესის, ჩავის, ინიესტას და სხვებს რაც შეიძლება მალე გავუგო მოედანზე. დარწმუნებული ვარ, მოედანზეც და მის გარეთაც არ შევარცხვენ ჩემ ახალ გუნდს“, - განაცხადა „ბარსას“ ახალწვეულმა, რომელიც ამიერდან 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ტრანსფერი ვიდეო ბიბლიოთეკა

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

გენიოსი ლამპა

ტოტიმ შემთხვევით ჯადოსნური ლამპა იპოვა, რომელსაც რასაც თხოვ ყველაფერს შეგისრულებს.

ტოტი: ლამპავ, შემიძლია რაც კი მომესურვება ყველაფერი გთხოვო?

ლამპა: რა თქმა უნდა, მთხოვე ფრანჩესკო.

ტოტი: ვისურვებდი, რომ „ლაციო“ სერია C-ში მენახა.

ლამპა: არა, აბა როგორ შემიძლია, გთხოვ სხვა რამ ისურვო.

ტოტი: გასაგებია, „ლაციოს“ გულშემატკივრობ ხომ? და „ფიორენტინა“?

ლამპა: ეჰა, ეჰა, სერია C1-ში „ფიორენტინა“?...კარგი თანახმა ვარ.

სტუმრად ჯიჯი მარძულოსთან

ჯიჯი მარძულომ გადაწყვიტა ფრანჩესკო ტოტი თავის გადაცემაში მიეწვია.

ჯიჯი: ფრანჩესკო გთხოვ მითხარი წიგნი თუ გაქვს წაკითხული?

ტოტი: დიახ, „წაიკითხე“ „რინ ტინ ტინ“

ჯიჯი: გინდათ თქვათ რომ წავიკითხე? - შეუსწორა ჯიჯიმ.

ტოტი: არა, კარგად არ მახსოვს, მაგრამ ნამდვილად „რინ ტინ ტინ“ იყო.

დედამიწა ბრუნავს

მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს.

ყველაფერი გასაგებია? - შეეკითხა მასწავლებელი მოსწავლეებს.

მხოლოდ ერთი რაღაც მეეჭვება – წამოიძახა პირველი რიგიდან ფრანჩესკო ტოტიმ.

მასწავლებელი: აბა, თქვი ფრანჩე.

ტოტი: თუ დღის განმავლობაში დედამიწა მზის ირგვლივ ტრიალებს ღამით სად მიდის?

გამოცდაზე

ფრანჩეკსო ტოტი შეხვდება დელ პიეროს.

ტოტი: ალექს როგორ ჩააბარე გამოცდა?

დელ პიერო: ცუდად, ვერცერთი სიტყვა ვერ დავწერე და ცარიელი ფურცელი ჩავაბარე.

ტოტი: რა სამწუხაროა ჩემთვის, რომ მცოდნოდა შენგან გადავიწერდი.

რატომ უყვარს

რატომ უყვარს ფრანჩესკო ტოტის ანეკდოტები? იმიტომ, რომ სამჯერ ეცინება. პირველად როცა მას უყვებიან, მეორედ როცა შინაარსს უხსნიან და მესამედ როცა აზრს ხვდება.

სალომე ხარატიშვილი

● სატრანსფერო ამბები

მარკიზიო ვუჩინიჩის სანაცვლოდ?

მირკო ვუჩინიჩის „რომადან“ შესაძლო აბარგების შესახებ ცნობები სულ უფრო და უფრო ხშირად ვრცელდება - მეტწილად, 27 წლის ჩერნოგორეიელი ინგლისის პრემიერლიგის გუნდებში გადაჰყავთ, თუმცა ბოლო დღეებში ტურინის „იუვენტუსი“ გააქტიურდა. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, პიემონტელებმა დედაქალაქელებს 10 მილიონი ევრო შესთავაზეს მირკოს სანაცვლოდ, თუმცა მტკიცე უარი მიიღეს. რომაელები ვუჩინიჩის შენარჩუნებისთვის ნამდვილად არ იკლავენ თავს, უბრალოდ მასში გაცილებით მეტის აღების სურვილი აქვთ. ლაპარაკია 17-18 მილიონ ევროზე, რაც უკვე ტურინელთათვის აღმოჩნდა მეტისმეტი. მოლაპარაკება ჩიხში შედიოდა, როდესაც „იუვენტუსის“ მესვეურებმა საბარტერო ხელშეკრულებაზე ჩამოაგდეს სიტყვა და დედაქალაქელ კოლეგებს პირდაპირ ჰკითხეს, „იუვეს“ რომელ ფეხბურთელს ისურვებდნენ ვუჩინიჩის სანაცვლოდ - ამ ყველაფერზე „ჯალოროსის“ სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** მოგვითხრობს:

ვუჩინიჩი „იუვეს“ სურს

„ვუჩინიჩი მსოფლიო დონის ვარსკვლავია და 10 მილიონ ევროდ ნამდვილად ვერ გავასხვისებთ - მხოლოდ ჩვენი ნება რომ იყოს, საერთოდ არ გავუშვებდით, მაგრამ თავად მოისურვა კარიერის სხვა გუნდში გაგრძელება. ტურინელებმა საბარტერო ხელშეკრულებაზე ჩამოგვიგდეს სიტყვა, ჩვენ კი ერთი დღე მოსაფიქრებლად მოვითხოვეთ - კონსულტაციები ლუის ენრიკესთან გავიარეთ და საინტერესო წინადადებაც მოვამზადეთ, რომლის მიხედვითაც მირკო ვუჩინიჩი „იუვენტუსში“ გადავა, კლაუდიო მარკიოზიო კი ჩვენთან წამოვა. დიახ, ენრიკემ პირდაპირ გვითხრა, რომ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც „იუვენტუსიდან“ სიამოვნებით გადაიბირებდა, სწორედ მარკიზიო გახლავთ. კლაუდიოსთან ერთად, ეს ჯიჯი ბუფონზეც შეიძლება ითქვას, მაგრამ მისი გადმობირება არარეალურია. „იუვენტუსის“ სპორტულ დიორექტორს, ჯუზეპე მაროტას უკვე შევთავაზეთ ჩვენი ვარეიანტი და ვნახოთ რას გვეტყვის“.

„გაძეტას“ ცნობით, საბატინიმ მზადყოფნა გამოთქვა დათმოს ვუჩინიჩი, თუკი მის გუნდში **კლაუდიო მარკიოზიო** გადავა, თუმცა „იუვეს“ ნახევარმცველს აუცილებლად ხუთი მილიონი ევრო უნდა მიჰყვეს. ტურინელთა პასუხი მალე უნდა გაცხადდეს და ისლა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ამასობაში, სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის **დანიელე დე როსის** „რომადან“ აბარგების შესახებ, თუმცა **ვალტერ საბატინი** ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს: „მართალია, დე როსისთან ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან განშორებას ვაპირებთ. პირიქით, იმიტომ არ ვჩქარობთ კონტრაქტზე ხელმოწერების დასმას, რომ ერთმანეთს ვენდიობთ და ვიცით, რომ ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ შეიქმნება. დე როსი „რომას“ ერთ-ერთი ლიდერია და მასთან განშორება აზრადაც არ მოგვსლია. ერთადერთი ნახევარმცველი, ვისი წასვლის საკითხიც განიხილება, ჟერემი მენეზია. მისი გადაბირება რამდენიმე ძლიერ გუნდს სურს და შემოთავაზებებიც გვაქვს, ასე რომ, გამორიცხული არაა, ფრანგს გამოვემშვიდობოთ“.

„გაძეტა“ **ჟერემი მენეზის** თემასაც განავრცობს და გვაუწყებს, რომ ყველაზე მეტად მისი გადაბირებით „ფიორენტინაა“ დაინტერესებული. მას შემდეგ, რაც „ვიოლას“ ტიფოზებმა კლუბის მეპატრონეებს შეუტიეს და პროტესატი ღიადს გამოხატეს, დელა ვალეები გააქტიურდნენ და უცებ გაჩნდა ინფორმაციები იმ ფეხბურთელთა შესახებ, რომელთა მომავალსაც „ფიორენტინას“ უკავშირებენ. ერთ-ერთი მათგანია მენეზი, რომელიც ფლორენციაში გადაბარგების წინააღმდეგი არ არის: „რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ თუ მწვრთნელის გეგმებში ვერ ვჯდები, მაშინ მისამართის შეცვლა მომიწევს. ასეთ შემთხვევაში, არჩევანი ისეთ გუნდზე უნდა შევაჩერო, სადაც ბოლომდე მენდობიან და სათამაშო დროის დეფიციტი არ მექნება. ვიცი, რომ ჩემით „ფიორენტინაა“ დაინტერესებული, რაც ძალიან მსიამოვნებს. „არტემიო ფრანკიზე“ შესანიშნავი საფეხბურთო ატმოსფეროა, ფლორენცია კი მსოფლიოში საუკეთესო ქალაქი - ერთი სიტყვით, თუ კი „ვიოლაში“ გადავედი, ბედს ნამდვილად არე შევჩივლებ“.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვთქვათ, რომ „ფიორენტინას“ მესვეურებმა უკვე გაჩარხეს ერთი კარგი ტრანსფერი - მომდევნო სეზონიდან გუნდის ღირსებას **ანდრეა ლაძარი** დაიცავს. 26 წლის შუახაზელმა ბოლო სამი წელიწადი „კალიარიში“ გაატარა, 74 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 10 გოლი გაიტანა - ამასთან, იტალიის ეროვნული ნაკრების კანდიდატია. ლაძარის თქმით, „ფიორენტინაში“ გადასვლა სწორედ მის სანაკრებო კარიერას წაადგება: „სარდინიაზე თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, მაგრამ როდესაც „ფიორენტინაა“ შენით დაინტერესებული, ძნელია შეთავაზებაზე უარი თქვა. „ვიოლაში“ ახალი შესაძლებლობები მომეცემა და იმედია, ეროვნულ ნაკრებში მყარად მოვიკიდებ ფეხს“.

ლაშა წიკლაური

● ინტერი

გასპერინი: სუპერთასი უნდა მოვიგოთ

„ინტერი“ საწვრთნელი პროცესის პირველ ეტაპს გადის და პერიოდულად ამხანაგურ მატჩებსაც მართავს - ბოლო პაექრობა მილანელებმა თურქულ „გალათასარაისთან“ გამართეს და ნულოვან ფრეს დასჯერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ნერაძურიმ“ ვერ მოიგო და მეტიც, გოლიც კი ვერ გაიტანა, **ჯანპიერო გასპერინი** ოპტიმიზმით არის აღსავსე. „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი „კორიერე დელო სპორტს“ გაესაუბრა და შემდეგი განუცხადა:

„თურქებთან ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვერ ვივარგეთ და გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. „გალათასარაი“ ძალიან კარგი გუნდია და ფრე სულაც არ არის ცუდი შედეგი, თანაც რეზულტატს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი და ვფიქრობ, რომ წინ ძალიან კარგი სეზონი გველის. პირველი გამოცდა 6 აგვისტოს უნდა ჩავაბაროთ, როდესაც პეკინში „მილანთან“ მოგვიწევს დაპირისპირება. იტალიის სუპერთასი უნდა მოვიგოთ, რათა სეზონის სტარტს ამაღლებულ განწყობაზე შევხვდეთ“.

*6 აგვისტოს დაგეგმილი შეხვედრა იტალიურ პრესაში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება - მოახლოებულ დერბის თვით **მასიმო მორატი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: „თანაქალაქელთან დაპირისპირება ყოველთვის აქტუალურია და მით უმეტეს, როდესაც გამარჯვებული ტიტულს იგებს. ეს მატჩი იმითაც არის გამორჩეული, რომ ჩინეთის დედაქალაქში მოგვიწევს დაპირისპირება, სადაც „ინტერის“ უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. დიდი იმედი მაქვს, რომ ქომაგებს გავახარებთ“.*

ჯანპიერო გასპერინი

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაბზონი 2011

უიღბლო დღე

კახა ბერიძე
ტრაბზონიდან
სპეციალურად ლელოსთვის

„გურჯისტან, გურჯისტან. შოთა-აჩი," - ასეთი ოვაციებითა და შეძახილებით შეხვდნენ, პოლიციელებით დაწყებული, რიგითი მოქალაქეებით დამავრებული, ქართული დელეგაციის გამოჩენას „ავნი აკერის" სტადიონზე, სადაც საფეხბურთო კლუბი „ტრაბზონსპორი" თამაშობს. ბევრი მსმენია ტრაბზონში ტყუპების უზომო პოპულარობის შესახებ, რაშიც კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავრწმუნდი. საქართველოს გუნდი მასპინძლების მხრიდან უყურადღებობას ისედაც არ უჩიოდა და როგორც ჩანს, შოთა-აჩის ფაქტორი მათთვის ორმაგი სტიმულია. ორგანიზატორები თუ ადგილობრივი მცხოვრებნი გაჩერებენ და სურათის გადაღებას გთხოვენ, შემდეგ მხარზე ხელს დაგკრავენ და შოთა-აჩი სუპერო მოგაძახებენ.

ორგანიზატორების ჩანაფიქრით გახსნის ცერემონიალზე, რომელიც უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ფესტივალების ისტორიაში, ამა თუ იმ ქვეყანას დამსწრეთ რომელიმე წარმატებული სპორტსმენით აცნობდნენ. გულში გავიფიქრე, საქართველოს გუნდი, რომ აღლუმზე გავა, წამყვანი არველაძეების გვარს გამოაცხადებს და სტადიონიც დაინგრევა მეთქი, მაგრამ გავოცდი, როდესაც მიკროფონში გაისმა - „მიეესალმოთ საქართველოს, რომელიც ზაზა ფაჩულიას ქვეყანაა". ბუნებრივია ზაზას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს – პირიქით, მისით ყველანი ვამაყობთ და მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზეც ჩვენი უმთავრესი იმედია. თანაც ფაჩულია ხომ წლების განმავლობაში თურქული „ულქერის" ღირსებას იცავდა და კარგი თამაშიც ასე დაუფასეს. ლამაზი სანახავი იყო ცერემონიალის კულტურული ნაწილი, რომელიც ქართველმა მოცეკვავეებმა კიდევ უფრო დაამშვენეს. ოფიციალურ ნაწილში ახალგაზრდული ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ თურქეთის პრემიერ-მინისტრი **რეჯეფ ტაი ერდოღანი,** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **სუატ კილიჩი,** ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი **პატრიკ ჰიკი** და ა.შ. კულმინაციური მომენტი, რა თქმა უნდა, ცეცხლის ანთების ცერემონია იყო, რომლის პატივიც ტრაბზონელ მე|ჭიდავეს, მსოფლიოს ჩემპიონ **სელჩუკ ქების** ერგო.

გუშინ, ფესტივალის პირველი საშეჯიბრო დღე ქართველი სპორტსმენებისთვის წარუმატებელი გამოდგა. ჩოგბურთში **ალექსანდრე ბაკში,** რომელიც ტურნირზე 15-ე ნომრად განთესეს, პირველივე წრეში მონაკოელ **ლუკას კატარინას** დაუპირისპირდა. ჩვენებური მეტოქეზე ერთი წლით უმცროსია, რაც ჩოგბურთში ამ ასაკში მეტოქისთვის საგრძნობი უპირატესობაა. საბოლოოდ ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენელმა ალექსანდრეს 6:2, 6:1 მოუგო. ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. მიუხედავად დიდი სხვაობით წაგებისა, ბაკში თითოეულ გათამაშებაში თავგანწირვით იბრძოდა. **შოთა მეფარიძე** სანყის ეტაპზე თურქ **კომლეკ იგითგანს** შეხვდა და ამიტომაც იყო, ცენტრალური კორტი რომ დაუთმეს. ქართველი ჩოგბურთელის უპირატესობა მეოთხე შეხვედრის განმავლობაში აშკარა იყო და მის გამარჯვებაში ერთი წამითაც არ შეგვპარვია ეჭვი 6:2,6:4. შოთას სულის მოსათქმელად ცოტა დრო ჰქონდა, რადგან ორგანიზატორების გადაწყვეტილებით პირველი შეხვედრის მოგების შემთხვევაში გამარჯვებული მეორე წრის მატჩსაც იმავე დღეს მართავდა. ვიქტორ ბაკშის მოწაფეს 3 საათში უკვე ბრიტანელ **ლევის როსკილის** დაუპირისპირდა და სამწუხაროდ ვერაფერს გახდა, არადა ნისლიანი ალბიონის წარმომადგენელი გადაულახავი ბარიერი ნამდვილად არ იყო. სანყის სეტში ჩვენებური 3:2-ს ამარცხებდა მეტოქეს, თუმცა შემდეგ მოეშვა და ზედიზედ 4 გეიმი დათმო. მეფარიძისთვის მეორე სეტიც კატასტროფულად დაინყო და ბრიტანელი 4:0 დანინაურდა, თუმცა ქართველმა ჩოგბურთელმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. თითქოს შანსი გაჩნდა, შოთამაც საკუთარი ძალების ირწმუნა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო. სხვათა შორის, არაერთი ქვეყნის მოთამაშემ თუ მწვრთნელმა გააპროტესტა თამაშების გრაფიკი, მაგრამ ორგანიზატორები თავს იმით იმართლებდნენ ყველანი ერთნაირ პირობებში ხართო. პრინციპში ვერც შეედავები. მიუხედავად ბაკშისა და მეფარიძის მარცხისა, მათზე სასაყვედუროდ ენა არავის მოუბრუნდება. ისინი უდავოდ ნიჭიერი ბიჭები არიან და სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ქვეყანას ბევრ გამარჯვებას მოუტანენ. „ხომ ნახეთ როგორი ნიჭიერები არიან, მაგრამ ნიჭს თუ განვითარება არ მიეცი რა აზრი აქვს. ჩვენ სანამ აქ ჩამოვიდოდით ერთი თვე უქმად ვიყავით, აქ მოთამაშეთაგან უმრავლესობა კი ტურნირებზე ასპარეზობისა და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ უჩივის," - მითხრა გულდაწყვეტით ვიქტორ ბაკშმა.

მძლეოსნობაში **სალომე სირაძემ, გიგა ჭიკაძემ** და **გიორგი აზარაშვილმა** 100 მეტრზე სირბილში მოსინჯეს ძალები, ხოლო **თინათინ პაპუაშვილმა** 2000 მეტრზე ბარიერების თარჯრბენში. სამწუხაროდ, ოთხივე მათგანი ძალიან კოლეგებისგან. მათგან ვარსკვლავების მოწყვეტას არც არავინ ითხოვდა, მაგრამ არც ასეთ უსუსურ გამოსვლას ველოდით. საბოლოოდ, კვალიფიკაციის გადალახვა ვერც ერთმა მოახერხა. **ჭიკაძემ, აზარაშვილმა** და **სირაძემ** შესაბამისად 27-ე (11.61), 28-ე (11.65) და 19-ე (12.59) ადგილებზე გავიდნენ, პაპუაშვილმა მონაწილეთა სიმცირის გამო პირდაპირ ფინალური გარბენი შეასრულა და ბოლო 13-ე შედეგი აჩვენა.

რაც შეეხება ცურვას აქ **თეიმურაზ კობახიძემ** (100 მეტრი თავისუფალი ყაიდა) 34 მონაწილეში 27-ე ადგილი დაიკავა და საკუთარი შედეგი 3 წამით გააუმჯობესა. კობახიძისთვის ეს პირველი საერთაშორისო ტურნირია და კარგ გამოცდილებას შეიძენს.

დღეიდან საქმეში უკვე ჩვენი მთავარი დამრტყმელი ძალა ძიუდო ერთვება. პირველები ტატამზე 50 და 55 კილოგრამ წონით კატეგორიებში **ზვიად ხუბულური** და **ვანო მამისაშვილი** გავლენ. ეს უკანასკნელი ახლახან მალტაში გამართული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია და აქაც ფავორიტად ითვლება. გოგონებში **გურანდა შოთაძე** (48კგ) შეეცდება წარმატების მიღწევას.

ტრაბზონში ქართულ დელეგაციას დღეს სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** შემოურთდებიან, რაც ქართველი კიმონოისტებისთვის დამატებითი მოტივაციაც იქნება. ასევე იგეგმება თბილისის მერის **გიგი უგულავას** ჩამოსვლა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სამინისტროს ვეტერანი მუშაკი

ჟანა (ევგენია) გრიძუროვა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 26, 27. 07; დაკრძალვა 28. 07, 14 საათზე.

მისამართი: ვაზისუბანი IV მ/რაიონი, III კვ. XV კორპ.

შაბათს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ფეოლა; 6. კანიჯა; 7. ნატალი; 9. კინი; 10. დავიდსი; 11. ტონი; 14. ნაგანო; 15. სილვიო; 17. ვერონი; 18. კრუიფი; 19. კალაძე; 21. ცხენნი; 25. ევრა; 26. კორნერი; 28. "ელჩე"; 31. ირვინი; 32. ტიფოზი; 33. ათენი.

შვეულად: 1. ვოლანი; 2. ლილი; 3. ფალკაო; 4. ანგისა; 5. ეტლი; 6. კოლინა; 8. იუინგი; 12. ანანიძე; 13. ციურიხი; 14. ნოვაკ; 16. ოლიჩი; 20. ალვესი; 22. ნიჩაბი; 23. ქორქია; 24. პროსტი; 27. ნორგეი; 29. ილიე; 30. მეფე.

ჭადრაკი

ლიდერებს მიუახლოვდნენ

ქართველი მოჭადრაკეები - **სოფიკო გურამიშვილი** და **ბესარიონ ხეცურიანი** პალეოხორას (საბერძნეთი) მე-4 საერთაშორისო შეჯიბრების მე-6 ტურში შავი ფიგრებით თამაშობდნენ, მაგრამ ორივე ჩვენებურმა წარმატებას მიაღწია და 4,5-4,5 ქულა მოაგროვა. გურამიშვილმა ამერიკელ რავენ სტარტს მოუგო, ხეცურიანმა მასპინძელ პანაგიოტის ხრისტოდულუს სძლია.

ხუთი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილის სათავეში 4,5-4,5 ქულით 9 მოჭადრაკე იმყოფებოდა. მეექვსეში მათგან მხოლოდ ორმა გაიმარჯვა: იური კრივორუჩკომ (უკრაინა), რომელმაც მე-3 ტურში გურამიშვილს აჯობა, ამჯერად ალექსანდრ ხარიტონოვს (რუსეთი) გააჩერებინა საათი, ხრისტოს ბანიკასმა (საბერძნეთი) კი ემრე ქენი (თურქეთი) დაამარცხა. 5,5-5,5 ქულით სწორედ ისინი დანინაურდნენ. მენინავეთა დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: ანდრეი რიჩაგოვი (რუსეთი)-ალბერტო დავიდი (ლუქსემბურგი), იაროსლავ ზინჩენკო (უკრაინა)-ალექსანდრ ზუბარევი (უკრაინა), მისა პაპი (სერბეთი)-მომჩილ ნიკოლოვი (ბულგარეთი).

ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ერთბაშად 12 მოჭადრაკე ჩამორჩება. შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

ნიჭიერები ქუთაისში შეიკრიბნენ

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და „საჭადრაკო აკადემიის" (ნიჭიერთა სკოლა) ინიციატივით ქუთაისში დაიწყო საქართველოს პირველობებში განსაკუთრებით გამორჩეული 11-17 წლის გოგონებისა და ჭაბუკებისთვის ათდღიანი საწვრთნელი შეკრება, რომელსაც იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი **ალექსანდრე არსენიძე,** საერთაშორისო დიდოსტატი **ლაშა ჯანჯღავა** (მთავარი მწვრთნელი) და ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის საჭადრაკო სკოლის დირექტორი **დავით კოდუა** ხელმძღვანელობენ. საჭადრაკო აკადემიის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები - **მერი არაბიძე და მარიამ დანელია,** ასევე, **ირაკლი ბერაძე, დეა გოგიშვილი, ნიკა ღვამბერია, ნანი უნაფქოშვილი, ნინო ხომერიკი, ნინო ჯალაღონია, ნოე თუთისანი, ლიკა კობეშავიძე, მარიამ ჭოლაძე, ირაკლი ახვლედიანი.**

საწვრთნელი შეკრება ითვალისწინებს ახალგაზრდა მოჭადრაკეთა როგორც ფიზიკურ წრთობას, ასევე თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას. სემინარები მიხეილ ბოტვინიკის საჭადრაკო სკოლის მეთოდიკით ჩატარდება, ანუ დაწვრილებით გაანალიზდება აკადემიის წევრთა საჭადრაკო შემოქმედება, გამოვლინდება მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაისახება ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები და შემოქმედებითი ზრდისთვის წერილობით მიეცემათ შესაბამისი დავალებები.

ქუთაისური შეკრება ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს ნლევანდელ მსოფლიოს და ევროპის პირველობებში წარმატებით ასპარეზობაში დაეხმარება.

ჯობავა დინჯი ნაბიჯებით

სომხეთის ჭადრაკის ფედერაციისა და საჭადრაკო აკადემიის ერთობლივ საერთაშორისო ტურნირზე („სევანის ტბა-2011") გუშინ მე-4 ტურის პარტიები გათამაშდა. იმის მიუხედავად, რომ შეჯიბრების რეიტინგფავორიტმა **ბაადურ ჯობავამ** (2713) წინა დღეს **არმან პაშიკიანთან** წააგო და სამი ტურის შემდეგ სულ ერთი ქულა ჰქონდა, გუშინ თეთრი ფიგურებით ჩინელ **ჩუოუ ძიანჩაოს** 22-ე სვლაზე დაუზავდა და მონაგარი მხოლოდ ნახევარი ქულით გაიმდიდრა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ მასპინძლები - **ზავენ ანდრიასიანი** და **ტიგრან პეტროსიანი.** სომეხმა **ჰრანტ მელქუმიანმა** თანამემამულე **სამველ ტერ-სააკიანი** დაამარცხა, **ავეტიკ გრიგორიანმა** არმან პაშიკიანს (ორივე-სომხეთი) სძლია. **სერგეი ჟიგალკოს** (ბელარუსი) და **ილდარ ხაირულინის** (რუსეთი) ორთაბრძოლა არ გამართულა.

ოთხი ტურის შემდეგ: გრიგორიანი, პეტროსიანი, მელქუმიანი-2,5-2,5, ანდრიასიანი, ძიანჩაო-2-2, ჟიგალკო, ხაირულინი (ორივეს-3-3 შეხვედრიდან), პაშიკიანი, ტერ-სააკიანი, ჯობავა-1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ ხაირულინი-ანდრიასიანი, პაშიკიანი-ჟიგალკო, ძიანჩაო-გრიგორიანი, ტერ-სააკიანი-ჯობავა, პეტროსიანი-მელქუმიანი.

კოეფიციენტით...

სტრასბურში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში 13 ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის - 10 დიდოსტატი.

ცხრა შესაძლებლიდან დაუმარცხებლად 7 ქულა მოაგროვა (5 მოგება, 4 ყაიმი) თბილისელმა **დავით არუთინიანმა,** რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვეს ფრანგმა **დალ აბერგელმა,** ბელგიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ **ალექსანდრე დგებუაძემ,** ლატვიელმა **ნორმუნდას მიეზისმა** და გერმანელმა ოსტატმა **იგორ სოლომუნოვიჩმა,** რომლებსაც უარესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მეხუთე ადგილები ერგოთ.

მასალები მოამზადა **ვაჟა დანელიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენოსნობა



აბაშაში ტრადიცია გაიხსენეს

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ინიციატივით გაიმართა შეჯიბრება ცხენოსნობის ერ-ოვნულ სახეობებში აბაშის მარტვილის, სენაკის, ხონის, ფოთის, ქუთაისისა და ჩოხატაურის მხედრების მონაწილეობით. პროგრამაში შედიოდა ისინდი, ცხენბურთი, დოღი სამ დისტანციაზე. ისინდში სენაკისა და აბაშის გუნდების ფინალურ პაექრობაში გამარჯვება სენაკელებმა მოიპოვეს 13:11 , ცხენბურთში კი იმავე გუნდების დაპირისპირება 6:6 დასრულდა.

1400 მეტრზე დოღში ადგილები ასე განაწილდა: 1. ალიკა მირუაშვილი (აბაშა, ცხენი "ჩანჩქერა"), 2. თორნიკე სულაბერიძე (ქუთაისი, ცხენი "დაბუნი"), 3. გიორგი რუსია (მარტვილი, ცხენი "ალმასი").

2400 მეტრი: !. გიორგი გოჩოლეიშვილი (აბაშა, ცხენი "ურუანტელი"), 2. სიმონ გაჩეჩილაძე (აბაშა, ცხენი "განგაში"), 1. დავით ბრეგაძე (ქუთაისი, ცხენი "ტაურა").

3600 მეტრი. 1. ალიკა ლილუაშვილი (აბაშა, ცხენი "შურდული"), 2. ვარდენ ხურცია (მარტვილი, ცხენი "სიგელი"), 3. გოგა გვაზავა (აბაშა, ცხენი "ტორნადო").

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს აბაშელმა ცხენოსნებმა. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს სენაკისა და ქუთაისის ცხენოსნებმა. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ მათთვის დაწესებული პრიზებით, მედლებითა და დიპლომებით.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ერთადერთი გოგონა - ფოთელი **თეონა ტყეებუჩავა,** რომელის სიჩაუქემ მრავალრიცხოვანი მაყურებელის მოწონება დაიმსახურა.

ჩვენთან საუბარში აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გურამ გუნავამ** თქვა, რომ ასპარეზობა მომავალი წლიდან უფრო მასშტაბური გახდება, მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, საერთოდ მეტი ყურადღება მიექცევა ცხენოსნობის სპორტის ტრადიციულ სახეობებს.

ბესიკ გვაზავა
აბაშიდან

ჩოგბურთი

ბაგიშვილის ახალი სამიზნე – ტოპ-50

გუშინ WTA-ს და ATP-ის რეიტინგ-ლისტები განახლდა. მოუთმენლად ველოდით ცვლილებებს ქალთა კლასიფიკაციაში, რადგან **ანა ტატიშვილმა** გასულ კვირაში პირველად ითამაშა WTA-ს ტურნირის მეოთხედფინალში. მას 70 ქულა უნდა შემატებოდა და წინ წაწეულიყო. ასეც მოხდა - 21 წლის ქართველმა 11 საფეხურით წაიწია წინ, მოწინავე ასეულში ამხელა წინსვლა უკვე იშვიათია - ანა 785 ქულით მსოფლიოს 82-ე ჩოგანია. ეს მისი კარიერის ახალი მიღწევაა. ტატიშვილი წლის რბოლაში კიდევ უფრო წინაა - 66-ე პოზიციაზეა. წყვილთა თანრიგში კი მხოლოდ 116-ე ადგილზეა. ანას მოპოვებულმა საპრიზო ფონდმა უკვე 334 ათასი დოლარი შეადგინა, აქედან 125 ათასი დოლარი 2011 წელზე მოდის.

ანა ტატიშვილი

იმედია, ანა მიღწეულზე არ გაჩერდება, ეს კარგად გამოჩნდა ბაქოშიც, სადაც მეოთხედფინალურ მატჩში 3-საათიანი ბრძოლა გაუმართა მსოფლიოს მე-3 ჩოგან **ვერა ზვონარევას**. მოდი, ვნახოთ, რა პერსპექტივა აქვს ჩვენებურს კიდევ უფრო დაწინაურების. უპირველესად დავითვალოთ ის ქულები, რომლებიც ანამ უნდა დაიცვას წლის ბოლომდე, რომ უკან არ დაიხიოს. სექტემბრამდე ანას არაფერი ემუქრება, მერე კი უნდა დაიცვას ამერიკის ღია პირველობაზე მოპოვებული 50 ქულა (მაშინ მან ორი ეტაპი გაიარა საკვალიფიკაციო ბადეში). ანა ახლა პირდაპირ ძირითად ბადეში ითამაშებს და პირველი ეტაპის მოგებით უფრო მეტ ქულას აიღებს. ამის გარდა წლის ბოლომდე დასაცავია: კვებეკის (30 ქულა), ალბუკერკის (50), ლას ვეგასის (18), გრენბლის (18) და ფინიქსის (50) ქულები. ანუ ბევრიც არაფერი. სტაბილური თამაშის პირობებში ტოპ-50-ეული არ უნდა იყოს სეზონის ბოლომდე ძნელი მისაღწევი.

სხვა ქართველები - WTA: 199 (-4) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 292 ქულა; 207 (+17) **მაკა ჩახნაშვილი** - 273; 243 (+2) **სოფიო შაფათავა** - 227; 334 (+43) **თათია მიქაძე** - 149; 448 (+23) **ეკა გორგოძე** - 88; 451 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** - 87. ATP: 836 (+2) **ლადო ჩიხლაძე** - 13 ქულა; 1212 (-) **გიორგი ცივაძე** - 3. როგორც ხედავთ, რამდენიმე ჩვენებურს წინსვლა აქვს, განსაკუთრებით კი თათია მიქაძემ მოიგო ამ კვირაში, ბაქოს მერვედფინალში გასვლით მან წინ თითქმის 50 საფეხურით წაიწია. რეიტინგში აღარ არის **მანანა შაფაქიძე,** რომელსაც დიდი ხანია არსად უთამაშია, არადა, მანანა იმედისმომცემად იწყებდა კარიერას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა. ინტერვიუ ჯონი ლორიასთან

მწვრთნელი ასწავლის და თავადაც სულ სწავლობს

დიდი ხანია ჯონი ლორია თავისუფალ ჭიდაობაში ფალავნებს უზრდის საქართველოს, თუმცა იგი ერთ-ერთი იმ მწვრთნელთაგანია, რომელიც ძალიან იშვიათად ჩნდება მედიაში და შესაბამისად სპორტის ქომაგმაც ცოტა რამ იცის მის საქმიანობაზე. მეტიც, როგორც ბატონმა ჯონიმ გვითხრა, ჩვენთან ინტერვიუ მისთვის ერთგვარი სადებიუტოც კი ყოფილა პრესასთან ურთიერთობაში. არადა ამ ადამიანს არც სამუშაო გამოცდილება აკლია და არც მისი შრომით წარმატებამოხვეჭილი მადლიერი შეგირდები.

გთავაზობთ ინტერვიუს ჯონი ლორიასთან, რომელიც ვარიანში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისწინა შეკრებაზე ჩავიწერეთ.

- ბატონო ჯონი, თავდაპირველად თქვენი სამწვრთნელო კარიერის გარიჟრაჟი გაიხსენეთ.

- მწვრთნელობა, მოჭიდავის ხანმოკლე კარიერის შემდეგ, 36 წლის წინათ დავიწყე გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში და დღემდე იქ ვმუშაობ. თუმცა ამ სასწავლებელს ახლა გარკვეულწილად შეცვლილი აქვს პროფილიც და სახელწოდებაც - ოლიმპიური მომზადების ცენტრი ჰქვია. დიდი ხანია იქ მთავარი მწვრთნელის ფუნქციას ვითავსებ და სპეციალისტთა საკმაოდ კარგ ჯგუფთან მიწევს თანამშრომლობა.

- გლდანის სკოლა-ინტერნატს არაერთი ტიტულოვანი ფალავანი გაუზრდია. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა პროფილის შეცვლით?

- გარკვეული პლუს-მინუსები მაშინაც იყო და ახლაცაა. ზოგადად ჩვენი მუშაობის პრინციპი მუდამ იყო სკოლაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან პერსპექტიული სპორტსმენები მიგვეღო და აღგვეზარდა. ადრე ასეთები ჯერ კიდევ 12-13 წლის ასაკშიც მოჰყავდათ, ახლა გაცილებით უფროსები მოდიან. არადა უკვე ჩამოყალიბებული სპორტსმენის სტილის შეცვლა ძალიან ძნელია. თანაც ახლა ხშირად, ერთ წელინადში თუ შედეგი ვერ აჩვენა, უკან აბრუნებენ. მე ეს არ მიმაჩნია მართებულად. იშვიათობა არაა, როცა სპორტსმენი გვიან იხსნება და ტიტულებსაც უხვად იხვეჭს. მისასალმებელია, რომ ჭიდაობის ფედერაცია და ქართული სპორტის თავკაცები ამ საკითხზე სერიოზულად მუშაობენ და, ვფიქრობ, ოლიმპიური ცენტრი მომავალში უფრო დახვენილი პროგრამით განაგრძობს საქმიანობას.

- რეგიონებიდან სპორტსმენთა ჩამოყვანა დასაოსტატებ'ლად აუცილებელია?

- აუცილებელია იმათთვის, სადაც არ არის მათი სრულყოფილად დაოსტატების პირობები. ეს ეხება როგორც სპორტულ ინფრასტრუქტურას, ისე მწვრთნელთა კადრებს. ცალკეულ შემთხვევას თუ ავიღებთ, მაგალითად, გორში ისეთი ძლიერი სკოლაა, რომ ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ეს ქალაქი იშვიათ გამონაკლისია.

- პირველი წარმატება გაიხსენეთ, რამაც სამწვრთნელო კარიერაში სტიმული მოგცათ...

- პირველი ასეთი წარმატება იყო ჩემი სოხუმელი შეგირდის, ბორის ღვინჯილიას მიერ 1979 წელს ტაშკენტში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებული ჩემპიონობა. 1981 წელს კი უკვე ვილნიუსში იგივე შედეგი გაიმეორა ჩემივე აღზრდილმა, საქართველოს ნაკრების ამჟამინდელმა თავკაცმა ზაზა თურმანიძემ, რომელიც ევროპის ჩემპიონიც გახდა 1987 წელს. ამ მიღწევებმა ნამდვილად დიდი სტიმული მომცა სამწვრთნელო საქმიანობაში. საბედნიეროდ, დღესდღეობით ევროპისა და მსოფლიოს არაერთი ჩემპიონი და პრიზორია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რომელთაც ჩემი ხელმძღვანელობით დაოსტატების გარკვეული ეტაპი გაუვლიათ. საერთოდ, ცნობილია, რომ ყველა ფალავანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. მე როგორც ნაკრების, ისე ოლიმპიური ცენტრის მწვრთნელს სხვადასხვა რეგიონის სპორტსმენებთან სისტემატიურად მიწევს ურთიერთობა და ესეც საკმაოდ საინტერესოა. მიმზიდველია განსხვავებული ხასიათისა და სტილის სპორტსმენებთან მუშაობა.



ჯონი ლორია

- საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის ამპლუაშიც დიდი გამოცდილება და წარმატებები დაგიგროვდათ...

- 1992 წელს დავიწყეთ ერთად მუშაობა მე და ნაკრების ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა. ერთი წლის მერე გაგვათავისუფლეს და 1994 წელს ისევ დაგვნიშნეს. საგულისხმოა, რომ ჩვენი ხელმძღვანელობით ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გუნდურ ჩათვლაში ყოველთვის სამეულში შედიოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მხოლოდ ერთი წელინადი იყო გამონაკლისი. მოგვიპოვებია საუკეთესო გუნდური შედეგებიც. აქვე ისიც მინდა განვაცხადო პირველად, რომ ყველაზე მეტი, როგორც მწვრთნელმა, სხირელისგან ვისწავლე. თუმცა ამხელა გამოცდილება მაქვს, ახლაც ბევრჯერ მომინიშნია ნუგზარის მეთოდებიდან საინტერესო დეტალები.

უცხოელთა მუშაობის სტილისა და, საერთოდ, ჭიდაობის სამყაროში მიმდინარე სიახლეების უშუალოდ გაცნობითაც ბევრს ვიძენთ. მწვრთნელი, მართალია, პირველ ყოვლისა, თავად ასწავლის, მაგრამ თვითონაც გამუდმებით უნდა სწავლობდეს.

ვასილ ბალახაძე
დავით ასპანიძის ფოტო

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ახალგაზრდული იწყება



ხვალ ბუქარესტში ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა იწყება, რომელიც ბერძენ-რომაელთა ტურნირით გაიხსნება. ჩვენი ნაკრები რუმინეთში ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ნიკა ცეცხლაძე** (50), **ამირან შავაძე** (55), **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96), **შოთა გოგისვანიძე** (120). ამათგან ცეცხლაძე და დავითაია ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონები არიან, დათუნაშვილი და დიხამინჯია კი ბრინჯაოსი. მწვრთნელმა **ვლადიმერ ადეიშვილმაც** ამიტომ დატოვა გუნდში, დანარჩენ ოთხეულს კი ევროპაზე არ უჭიდავია.

ჩემპიონატში პირველ დღეს 50, 60, 74 და 96-ის წარმომადგენლები ჩაებმებიან, დანარჩენები კი ზეგ იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე ამ გუნდმა ერთი ბრინჯაო მოიპოვა, რომელსაც **არსენ კახაბრიშვილი** (84) დაეუფლა.

წუხელ გამართულმა წილისყრამ ჩვენებურთა მეტოქეები გამოავლინა. ცეცხლაძე პირველ წრეში კორეელ **ჰუნ იუნს** ხვდება, ამათ შორის გამარჯვებულის მეტოქე კი სომეხი **რუდიკ მკრტიჩიანისა** და აზერბაიჯანელი **ვილაიატ გარამანლის** ბრძოლაში გაირკვევა. ცეცხლაძე ორივეს შეხვდა ევროპის პირველობაზე - სომეხს მოუგო, აზერბაიჯანელთან კი ფინალი დათმო. ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი იმედი ხარაბაძე იმ უკრაინელ **დმიტრო ციმბალიუკს** ეჭიდავება, ვისაც ევროპის წლევანდელ პირველობაზე **გოგიტა გოგიბერაშვილმა** აჯობა. სატურნირო ბადეში ჩვენებურის სიახლოვეესაა ევროპის ორივე ბრინჯაოს პრიზიორი - უფრო ახლოს თურქი **ემრე არსლანი,** ცოტა მოშორებით - უნგრელი **მატეი კრასცზანი**. აქვეა აზერბაიჯანელი **ორხან ფაშაევიც,** ვინაც ევროპის ვიცე-ჩემპიონი **როვშან ტაგიევი** შეცვალა. საინტერესოა, რომ არც რუსებს ჩაუყვანიათ ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ასკერ ორშოკდუგოვი,** თუმცა რუსი ხარაბაძის მხარეს არაა.

დათუნაშვილი პირველივე შეხვედრას მასპინძელ **სორინ ალექსანდრუ იანტოკთან** ჩაატარებს, რომელსაც ევროპაზე არ უჭიდავია. ჩვენებურს დიდად არც მერე გაუმართლა წილისყრამ - მის მხარეს მოხვდნენ აზერბაიჯანელი და რუსი ფალავნები. ოღონდ აზერბაიჯანელი **ტოგრულ იუნისლი** მეორე სეზონია, ნაკრებში და ღირებული ვერაფერი ქნა. მათ შორის - ვერც წლევანდელ ევროპაზე. ის პირველ წრეში მოლდოველ **იგორ ბესლეაგას** ხვდება, ვისაც დათუნაშვილმა ევროპაზე მოუგო. რუსმა **მიხაილ კორნილოვმა** ევროპის ჩემპიონი **ისლამ ჩარაევი** შეცვალა, მაგრამ მას ჩვენებური ნახევარფინალამდე ვერ შეხვდება. დიხამინჯია ტურნირს ირანელ **მოჰამედ მეჰრდად ბაიანდორთან** ორთაბრძოლით იწყებს, რომელმაც ნაკრებში მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **შაჰაბ გოურეჯილი** შეცვალა. დიხამინჯიას მხარეს ძლიერი და ტიტულოვანი არავინაა. შეიძლება ითქვას, რადგან ბადის მეორე ნახევარში მოხვდნენ მსოფლიოს შარშანდელი რუსი ჩემპიონი **ისლამ მაგომედოვი,** ევროპის წლევანდელი უნგრელი ჩემპიონი **გეორგი რიზმაიერი,** ევროპის სომეხი ვიცე-ჩემპიონი **არტურ ალექსანიანი** (ჩვენებურმა ამასთან ნაადგ კონტინენტის პირველობაზე) და თურქი მესამე პრიზიორი **მეტეჰან ბასარი**. რაც შეეხებათ „თავისუფლებს", ისინი 30-31 ივლისს იჭიდავებენ, ჩვენი ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია: **ლევან როჭიკაშვილი** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით გალეგაშვილი** (66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **მამუკა კორძაია** (96), **თედორე ებანოიძე** (120). ამათგან ხინჩეგაშვილმა და მარსაგიშვილმა ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელ პირველობაზე გაიმარჯვეს (მარსაგიშვილი ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედაც დასახელდა), პეტრიაშვილმა ვერცხლი მოიპოვა, ჩოჩიშვილი და ებანოიძე კი მესამეზე გავიდნენ, ოღონდ მაშინ ებანოიძემ 96-ში იჭიდავა. ევროპაზე ასევე მესამე იყო მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილიც,** მაგრამ ის ამჯერად ჭაბუკთა მსოფლიოსთვის ემზადება.

ირაკლი თავაძე

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

B დივიზიონი. სარაევო, ბოსნია

შენგელიას ევროალიარება: B დივიზიონის MVP

თორნიკე შენგელიას მონაგარი

შვეიცარია: 27 წუთი, 31 ქულა, 6 მოხსნა.
მაკედონია: 38 წთ, 40 ქ, 16 მ, 5 დაფარება.
პოლონეთი: 34 წთ, 26 ქ, 12 მ, 3 პასი, 3 ჩაჭრა.
ესტონეთი: 32 წთ, 33 ქ, 15 მ.
რუმინეთი: 32 წთ, 22 ქ, 11 მ, 3 დ.
ბულგარეთი: 35 წთ, 30 ქ, 21 მ, 3 პ.
დანია: 34 წთ, 28 ქ, 5 მ, 4 ჩ.
ჩეხეთი: 39 წთ, 33 ქ, 12 მ, 4 პ.
ესტონეთი: 34 წთ, 26 ქ, 10 მ, 4 პ. 4 დ, 2 ჩ.

სტატიას სასიხარულო ამბით დავიწყებთ: B დივიზიონის საუკეთესო კალათბურთელად (MVP) **თორნიკე შენგელია** დასახელდა. იგი ამავე დროს შეჯიბრების ბომბარდირიც გახდა (269 ქულა, საშუალოდ 29.9) და სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა: **დენის დონკორი** (ბელგია), **რაინ ვეიდემანი** (ესტონეთი), **მირალიმ ალილოვიჩი** (ბოსნია), თორნიკე შენგელია (საქართველო), **ონდრეი ბალვინი** (ჩეხეთი).

გადახედეთ ამავე გვერდზე ჩაწიკწიკებულ ციფრებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელები B დივიზიონში მართლაც გამორჩეულები იყვნენ და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება რომ მოიპოვეს, შემთხვევითობა არ იყო.

ქართველების გამარჯვება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა.

1. მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** უკვე მერამდენედ დაგვარწმუნა, რომ მაღალი დონის სპეციალისტია. იგი 2004 წლიდან ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბშია, პირველი გუნდის უცხოელი თავკაცებისგანაც ბევრი უსწავლია და არც პრაქტიკა აკლია - რუსთავის „ენერჯის" სამჯერ მოაგებინა საქართველოს ჩემპიონობა, ხოლო 2006 წელს ახალგაზრდული ნაკრები ელიტაში გადაიყვანა. უსტიაშვილმა წლეულსაც იმდენად კარგად მოამზადა 20-წლამდელები, რომ გუნდმა 11 დღეში 9 მატჩი ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა - დასკვნითი თამაშებისთვის ენერგიაც შერჩა და ხალისიც. ბოლო წუთებს მწვრთნელი იგებსო, ნათქვამია, ჰოდა ქართველებმა გადამწყვეტ მომენტში ყველა მეტოქესთან დამაჯერებლად ითამაშეს, მხოლოდ რუმინეთთან დამარცხდნენ, ისიც არაფრისმომცემ მატჩში.

2. დავით უსტიაშვილს საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელება ერთი გარემოების გამო მეტად უადვილებოდა - მას ჰყავდა უნივერსალი თორნიკე შენგელია, რომელიც შეჯიბრებას ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა და ტურნირის საუკეთესო კალათბურთელადაც სამართლიანად დასახელდა. თორნიკე თითქმის ყველა კომპონენტში ლიგის სტატისტიკურ ლიდერებში მოხვდა... იგი მწვრთნელთან ერთად ბოსნიიდან ავსტრიაში გადაფრინდა და ეროვნულ ნაკრებს შტაინბურნში შეუერთდა. თორნიკეს აგვისტოს ბოლოს უფრო მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელის - ევრობასკეტი 2011, სადაც არა **ბალვინი**, არამედ **კირილენკო** „დაეჭიდება"... .

3. დანიის ნაკრებში სამი ლიდერი იყო, დანარჩენები მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ. შედეგიც სახეზეა - საქართველოს ნაკრებმა დანიელებს 84:66 მოუგო. იმის თქმა გვინდა, რომ ახალგაზრდულ გუნდში მხოლოდ შენგელია არ თამაშობდა. თამამად უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ყველაზე ნიჭიერი თაობა 20-წლამდელთა ნაკრებში სწორედ ახლაა თავმოყრილი. შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე ესტონეთთან გადამწყვეტ მატჩში ბოლო წუთებზე გუნდს ვერ დაეხმარა (5 ჯარიმის გამო) შენგელია. ქართველებმა მის გარეშეც აჯობეს ყველაზე სახიფათო მეტოქეს: **ბოქოლიშვილმა** სირენამდე 1.4 წამით ადრე მეტოქის ფარზე ბურთი მოხსნა, კალათში ჩააბრუნა და 88:87.

■ ■ ■

ასე და ამგვარად, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მომავალ ზაფხულს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ოღონდ, გუნდში არ იქნებიან შენგელია, **ბაქრაძე, დვალიშვილი, ჩიკვილაძე**... მომავალი წლისთვის მათ ასაკის მიხედვით 20-წლამდელებში თამაშის უფლება არ ექნებათ.

ვისი იმედი უნდა გვქონდეს ევროპაზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. შეგვიძლია მხოლოდ სამი გვარის დასახელება: ბოქოლიშვილი, **სანაძე, თენიეშვილი...** 1992 წელს დაბადებული ეს კალათბურთელები ერთი წლით უფროსებში წლეულსაც თამაშობდნენ და გაისად უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ...

ყველა მატჩი

I ჯგუფური ეტაპი

საქართველო-შვეიცარია	82:74
საქართველო-მაკედონია	87:75
საქართველო-პოლონეთი	76:69
საქართველო-ესტონეთი	88:87
საქართველო-რუმინეთი	85:89 დ.დ.

II ჯგუფური ეტაპი

საქართველო-ბულგარეთი	88:75
საქართველო-დანია	84:66

1/2 ფინალი

საქართველო-ჩეხეთი	74:72

ფინალი

საქართველო-ესტონეთი	79:70

სტატისტიკური ლიდერები

ქულა

მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	ქ.საშ.
1. შენგელია	საქ.	9	269	29.9
2. გრზნარი	სლოვაკ.	8	202	25.3
3. ლიუტიჩი	ბელარ.	7	162	23.1

თამაშიდან ჭყორცნების %

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩაგ.	ნასრ.	%
1. დვალიშვილი	საქ.	9	52	79	65.8
2. ბალვინი	ჩეხ.	9	46	75	61.3
3. ლიუტიჩი	ბელარ.	7	50	83	60.2

2-ქულიანები

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩაგ.	ნასრ.	%
1. დვალიშვილი	საქ.	9	52	74	70.3
2. ოსმანი	მაკედ.	7	32	51	62.7
3. ლიუტიჩი	ბელარ.	7	43	69	62.3

3-ქულიანები

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩაგ.	ნასრ.	%
1. დორგეკი	ესტ.	9	11	20	55.0
2. ფერეიირინიო პორტ.		9	21	39	53.8
3. სალაუიუ	ბელარ.	7	10	20	50.0
31. სანაძე	საქ.	9	19	53	35.8

საჯარიმოები

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩაგ.	ნასრ.	%
1. ლუნდესტადი	ნორ.	7	18	21	85.7
2. ლაერკე	დან.	8	42	50	84.0
3. ლიუტიჩი	ბელარ.	7	55	67	82.1
13. შენგელია	საქ.	9	75	100	75.0
14. ბაძრაძე	საქ.	9	24	32	75.0

შეგებვითი მოხსნა

მოთამაშე	გუნდი	თ	მ	საშ.
1. ბერგსტედტი	დან.	8	46	5.8
2. ელინგსფელდი	უნგ.	6	25	4.2
3. შენგელია	საქ.	9	30	3.3

დაცვითი მოხსნა

მოთამაშე	გუნდი	თ	მ	საშ.
1. შენგელია	საქ.	9	78	8.7
2. სოკოლოვსკი	პოლ.	9	73	8.1
3. ბერგსტედტი	დან.	8	62	7.8

მოხსნა სულ

მოთამაშე	გუნდი	თ	მ	საშ.
1. ბერგსტედტი	დან.	8	108	13.5
2. შენგელია	საქ.	9	108	12.0
3. სოკოლოვსკი	პოლ.	9	101	11.2

პასი

მოთამაშე	გუნდი	თ	პ	საშ.
1. ვან ოოსტრუმი	ბრიტ.	9	45	5.0
2. ნიკარინენი	ფინ.	9	41	4.6
3. სტეინარსონი	ისლ.	8	34	4.3
14. ბაძრაძე	საქ.	9	30	3.3

ჩაჭრა

მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	საშ.
1. იაუნინი	შვეიც.	7	23	3.3
2. ვეიდემანი	ესტ.	9	27	3.0
3. ლავიე	ისრ.	8	23	2.9
13. შენგელია	საქ.	9	17	1.9

დაფარება

მოთამაშე	გუნდი	თ	დ	საშ.
1. ტიგირნა	რუმ.	9	26	2.9
2. შენგელია	საქ.	9	21	2.3
3. ბერგსტედტი	დან.	8	14	1.8

შეცდომა

მოთამაშე	გუნდი	თ	შ	საშ.
1. ვან ოოსტრუმი	ბრიტ.	9	42	4.7
2. გრზნარი	სლოვაკ.	8	36	4.5
3. შენგელია	საქ.	9	36	4.0

წუთი

მოთამაშე	გუნდი	თ	წთ	საშ.
1. ლაერკე	დან.	8	297	37.1
2. ბაკი	დან.	8	295	36.9
3. ბერგსტედტი	დან.	8	292	36.5
13. შენგელია	საქ.	9	305	33.9

ორმაგი დუბლი

მოთამაშე	გუნდი	თ	დუბლი
1. შენგელია	საქ.	9	7
2. ბალვინი	ჩეხ.	9	7
3. ბერგსტედტი	დან.	8	6

მოთამაშე	თ	წთ	2ქ	%	3ქ	%	1ქ	%	მ.მეტ.	მ.საკ.	მ.სულ	პ	შ	ჩ	დ	ფ	ქ
შენგელია	9	33.9	8.4/15.4	54.7	2/5	31.1	8.3/11.1	75.0	3.3	8.7	12.0	2.6	4.0	1.9	2.3	3.1	29.9
დვალიშვილი	9	29.9	5.8/8.2	70.3	0/1	0.0	1.6/3.2	48.3	2.2	5.0	7.2	0.4	1.4	0.9	0.9	2.9	13.1
სანაძე	9	24.7	2.1/3.9	54.3	2/6	35.8	1.4/1.7	86.7	1.2	2.6	3.8	0.7	1.1	1.0	0.3	2.2	12.0
ჩიკვილაძე	9	21.2	2.0/4.1	48.6	2/6	26.8	1.6/2.7	58.3	1.2	1.2	2.4	1.2	1.4	1.0	0.0	2.8	10.6
ლომაური	2	12.5	0.5/0.5	100.0	3/4	62.5	0.5/1.0	50.0	1.5	0.5	2.0	0.0	0.0	0.0	0.5	0.5	9.0
ბაძრაძე	9	28.4	1.6/3.6	43.8	0/2	11.8	2.7/3.6	75.0	0.1	1.8	1.9	3.3	2.9	1.4	0.0	1.8	6.4
თენიეშვილი	8	21.6	1.1/2.0	56.3	0/1	12.5	0.6/0.9	71.4	1.0	2.4	3.4	1.0	0.5	0.4	0.0	2.6	3.3
ბოქოლიშვილი	9	21.2	0.9/3.0	29.6	0/1	23.1	0.3/0.4	75.0	0.2	0.4	0.7	0.9	0.6	0.6	0.1	1.2	3.1
ლეჟავა	9	10.2	0.3/0.4	75.0	0/1	20.0	0.2/0.2	100.0	0.0	1.2	1.2	0.4	0.7	0.6	0.0	0.9	1.6
რევაზაშვილი	8	7.6	0.4/0.6	60.0	0/0	0.0	0.4/0.5	75.0	0.4	0.6	1.0	0.1	0.5	0.1	0.0	1.8	1.1
ბეძაური	5	4.0	0.0/0.2	0.0	0/0	0.0	0.0/0.0	0.0	0.0	0.4	0.4	0.0	0.4	0.0	0.0	0.6	0.0
თავართქილაძე	2	9.7	0.0/0.0	0.0	0/0	0.0	0.0/0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	0.0	0.0	1.0	0.0
გუნდი									2.7	2.7	5.3		0.3			0.0	
ჯამი	9		22.6/41.2	54.7	6.8/24.0	28.2	17.1/24.3	70.3	12.6	26.6	39.1	10.7	13.6	7.8	3.8	19.6	82.6

● საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

ლუქსემბურგთან მოვიგეთ... ოვერტაიმში!

როგორც ჩანს, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებზე დამთრგუნველად იმოქმედა პირველივე მატჩი უნგრეთთან დიდი სხვაობით წაგებამ. მას მერე ჩვენმა გუნდმა ბულგარეთთანაც დათმო და კი-ნაღამ ლუქსემბურგელ 18-წლამდელებთანაც იგივე დაემართა.

ჯუჯა ქვეყნის ნარმომადგენლებთან **ბექა ბურჯანაძის** (18 ქულა, 16 მოხსნა) კარგი თამაშის წყალობით ქართველები საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე 11 ქულის სხვაობით იგებდნენ (84:73), თუმცა, დარჩენილ დროში ლუქსემბურგელებმა შეუძლებელი შეძლეს და მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე 25 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრეს - 90:90. ბოლო იერიშის უფლება ქართველებს დარჩათ, მაგრამ **ირაკლი მიქელაძემ** სამქულიანი ვერ გამოიყენა და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებითი დროის დასაწყისში ჩვენმა გუნდმა 9:3 გაქცევა მოაწყო და საბოლოოდ 105:98 იმარჯვა.

გუშინვე ბულგარეთმა უნგრეთს მოუგო და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ეს ორი გუნდი პირველობისთვის ბრძოლას აგრძელებს, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები კი მეცხრე-მეთვრამეტე ადგილებისთვის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.

გუნდი	თ	მ	წ	ქ
1. ბულგარეთი	3	3	0	6
2. უნგრეთი	3	2	1	5
3. საქართველო	3	1	2	4
4. ლუქსემბურგი	3	0	3	3

● ტრანსფერი ჩაიშალა

ფაჩულია: ბეშიქთაშში ალარ ვითამაშებ

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ზაზა ფაჩულია** თურქულ „ბეშიქთაშში" გადასვლას რომ აპირებდა, ჩვენი გაზეთის მკითხველმა კარგად იცის. ზაზამ ინტერვიუშიც აღნიშნა - თურქეთში მანამ ვითამაშებ, ვიდრე NBA-ში ლოკაუტი დასრულდებაო. იქვე დაამატა - კონტრაქტი შეთანხმებულია და ხელს მალე მოვაწერო...

ახალი ინფორმაციით ხელმოწერა არ შედგება - ზაზა და „ბეშიქთაში" პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ეს ამბავი ამერიკულ პრესაში ფაჩულიას „ტვიტერზე" დაყრდნობით გავრცელდა. აი, რა დაწერა ზაზამ სოციალურ ქსელში:

- „ბეშიქთაშში" ჩემი გადასვლის შესახებ ბევრი ლაპარაკობდა, საკითხი თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ კონტრაქტი ვერ შედგა. ამის მიზეზი ისაა, რომ პირობებზე ვერ შევთანხმდით. „ბეშიქთაშში" არ ვითამაშებ.

ამ სიტყვებიდან ყველაფერი ნათელია. თუმცა სადღეისოდ, ზაზას სხვა საფიქრალი აქვს, იგი საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ ემზადება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ისტორია

ბობოლათა ჭახჭის პერიოდული რყევა

ნიკი ლიტლი საკაცით გაიყვანეს

სამოას ნაკრებმა ორი კვირის წინათ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში. მაშინ ყველა რობი დინსსა და მის სამწყსოს, „ვოლაბებს" აკრიტიკებდა. არავის აზრად არ მოსვლია სამოელების თავდადება, ჟინი და შესანიშნავი თამაში შეექო. ისტორიას რამდენიმე შემთხვევა ახსოვს, როცა კუნძულელებმა (სამოა, ფიჯი, ტონგა) მსოფლიო რაგბის ბობოლები გააწბილეს.

ავსტრალია-ტონგა 11:16
(1973 წელი)

ტონგის ნაკრებმა მაშინ თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. 1973 წლის 30 ივნისს ტონგელებმა ბრსიბენში ავსტრალიის ნაკრები დაამარცხეს - 16:11.

სანამ ავსტრალიას ეწვეოდნენ ტონგელმა მორაგბეებმა ახალი ზელანდია მოიარეს, სადაც იქაურ მაორების ნაკრებთან ორი შეხვედრა გამართეს, აქედან ერთი მოიგეს, მეორეში კი დამარცხდნენ. ამის მერე „წითლებმა" გეზი სიდნეისკენ აიღეს, სადაც „ვოლაბებთან" 12:30 წააგეს. ერთი კვირის თავზე თამაში ბრისბენში უნდა გამართულიყო. სიდნეიში განცდილი მარცხის შემდეგ ტონგელებს კარგს არაფერს უქადდნენ, თუმცა მომხდარმა ყველა პირდაღებული დატოვა.

ავსტრალიის ნაკრებმა გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა. ტონგას ნაკრების მწვრთნელს კი საკმაოდ ეფექტური ცვლილებები გამოუვიდა. პირველი ლელო შუამარბმა **ტალი კავაპალუმ** გაიტანა, რომელსაც პირველ შეხვედრაში არ უთამაშია. ამას კიდევ ერთი ახალწვეულის **სამი ლატუს** ლელო მოჰყვა. ერთი სიტყვით, ტონგელებმა თავის ისტორიაში ყველაზე ხმამაღალი სიტყვა თქვეს.

ფიჯი-ბრიტანელი ლომები 25:21
(1977 წელი)

1977 წელს „ბრიტანელმა ლომებმა" ტურნე ახალ ზელანდიაში მოაწყვეს. მანამდე 1971 და 1974 წლებში ისინი „ოლ ბელქსსა" და „ბოკესთან" სერიაში გამარჯვებული გამოვიდნენ. იმ წელიწადს კი ბრიტანელებმა 26 შეხვედრიდან 21 მოიგეს, რაც ასევე დიდოსტატური შედეგია. ერთ-ერთი მარცხი კი სუევაში მათ ფიჯელებთან იწვნიეს.

არადა, იმ დროს „ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში ისეთი დიდი ვარსკვლავები თამაშობდნენ **იან მაკგიჰანი, ფილ ბენეტი** და **ბილ ბამონტი** რომ არიან. „ლომებს" ფიჯელებმა ხუთი ლელო გაუტანეს, რომელთაგან ორი ფლანკერის, **ვუატა ნარისიას** ანგარიშზეა.

ირლანდია-სამოა 25:40
(1996 წელი)

სამოას ნაკრებმა თავისი მესამე გამარჯვება მითვალა ხუთი ერის წარმომადგენლებთან დაპირისპირებაში. „სამყურებმა", რომლებიც იმხანად სერიზოულ კრიზისს განიცდიდნენ, კუნძულელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

სამოას ნაკრები შესანიშნავი გუნდი იყო, განსაკუთრებით გამორჩეოდა ახალგაზრდა რვა ნომერი **ზაკ ფოუნატი**, რომელიც ჯაჭუშობაში იყო შემჩნეული. ამასთან დაკავშირებით, მოგვიანებით სასამართლო პროცესიც კი შედგა.

სამოას ნაკრებმა „ლენსდაუნ როუდზე" მასპინძლებს ხუთი ლელო გაუტანა და მხოლოდ ერთი მიიღო. ორი ლელო **ტოო ვაეგას** ანგარიშზეა.

უელსი-სამოა 31:38
(1999 წელი)

სამოელებმა უელსის ნაკრებს პირველად 1991 წელს მოუგეს 16:13. მას შემდეგ კუნძულელებს მთელი რვა წელიწადი დასჭირდათ გმირობის გასამეორებლად. 1999 წლის მსოფლიოს თასზე უელსელები ჯერ ავსტრალიის ნაკრებმა გაანადგურა, მერე კი სამოელთა მსხვერპლი გახდა - 38:31.

ამ მატჩის შედეგმა სარაგბო სამყარო შეაზანზარა. კუნძულელთა ასეთ „კადნიერებას" არავინ ელოდა. მოგვიანებით უელსელთა ცხრა ნომერმა **რობ ჰოულიმ** თქვა:

„ეს იყო გამაოგნებელი, სულისშემძვრელი თამაში. სამოელები ქარიშხალივით დაქროდნენ, მათი შეჩერება შეუძლებელი იყო."

ტონგა-საფრანგეთი 20:16
(1999 წელი)

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო თასისთვის მზადების პროგრამაში სამხრეთ ნახევარსფეროში ტურნე გამართა. პირველი მეტოქე სწორედ ტონგას ნაკრები იყო, რომელსაც „ტეუფაივა სტედიუმზე" დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს თასის მომავალი ფინალისტების რიგებში ლიდერები, **კრისტოფ ლამეზონი, ფაბიენ გალტიე** და **ტომა კასტანიედი** თამაშობდნენ, ტონგელებმა „ლე ბლეს" წინააღმდეგობის გატეხა მაინც მოახერხეს.

ტონგელთაგან ორი ლელო **ჯოშ ტაუმოლოლომ** გაიტანა, ხოლო ერთი **ტაუნაჰოლო ტაუფაჰემას** ანგარიშზეა. ფრანგების ტურნე კიდევ უფრო „ტრაგიკულად" გაგრძელდა, რადგან ერთი კვირის მერე ახალი ზელანდიის ნაკრებთან 7:54 წააგო.

ფიჯი-უელსი 38:34
(2007 წელი)

ამ გუნდების დაპირისპირება 2007 წელს საფრანგეთში გამართული მსოფლიოს თასის მშვენება იყო. ამავე ტურნირზე, მსგავსი გმირობის გამეორებამდე საქართველოს ნაკრებს ცოტა დააკლდა. მაშინ „ბორჯღალოსნებმა" ბობოლათა ერთ-ერთ წარმომადგენელს, ირლანდიის ნაკრებს დიდი ბრძოლა გაუმართეს და „სამყურები" სასწაულით გადაგვირჩნენ.

აი, ფიჯელებმა კი უელსის დამარცხება მაინც შეძლეს. საკმაოდ დაძაბულ და სანახაობრივად შესანიშნავ მატჩში კუნძულელებმა ბოლომდე ბრძოლის ჟინი გამოავლინეს და 73-ე წუთზე, როცა უელსელებს საქმე მოთავებული ეგონათ, გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანეს.

თამაში ფიჯელებისთვის გაორებული ემოციებით დასრულდა. გამარჯვების სიხარული **ნიკი ლიტლის** მძიმე ტრავმით გამოწვეულმა სინანულმა შეცვალა. ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს.

იტალია-კუნძულელთა ნაკრები 17:25
(2008 წელი)

კუნძულელთა ნაკრებმა 2008 წელს ცხრა ტესტ მატჩი გამართეს და მხოლოდ ერთი მოიგეს. იტალიის ნაკრებს საშინელი სეზონი ჰქონდათ. ექვსი ერის გათამაშებაში ბოლო ადგილი და „ხის კოვზი" ერგოთ. ზაფხულის და შემოდგომის ყველა ტესტი წააგეს და გამარჯვების ერთადერთი შანსი შინ კუნძულელებთან მატჩში რჩებოდათ.

თუმცა წყნაროკეანელებს **ვილიმონი დელასაუსა** და **სეილალა მაპუსას** მეთაურობით სულ სხვა გეგმები ჰქონდათ, „საკუადრა აძურას" რეჯიო ემილიაში 25:17 მოუგეს. დელასაუმ მატჩში ორი ლელო გაიტანა.

ავსტრალია-სამოა. 2011 წელი

● ქვიშის რაგბი. ევროპის თასი

მეშვიდე ადგილი ფრანგულ ქვიშაში

საქართველოს ქვიშის რაგბის ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირში პირველად წლეულს იასპარეზა. ჩვენი გუნდი საფრანგეთის ქალაქ ანგლეში, 22-25 ივლისს FIRA AER-ის მიერ ორგანიზებულ ევროპის ჩემპინატზე გამოვიდა და ათ გუნდში მე-7 ადგილი დაიკავა.

ჩვენ ეროვნულ გუნდს, რომელიც ძირითადად შვიდკაცა რაგბის ნაკრების მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული, მეტოქეობას ირლანდიის, რუმინეთის, უელსის, რუსეთის, უკრაინის, იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრებები უწევდნენ.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატი წლეულს ოფიციალურად პირველად ჩატარდა, რაც რაგბის ამ სახეობის მზარდ პოპულარობაზე მეტყველებს. პირველი ჩემპიონი მასპინძელთა გუნდი, საფრანგეთის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში რუმინეთის ნაკრები დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ქვიშის რაგბის პირველი ნაკრების პირველი მწვრთნელი, თბილისის „ხულიგანას" თავკაცი **მამუკა ტყეშელაშვილი** გახლდათ.

საქართველოს ნაკრები: **გიორგი შკინინი (ხულიგანა), გიორგი თხილაიშვილი, გიორგი კალმახელიძე (ორივე-არმია), გიორგი ქოპილაშვილი (აკადემია), გიორგი აბრამიძე (აია), დავით ჩიტიძე (ლოკომოტივი), ირაკლი გეგენავა (ყოჩები), ზაქრო ზირაქაშვილი (ხარები).**

● ლეგიონი

ქართველი ვესტერნ პროვანსის ნაკრებში

სამხრეთ აფრიკაში, ვესტერნ პროვანსის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ სარაგბო აკადემიას საქართველოს A ნაკრები შარშან სტუმრობდა და სამომავლო თანამშრომლობაზე ურიერთობაც მაშინ გადაწყდა.

ახლახან ვესტერნ პროვანსის რეგიონის რაგბის კავშირის საიტზე გავრცელებულ კომუნიკეში ამოვიკითხეთ, რომ ამ რეგიონის 19-წლამდელთა გუნდში, რომელიც სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში ასპარეზობს, ქართველი მორაგბე **ვატო რაფავა** მიიწვიეს.

ვატო რაფავა საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელის, ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მორაგბის **გია რაფავას** უფროსი ვაჟია. ვატო სტელენბოშის აკადემიაში წლის დასაწყისში ჩაირიცა და აგერ უკვე რეგიონის ნაკრებში მოხვდა. აი, რას წერს მის შესახებ ერთ-ერთი სამხრეთაფრიკულ სარაგბო საიტზე ამ აკადემიის მენეჯერი **იაკ ხენოკი:**

„ის სტელენბოშის აკადემიაში იანვარში ჩაირიცხა. ამპლუით მეორეხაზელი იყო, მაგრამ ჩვენ ვურჩიეთ შერკნების ბურჯად დაეწყო თამაში. უნდა გითხრათ, რომ არ შევმცდარვართ. მან იმედი გაგვიმართლა და აგერ ვესტერნ პროვანსის რეგიონის ნაკრებში მოხვდა".

ვატო ჯერჯერობით მხოლოდ სათადარიგოთა შორისაა, თუმცა შრომისმოყვარე და რაგბიზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა, იმედია, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებასაც შეძლებს.

აღსანიშნავია, რომ ვესტერნ პროვანსის 19-წლამდელთა გუნდი სამხრეთ აფრიკის მოქმედი ჩემპიონია. გუნდის მენეჯერს, **ტაპე ჰენინგს** მიაჩნია, რომ წლეულს ტიტულის შენარჩუნება გაუჭირდებათ. მიზეზი ბანალურია. თუ შარშან მოთამაშეთა არჩევა 50 საუკეთესო მორაგბისგან უწევდა, წლეულს მათი რიცხვი 30-მდე შემცირებულა.

ერთი სიტყვით, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, მთავარი ის არის, რომ სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი წამყვანი რეგიონის 19-წლამდელთა ნაკრებში ჩვენი კაცი გვაყავს, რომელიც სამშობლოში, ჩამოყალიბებული, მაღალი კლასის მორაგბედ დაგვიბრუნდება.

● სამი ერი

ლე რუმ სმიტს შეუტია

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტან **ჯონ სმიტს** კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. გასულ უქმეებზე სიდნეიში, ავსტრალიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ პრესისგან ყველაზე მეტი სწორედ მას და ნაკრების თავკაცს **პიტერ დე ფილიერსს** მოხვდა.

„ჯონ სმიტი საშინელი იყო. ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ის ნაკრების შემადგენლობაში მოხვდეს, რათა მსოფლიო თასზე იასპარეზოს. მას ახალ ზელანდიაში არაფერი ესაქმება.

რაც შეეხება პიტერ დე ფილიერსს მან კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მწვრთნელი არ არის. ის ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ღუპავს", - განაცხადა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილმა პირველხაზელმა **ოლი ლე რუმ.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. ტურნირების წინ

სტენფორდში დიდი ჩოგბურთი იქნება

დიდი ჩოგბურთის დრო მოვიდა

გთავაზობთ ამ კვირის საჩოგბურთო პროგრამას, რომელიც მამაკაცთა სამ და ქალების ორ ტურნირს მოიცავს.

ATP

Farmers Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 619 500 დოლარი

მონაწილეები: *მარდი ფიში, ხუან მარტინ დელ პოტრო, მარკოს ბაღდატისი, ტომას ბელუჩი, ქსავიე მალისე, დმიტრი ტურსუნოვი...*

ამ ტურნირს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლოს ანჯელესის სპორტულ ცხოვრებაში, რადგან ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს ქალაქის ყოველწლიურ შეჯიბრებებს შორის.

აქ გამარჯვება მოუპოვებიათ ჩოგბურთის ლეგენდებს: **როდ ლეივერს, ჯიმი კონორსს, არტურ ეშს, ჯონ მაკინროის, სტეფან ედბერგს, პიტ სამპრასს, მაიკლ ჩანგს, ანდრე აგასისა** და სხვებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში აქ **სემ კუერი** იმარჯვებდა, მაგრამ ახლა ეს ამერიკელი ტოვებს ტურნირს და ტიტულს არ დაიცავს. თუმცა ლოს ანჯელესში ამერიკული ტრადიცია ძლიერია და დიდია იმის შანსი, რომ გამარჯვებული ისევ ადგილობრივი ჩოგბურთელი გახდეს.

ამერიკელთაგან გამოკვეთილი ფავორიტი **მარდი ფიშია**, რომელმაც გუშინ ატლანტის ტურნირის ფინალში **ჯონ ისნერი** დაამარცხა და სეზონში პირველი ტიტული აიღო. წელს ფიშს აშკარა პროგრესი აქვს, რაზეც რეიტინგის ათეულში მოხვედრაც (პირველად კარიერაში) მეტყველებს.

თუმცა ამერიკელს სერიოზული კონკურენტი ეყოლება არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** სახით, რომელიც წელს დაბრუნდა ტურში, კლასიფიკაციაში მეოთხე ასეულში იმყოფებოდა, მაგრამ ახლა დამსახურებულად იკავებს ადგილს საუკეთესო ოცეულში.

Croatia Open

უმაგი (ხორვატია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

მონაწილეები: ხუან-იგნასიო ჩელა, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, ივან ლუბიჩიჩი, მარინ ჩილიჩი, ხუან-კარლოს ფერერო, ტომი რობრედო, ფაბიო ფონინი...

ეს ტურნირი 20 წელზე მეტია იმართება და იქ ბევრ სერიოზულ ჩოგბურთელს გაუმარჯვია, მათ შორის **ტომას მუსტერსს, მაგნუს ნორმანს, მარსელო რიოსსა** და **კარლოს მოიას**. ამ უკანასკნელს უმაგში ხუთჯერ აქვს მოპოვებული მთავარი პრიზი და ახლა ამ ტურნირის წარმომადგენელი გახლავთ.

შარშანდელი ჩემპიონი გახლავთ **ხუან-კარლოს ფერერო**. მართალია, ხორვატიის ღია პირველობა წელს მისთვის მხოლოდ მეხუთე ტურნირი იქნება, მაგრამ ბევრს ვეტერანი ესპანელი ფავორიტად მიაჩნია, რადგან ორი კვირის წინ ფერერომ შტუტგარტში გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ გრუნტზე კვლავაც მრისხანე ძალას წარმოადგენს.

Suisse Open

გშტაადი (შვეიცარია). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 398 250 ევრო

მონაწილეები: ნიკოლას ალმაგრო, სტანისლას ვავრინკა, მიხაილ იუჟნი, ფერნანდო ვერდასკო, ფელისიანო ლოპესი, გილერმო გარსია-ლოპესი...

ახლა, როცა ჩოგბურთელები აქტიურ მზადებას იწყებენ ამერიკული ჰარდის სერიის ტურნირებისთვის, მსოფლიოს მესამე ჩოგანს **როჯერ ფედერერს** არაფერში სჭირდება გრუნტის ტურნირი, თუნდაც იმ მის სამშობლოში ტარდებოდეს. ასე რომ, გშტაადში ლეგენდარულ როჯერს ვერ იხილავენ.

სამაგიეროდ, ითამაშებს **სტანისლას ვავრინკა**, რომელსაც მარტო მოუწევს ესპანურ არმიასთან გამკლავება. პირენეელები მრავლად ჩავიდნენ გშტაადში თავიანთ საყვარელ გრუნტზე სათამაშოდ, მათგან კი უნდა გამოვყოთ **ნიკოლას ალმაგრო** - შარშანდელი ჩემპიონი და გასულ კვირას ჰამბურგის ტურნირის ფინალისტი. წელს ამ ჩოგბურთელმა უკვე ხუთი ფინალის თამაშის მოასწრო და სამში გაიმარჯვა, ასე რომ, შემთხვევით არ იკავებს ადგილს რეიტინგის მეათე საფეხურზე.

WTA

Bank of the West Classic

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 721 000 დოლარი

მონაწილეები: *ვიქტორია აზარენკა, მარია შარაპოვა, სერენა უილიამსი, მარიონ ბარტოლი, სამანტა სტოსური, აგნიეშკა რადვანსკა, იულია გორგესი, ანა ივანოვიჩი...*

ქალებისთვის ეს იქნება US Open Series-ის პირველი ტურნირი. სტენფორდი 41-ედ მასპინძლობს ქალ ჩოგბურთელებს და „დიდი სლემის" ჩემპიონატებს თუ არ ჩავთვლით, ის ყველაზე „ხანდაზმული" გახლავთ ქალთა ტურნირებს შორის.

წელს სტენფორდს ესტუმრება რეიტინგის საუკეთესო ათეულის ოთხი წარმომადგენელი, კიდევ ოთხი ჩოგბურთელი ტოპოცეულის წევრია.

განთესვის ლიდერები შარშანდელი ფინალისტები არიან - მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ** მაშინ **მარია შარაპოვა** დაამარცხა, რომელიც ახლა მეხუთე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში.

განსაკუთრებულ ელფერს მატებს ტურნირს **სერენა უილიამსის** გამოსვლა. ის ექვსი კვირის წინ დაუბრუნდა ქალთა ტურს და ამერიკული ტურნირებისთვის მოსამზადებლად საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა. ადგილობრივ პუბლიკას სწორედ უმცროსი უილიამსის მზადყოფნა აინტერესებს.

Citi Open

კოლეჯ პარკი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

მონაწილეები: *შაარ პეერი, ნადეჟდა პეტროვა, ტამირა პაჩეკი, ელენა დოკიჩი, ბოიანა იოვანოვსკი...*

ამ ტურნირს დებიუტი აქვს WTA-ის ტურში და ისიც ამერიკის ღია პირველობისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად განიხილება. თუმცა სადებიუტო წელს ამ შეჯიბრის დონე საკმაოდ დაბალია - სატურნირო ბადეში საუკეთესო ასეულის მხოლოდ სამ წარმომადგენელს ვხედავთ.

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

დეჟავიუ ატლანტაში

მარდი ფიში

გასულ კვირას ATP-ის ტურში სტარტი აიღო „ამერიკული ჰარდის" სერიამ - ჩოგბურთელები ატლანტაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

პირველივე წრეში ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა - ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** ლატვიელი **ერნესტ გულბისის** წინააღმდეგ. ორივე ჩოგბურთელს უყვარს ჰარდზე თამაში, ამიტომაც შეხვედრა თანაბარი გამოვიდა და სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ ბლეიკს გაუმართლა. მეორე წრეში ვეტერან ამერიკელს უფრო სერიოზული გამოცდა ელოდა თანამემამულე **ჯონ ისნერის** სახით. თეორიულად მაქსიმალური 39 გეიმიდან 38 გათამაშდა. ისნერმა 30 ეისი გააკეთა და აღარ მიიყვანა მესამე სეტში საქმე ტაი-ბრეიკამდე - 7:6(8), 6:7(3), 7:5.

ჰარდის ტიპის საფრისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მატჩი გაიმართა მეოთხედფინალში - **ჟილ მიულერმა**, რომელმაც უიმბლდონზე გვარიანად ანერვიულა **რაფაელ ნადალი**, ორი წარმატებული ტაი-ბრეიკით გაიარა **კევინ ანდერსონის** ბარიერი და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში. იქ ლუქსემბურგელმა საკმაოდ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ისნერს, მაგრამ ამერიკელი ისევ კარგად აწვდიდა (ამჯერად მის ანგარიშზე 28 ეისი იყო) და ფინალის საგზური მოიპოვა - 7:5, 6:7(3), 6:1.

ბადის ზედა ნახევარში სიმშვიდე დაარღვია **რაიან ჰარისონმა**, რომელსაც მანამდე ნახევარფინალურ ეტაპზე არასოდეს ეთამაშა. თუმცა სატურნირო გზა არც ისე რთული ჰქონდა - მხოლოდ **ქსავიე მალისეს** დამარცხება იყო მოულოდნელობა. მეორე ნახევარფინალში **მარდი ფიშმა** ჰარისონს არანაირი შანსი არ დაუტოვა - 6:2, 6:4.

ასე რომ, განმეორდა შარშანდელი ფინალი. 2010 წელს მარდიმ გადამწყვეტი ტაი-ბრეიკი მოუგო ისნერს და ატლანტის ტურნირის პირველი ჩემპიონი გახდა. ამჯერად ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ისნერი რევანშის აღებას შეძლებდა. ჯონი უკეთ აწვდიდა და უფრო სწრაფად და აქტიურად თამაშობდა. მან პირველი სეტი 6:3 მოიგო და მეორეს ტაი-ბრეიკზე 5:1 დაწინაურდა.

ისნერის მსგავსი მოწოდების მქონე ჩოგბურთელთან ასეთი ჩამორჩენის გაბათილება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ფიშმა იმედი არ დაკარგა, ორი მატჩბოლი გადაარჩინა და პარტია მოიგო. მესამე სეტში მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა 3:1-ზე ფიშის სასარგებლოდ ისნერმა ორი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ მას ასეთი შანსი აღარ ჰქონია და მარდიმ ზედიზედ მეორედ მოიგო ეს ტურნირი - 3:6, 7:6(6), 6:2.

■ ■ ■

პარალელურად გაიმართა გრუნტის ტურნირი ჰამბურგში - ბოლო მსხვილი ევროპული სტარტი ოქტომბრის ბოლომდე.

აქ პირველ ნომრად ფრანგი **გაელ მონფილსი** იყო განთესილი, მაგრამ ის მეოთხედფინალში გამოთიშა ბრძოლას მეორე ფრანგმა **ჟილ სიმონმა**. ამ უკანასკნელს ნახევარფინალში უხერხული მეტოქე ჰყავდა რუსი **მიხაილ იუჟნის** სახით, რომელთანაც რვიდან შვიდი მატჩი წაგებული ჰქონდა. თითქოს ყველაფერი რუსის მორიგ ტრიუმფამდე მიდიოდა - ის სეტნახევარის განმავლობაში ძალიან კარგად გამოიყურებოდა და სულ ცოტა აკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ მეორე პარტიის ბოლოსკენ სიმონმა თამაშში გარდატეხა შეიტანა, ბოლო 10 გეიმიდან ცხრა მოიგო და ფინალში გასვლა იზეიმა - 3:6, 6:3, 6:1. აღსანიშნავია, რომ ჟილმა ექვსიდან ექვსი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, იუჟნმ - 13-დან მხოლოდ სამი.

მეორე ნახევარფინალში ესპანური დერბი გაიმართა - **ფერნანდო ვერდასკო ნიკოლას ალმაგროს** წინააღმდეგ. ალმაგროს სეტი არ ჰქონდა წაგებული, ვერდასკომ კი ერთადერთი სამსეტიანი მატჩი მეორე ნომრად განთესილ **იურგენ მელცერის** წინააღმდეგ ჩაატარა. რაც შეეხება ნახევარფინალს, იქ ხანგრძლივი გათამაშებები ჭარბობდა და ჩოგბურთლები ერთმანეთს ამტანობაში ეჯიბრებოდნენ. ამ მხრივ უკეთ მომზადებული ალმაგრო აღმოჩნდა და სწორედ მან მოიგო ორივე სეტში გადამწყვეტი ბურთები - 6:4, 6:1.

ფინალი თითქმის თანაბარი გამოვიდა. პირველი სეტი ერთადერთი ბრეიკის წყალობით სიმონმა მოიგო, არადა ალმაგროს რვა ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ყველა გაანიავა. მეორე პარტიაში ნიკოლასი 3:0 დაწინაურდა, თუმცა ფრანგმა საპასუხოდ ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო, და მაინც, სეტის ბოლო ნაწილი ისევ ესპანელისა იყო. დაინიშნა მესამე სეტი, სადაც ფრანგმა ისევ მოიპოვა ინიციატივა და შანსი ხელიდან აღარ გაუშვა - 6:4, 4:6, 6:4.

ATP

Tennis Championships

ატლანტა (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 531 500 დოლარი

ფინალი

მარდი ფიში (აშშ, 1)-ჯონ ისნერი (აშშ, 2) 3:6, 7:6(6), 6:2.

Tennis Championships

ჰამბურგი (აშშ). გრუნტი
საპრიზო ფონდი: 1 412 800 დოლარი

ფინალი

ჟილ სიმონი (საფ, 5)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3) 6:4, 4:6, 6:4.

ვერა ზვონარევა

დებიუტი ბაქოში

WTA-ის კალენდარში ახალი ტურნირი გამოჩნდა - ამერიკაში გამგზავრებამდე ქალმა ჩოგბურთელებმა აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს ჰარდი მოსინჯეს. 220 ათას დოლარის ოდენობის საპრიზო ფონდისთვის 12 რუსი, ხუთი უკრაინელი, სამი ქართველი, ორი ყაზახი, თითო ბელარუსი, უზბეკი და 15 წლის აზერბაიჯანელი **კამილა ფარჰადი** იბრძოდნენ. მათ დაემატათ ბრიტანელი **ელენა ბალტაჩა** და ფრანგი **არავან რეზაი**, რომლისთვისაც ეს თითქმის საშინაო ტურნირი იყო, რადგან ის წარმოშობით აზერბაიჯანის მეზობელ ირანიდანაა.

ტურნირის მთავარი ვარსკვლავი მსოფლიოს მესამე ჩოგანი **ვერა ზვონარევა** იყო, მის მთავარ მეტოქედ კი მეორე რუსს - **ანასტასია პავლიუჩენკოვას** ასახელებდნენ, მაგრამ მან ბაქოში თავი შეირცხვინა. **სოლოვიოვასთან** პირველ მატჩში პავლიუჩენკოვამ 25 ორმაგი შეცდომა დაუშვა და მაინც მოიგო, მესამე წრეში კი 27 ორმაგი ჰქონდა და ეს უკვე აღარ აპატია **გალინა ვოსკობოევამ**.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზვონარევამ მთელი სატურნირო ბადე დამაჯერებლად გაიარა. მას მხოლოდ მეოთხედფინალში გაუჭირდა, სადაც ქართველ **ანა ტატიშვილთან** 42-გრადუსიან სიცხეში სამსაათიანი მარათონის გადატანა მოუწია და ბოლოს საკუთარი გამოცდილების ხარჯზე გაიმარჯვა - 7:5, 6:7(4), 6:2. ზვონარევა გადამწყვეტ გათამაშებებში მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო, რაზეც ექვსიდან ექვსი რეალიზებული ბრეიკ-პოინტი მეტყველებს, იმ დროს, როცა ტატიშვილს 12 ასეთი შანსი ჰქონდა და მხოლოდ სამი გამოიყენა.

საბოლოოდ, ზვონარევამ კარიერაში 28-ე ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, მისი მეტოქე, ასევე რუსი **ქსენია პერვაკი** კი პირველად თამაშობდა გადამწყვეტ მატჩში. 20 წლის ჩოგბურთელს არ აღმოაჩნდა საკმარისი კლასი ფინალში ფავორიტისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. პირველ სეტში პერვაკმა მხოლოდ მეხუთე გეიმი აიღო და გადაურჩა „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას. მეორეში ზვონარევამ ბრეიკით დაიწყო, მაგრამ მისმა მეტოქემ დაკარგული მოწოდება დაიბრუნა და შეამცირა სხვაობა - 3:4, თუმცა იქვე ისევ წააგო თავისი გეიმი. ამით პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო მატჩის ბედი. საათსა და 23 წუთში ზვონარევამ კარიერაში მე-12 ტიტული გაიფორმა და ბაქოს ტურნირის პირველი გამარჯვებული გახდა.

Baku Cup

ბაქო (აზერბაიჯანი). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

ფინალი

ვერა ზვონარევა (რუს, 1)-ქსენია პერვაკი (რუს, 7) 6:1, 6:4.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ცურვა მსოფლიოს ჩემპიონატი

ჩემპიონის ცრემლები

ატირებული ჩემპიონი

ცურვის პროგრამის მეორე დღეს კვლავ მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. პროგრამა გახსნეს ქალმა მოცურავეებმა 100 მეტრზე ბატერფლაიში, სადაც შვედ **სარა სიოსტრიომს** ტიტულის დაცვა უწევდა. სკანდინავიელს წარმატებული გაცურვა არ გამოუვიდა და საპრიზო სამეულშიც ვერ მოხვდა. ძირითადი ბრძოლა ავსტრალიელ **ალისია კოუტსა** და ამერიკელ **დენა ვოლმერს** შორის განვითარდა. უკეთესი საფინიშო სპურტის წყალობით ამერიკის ნაკრების წევრმა შეძლო კონკურენტის 0,07 წამით ჩამოტოვება.

სპრინტის ბრაზილიელმა მეფე **სეზარ სელიო ფილიომ** თავისი სტატუსი ბატერფლაიში 50 მეტრ დისტანციაზე დაამტკიცა. მას ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა ამ მოკლე გაცურვის დროს და უკან ჩამოიტოვა ორი ავსტრალიელი - **მეტიუ ტარჯეტი** და **ჯეფ ჰიუჯილი**. ბრაზილიელს უდიდესი ზეწოლის გადატანა უწევს შანხაიში. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ის დოპინგის მიღებაში ამხილეს, მაგრამ სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ გაამართლა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის ნება დართო. ამის გამო სელიოს მაყურებლის სტვენა ესმოდა, კონკურენტებმა კი აუზში გამარჯვება არ მიულოცეს, მაგრამ უკვე პოდიუმზე მედლის მიღების შემდეგ ბრაზილიელს ტირილი აუტყდა და მხოლოდ მაშინ დაუჭირეს მას მხარი ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა. როგორც ჩანს, ოლიმპიურ ჩემპიონს მთელი პირველობა ასეთი ზეწოლისთვის გამკლავება მოუწევს.

ქალებს შორის 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სენსაცია შემოგვთავაზა 15 წლის ჩინელმა **შივენ იემ**. დისტანციის შუაში ამერიკელი **არიანა კუკორსი** დამაჯერებლად ლიდერობდა - როცა „კროლით“ გაცურვა დაიწყო, ის ნახევარი კორპუსით უგებდა ჩინელს, მაგრამ ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, პირველი ფინიშთან მაინც შივენი მივიდა. საინტერესოა, რომ სახელოვანი ავსტრალიელი **სტეფანი რაისი** მეოთხე ადგილზე გავიდა, რაც მისთვის ნამდვილი შოკი იყო.

არ შედგა მამაკაცებს შორის 100 მეტრზე ბრასში იაპონელი **კოსუკე კატაჯიმასა** და ნორვეგიელი **ალექსანდრ დალე ოენის** დუელი. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი სტარტზე შეყოვნდა და ვეღარ მოახერხა სამეულში შესვლა. სამაგიეროდ, ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა დალე ოენს და მან ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა, თანაც ძალიან მაღალი შედეგი აჩვენა - მსოფლიოს რეკორდამდე მხოლოდ 0,13 წამი დააკლდა. მეორე ადგილისთვის იბრძოდნენ **ფაბიო სკოცოლი** და **კემერონ ვან დერ ბურგი**. უფრო მეტად იტალიელს გაუმართლა.

კაცები

50 მ ბატერფლაი. 1. სეზარ სელიო ფილიო (ბრა) - 23,10; 2. მეტიუ ტარჯეტი (ავსტრა) - +0,18; 3. ჯეფ ჰიუჯილი (ავსტრა) - +0,25...

100 მ. ბრასი. 1. ალექსანდრ დალე ოენი (ნორ) - 58,71; 2. ფაბიო სკოცოლი (იტა) - +0,71; 3. კამერონ ვან დერ ბურგი (ს. აფრ) - +0,78...

ქალები

100 მ. ბატერფლაი. 1. დენა ვოლმერი (აშშ) - 56,87; 2. ალისია კოუტსი (ავსტრა) - +0,07; 3. იინ ლიუ (ჩინ) - +0,19...

200 მ. კომპლექსური. 1. იე შივენი (ჩინ) - 2.08,90; 2. ალისია კოუტსი (ავსტრა) - +0,10; 3. არიანა კუკორსი (აშშ) - +0,22...

● მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიდერმა ჩემპიონს აჯობა

გასულ უქმეებზე მოტომრბოლები ოკეანის გაღმა გაემგზავრნენ და მორიგი ეტაპი „ლაგუნა-სეკას“ ავტოდრომზე გაითამაშეს. ამერიკელ მრბოლელებს საკუთარმა კედლებმაც ვერ უშველეს და პოდიუმზე ნაცნობი სახეები ვიხილეთ.

კვალიფიკაცია მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ხორხე ლორენსომ** მოიგო. შემდეგ მოდიოდნენ **კეისი სტოუნერი, დანი პედროსა** და **ბენ სპისი**. შვიდეულში მოხვდნენ **მარკო სიმონჩელი, ანდრეა დოვიციოზო** და **ვალენტინო როსი**. ამ უკანასკნელისთვის ეს პატარა გამარჯვება იყო, რადგან იტალიელმა **ნიკი ჰეიდენს** აჯობა.

ლორენსოს კარგი სტარტი გამოვიდა და ლიდერობა შეინარჩუნა. კარგა ხანი წინ მყოფ პილოტებს შორის განსაკუთრებული ორთაბრძოლები არ შეინიშნებოდა, არადა, მათ შორის სხვაობა დაახლოებით ერთ წამს შეადგენდა. ერთადერთი, პედროსა ავიწროებდა ლორენსოს.

ფინიშამდე 16 წრით ადრე **კოლინ ედვარდსმა** ლამაზი მანევრით გვერდი აუარა **ექტორ ბარბერას** და მერვე ადგილზე გადავიდა. სწორედ ეს აღმოჩნდა ბრძოლის დაწყების ნიშანი.

რამდენიმე წამში სტოუნერმა შეუტია თანაგუნდელს და პედროსა იძულებული გახდა დანებებულიყო. როგორც კი ავსტრალიელი მეორე ადგილზე გადავიდა, მაშინვე უფრო მეტად უმატა ტემპს - ის მალე დაშორდა პედროსას და მისი „ჰონდა“ კვალში ჩაუდგა ხორხე ლორენსოს „იამაჰას“.

და სანამ სტოუნერი მეთოდურად, ყოველ წრეზე ეძებდა ლორენსოს გასწრების გზებს, სტარტზე ჩამორჩენილი ბენ სპისი მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში ანდრეა დოვიციოზოს ავიწროებდა. ამასობაში, სტოუნერმა მორიგი უშედეგო ცდის შემდეგ რისკს უკლო და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა, რომელიც ფინიშამდე ექვსი წრით ადრე დადგა - ჩემპიონატის ლიდერმა შიდა რადიუსით აუარა გვერდი „იამაჰას“ და რბოლას სათავეში ჩაუდგა.

ამით ლორენსოსთვის ყველაფერი დასრულებული იყო - თუ ის კიდევ ახერხებდა უკან პედროსას შეყოვნებას, მაგრამ წინ გაჭრილ სტოუნერის ტემპს ვერ აჰყვა და ლიდერთან ჩამორჩენა ყოველ წრეზე იზრდებოდა. ამასობაში, სპისმა მაინც მოუგო მეოთხე ადგილისთვის ბრძოლა დოვიციოზოს და ასეთი თანმიმდევრობა ფინიშამდე შენარჩუნდა.

ამ მოგებით სტოუნერმა 20 ქულამდე გაზარდა გენერალურ კლასიფიკაციაში ლორენსოსთან უპირატესობა. პოდიუმის წყალობით პედროსამ როსის გაუსწრო და მეოთხე ადგილზე გადავიდა. ასევე დაიძაბა ბრძოლა მეექვსე პოზიციისთვის სპისსა და ჰეიდენს შორის. შემდეგი ეტაპი - ჩეხეთის გრანპრი ბრნოში 14 აგვისტოს გაიმართება.

აშშ-ის გრან-პრი

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - 43:52.145; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - +5.634; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - +9.467; 4. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - +20.562; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - +20.885; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - +30.351; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - +31.031; 8. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა“) - +45.502...

საერთო ჩათვლა

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი“) - 193 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 173; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - 143; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 110; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა“) - 108; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - 98; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - 94; 8. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა“) - 67...

კეისი სტოუნერი

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

გერმანია

II ბუნდესლიგა

აინტრახტი-სტ. პაული	1:1

შოტლანდია

დანფერმლაინი-სტ. მირენი	0:0

დანია

კიოგე-მიდტიულანდი	2:3

შვედეთი

ელფსბორგი-იურგორდენი	2:1
გიოტებორგი-ჰალსტადი	3:1

II დივიზიონი

ჰამარბიუ-ასირისკა	0:0

ფინეთი

მიუპა-როვანიემი	2:0

II დივიზიონი

ლაჰტი-პკ35	1:1
კოტეპე-ვიიკინგიტი	1:2

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ვოლენი-ლოკარნო	5:2

ინგლისი

ჰაფნარი-ვალური	3:2

რუსეთი

ცსკა-კრილია	2:1

რუმინეთი

ბრაშოვი-გაზ მეთანი	2:1
კონკორდია-სპორტული	1:2
პეტროლული-ოცელული	2:1

ბელარუსი

მინსკი-გელშინა	1:2

მოლდოვა

ისკრა-ზიმბრუ	0:3

ჩოგბურთი

ATP. გუბაალი

ფიშერი-ისტომინი	3:6, 6:3, 4:6
ჰაიდერ მაურერი-მარტი	6:1, 6:4
ანდრეევი-ზვერევი	6:3, 6:1
სადეკი-ლუჩაკი	6:3, 3:6, 6:7

ATP. უმაგი

ვეიჩი-ჟუნკეირა	4:6, 5:7
დოდიგი-რამოს ვინოლასი	4:6, 6:3, 2:6

WTA. სტენფორდი

მარინო-ვანდეეგე	6:4, 6:4

● TV პროგრამა

26 ივლისი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო გოიანენშე.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი.
14:00 სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია.
16:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
16:30 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა.
17:55 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი.
19:20 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. მილანი.
20:10 ფეხბურთი. აუდის თასი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ინტერნასიონალი. მიუნხენი (LIVE).
22:10 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
22:40 ფეხბურთი. აუდის თასი. 1/2 ფინალი. ბაიერნი-მილანი. მიუნხენი (LIVE).
00:45 სუპერმატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ალმერია.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ნიუ იორკი-ბოსტონი.
13:50 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
14:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
21:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
23:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ნიუ იორკი-ბოსტონი.

I არხი

20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. ზესტაფონი-შტურმი (LIVE).

HTB-პლუსი (ქალათბურთი)

03:00 WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-სან ანტონიო (LIVE).

EUROSPORT

14:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-საბერძნეთი. რუმინეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ესპანეთი. რუმინეთი (LIVE).
05:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ნინასწარი გაცურვები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

● კალათბურთი

ლებრონის 33 ქულა და 400 ათასი ერთი მატჩისთვის

საბერძნეთის ნაკრების მცველი **ვასილის სპანულისი** მონაწილეობას ვერ მიიღებს ლიტვაში გასამართ ევრობასკეტში. კუნთის არეში ქრონიკული ტკივილების გამო კალათბურთელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ნაკრების საწვრთნელი შეკრება. როგორც ბერძნული პრესა წერს, სპანულისს, სავარაუდოდ, ოპერაცია მოუწევს.

ახლა ბერძნებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ უკანა ხაზზე, რადგან სპანულისს შეეძლო გამთამაშებლის პოზიციაზე თამაში. ეს ამპლუა პრობლემური გახდა ნაკრებისთვის მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კარიერა დაასრულეს **დიმიტრიოს დიამანტიდისმა** და **ტეო პაპალუკასმა**.

■ ■ ■

ესპანეთში დასრულდა 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. კონტინენტის პირველობა მასპინძელთა ტრიუმფით აღინიშნა - ესპანეთის ნაკრებმა **მიროტიჩის** 29 ქულის წყალობით ფინალში იტალია დაამარცხა - 82:70.

ესპანეთი: მიროტიჩი (29+11 მოხსნა), ფრენჩი (19+7 პასი+5 მოხსნა), ბარერა (10).

იტალია: მორასკინი (17), ჯენტილე (14), დე ნიკოლაო (11+9 მოხსნა).

თუმცა იტალიელებისთვის ფინალში გასვლაც დიდი მიღწევა იყო, რადგან ამ გუნდს 20 წელია ევროპის ჩემპიონატზე ასეთი შედეგი არ ჰქონია. ბოლოს იტალიამ 1992 წელს, სადებიუტო ჩემპიონატში ითამაშა გადამწყვეტი მატჩი და ტიტული მოიპოვა.

ბრინჯაოს მედალი საფრანგეთის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც მესამე ადგილისთვის მატჩში რუსეთი დაამარცხა.

■ ■ ■

ნახევრადპროფესიულ Drew League-ში თამაშით გაერთო NBA-ის ერთ-ერთი უმთავრესი ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი**. „მაიამის“ ლიდერმა „ჩიტერსის“ შემადგენლობაში ითამაშა და ამ გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა, თავად კი 33 ქულა მოათავსა კალათში.

„ბიჭებისთვის ნამდვილი საოცრება იყო მისი მოედანზე გამოჩენა. რთულია იმ ეფექტისა და ემოციების აღწერა, რაც იმ საათნახევრის განმავლობაში ვიხილეთ. ეს იყო Drew League-ის ისტორიაში საუკეთესო დღე“, - განაცხადა ლიგის დირექტორმა **დინო სმაილიმ**.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ NBA-ის წამყვანი კალათბურთელები ფილიპინების ჩემპიონატში მონაწილე მოთამაშეებისგან შემდგარ ნაკრებს ამხანაგური მატჩში გაეჯიბრნენ. თამაში ამერიკელებმა 131:105 მოიგეს. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, მოედანზე გასვლისთვის **კობი ბრაიანტმა**, **კევინ დურანტმა** და **დერიკ როუზმა** 400 ათასი დოლარი (თითოეულმა) მიიღეს.

თანაც ისინი ამ თანხიდან გადასახადს არ გადაიხდიან, რადგან მატჩი აშშ-ის ფარგლებს გარეთ გაიმართა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ისინბაევა და ჯოკოვიჩი

კასანო, ჯოკოვიჩი, ზეედორფი და იბრაჰიმოვიჩი

ნოვაკი მილანის ფანი ყოფილა

მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ამერიკული ტურნირების წინ აქტიურ დასვენებას აგრძელებს. ბოლო დღეებში სერბმა ჩოგბურთელმა მოასწრო თავისი საყვარელი კლუბის - „მილანის" საწვრთნელი ბაზის მონახულება და ფეხბურთელებთან შეხვედრა, შემდეგ კი მონაკოში მძლეოსნობის ტურნირს დაესწრო, სადაც ცნობილი რუსი მძლეოსანი **ელენა ისინბაევა** გაიცნო, აგრეთვე სპეციალურად მონყობილ საღამოზე შეხვდა პრინც **ალბერ II-ს** და მის მეუღლეს, პრინცესა **შარლინს**.

„მილანის" ბაზის მონახულებისას „დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ჩემპიონმა აღიარა, რომ მთელი ცხოვრება „მილანის" გულშემატკივარი იყო.

„ყოველთვის „მილანს" ვგულშემატკივრობდი და ახლა პირველად მომეცა გუნდის ბაზაზე მოხვედრის შესაძლებლობა. „როსონერის" ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული გუნდი იყოს. მამაჩემი „მილანის" ქომაგია და კლუბის მიმართ სიყვარული ბავშვობიდან გადამდო.

ახლა მე და ჩემს საყვარელ გუნდს ახალი ამბიციები გაგვიჩნდა. იტალიის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ „მილანი" მზად არის ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად, მე კი ვაპირებ, რაც შეიძლება დიდი ხანი დავრჩე კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე", - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

ამერიკული ჩოგბურთის გაღასარჩენად

ამერიკის ჩოგბურთის ასოციაცია 1.3 მილიონ დოლარს გამოყოფს ქვეყანაში ბავშვთა ჩოგბურთის განვითარებისთვის. ეს ფული გადაეცემა პროგრამას, რომელიც 10 წლამდე ჩოგბურთელთა დახმარებას ითვალისწინებს. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 26 სკოლა მიიღებს გრანტს 50 ათასი დოლარის ოდენობით. ამ ფულის დახმარებით მოედნები პატარა სპორტსმენებისთვის იქნება ადაპტირებული.

„წარმოიდგინეთ, რა სისულელე იქნება რვა წლის ბიჭმა ბეისბოლში ისეთივე ზომის მოედანზე იმეცადინოს, რომელზეც „ნიუ იორკ იანკი ზი" ვარჯიშობს, - ამბობს ჩოგბურთის ასოციაციის წარმომადგენელი **კურტ კემპერმანი**. - *სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ჩოგბურთში ჩვენ თავიდანვე ვაჩვევთ ბავშვებს სტანდარტული ნესებით სტანდარტულ მოედნებზე თამაშს. ეს ხელს არ უწყობს სპორტში მათ წინსვლას. ამიტომაც ვიწყებთ პროგრამას, რომლის წყალობითაც ბავშვები მცირე ზომის კორტებზე ითამაშებენ, ჩოგნებიც უფრო მჩატე იქნება და ბურთებიც - უფრო ნელი".*

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სახელოვანი ამერიკელი ჩოგბურთელი **ანდრე აგასი** და მისი მეუღლე, ლეგენდარული გერმანელი **შტეფი გრაფი**. ისინი ასოციაციის სარეკლამო კამპანიის სახეები იქნებიან.

ანდრე ოჯახთან ერთად

ფორმულა 1

ნიკს რენოდან აგდებენ?

ზაფხულის არდადეგების შემდეგ ლოტუს-რენოში ბრუნო სენას ელიან

სერიოზული ცვლილებები იგეგმება „ლოტუს-რენოში". როგორც ჩანს, ფრანგული საჯინიბოს ხელმძღვანელობას არ აწყობს ტრავმირებული **რობერტ კუბიცას** შემცვლელის **ნიკ ჰაიდფელდის** მიერ მიმდინარე სეზონში ნაჩვენები შედეგები და მისი შეცვლა გადაწყვიტა.

გუშინ „ლოტუს-რენოს" პრეს-სამსახურმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ უნგრეთში მომავალ სარბოლო უქმეებზე პარასკევის პირველ თავისუფალ პრაქტიკას არა ჰაიდფელდი, არამედ ბრაზილიელი **ბრუნო სენა** ჩაატარებს.

„აღელვებული ვარ იმის გამო, რომ საშუალება მექნება „ლოტუს-რენოს" საჭეს მივუჯდე. ძლიერ გუნდებში ასეთი შანსი იშვიათად ჩნდება და მადლობელი ვარ „ლოტუს-რენოს" ხელმძღვანელობის, რომელიც საკუთარი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას მაძლევს", - განაცხადა სენამ.

მაგრამ, როგორც ევროპული პრესა ვარაუდობს, ბრაზილიელმა პილოტმა, შესაძლოა, სულ მალე რბოლებში ჩაანაცვლოს ჰაიდფელდი. ირკვევა, რომ ივნისის შუაში „ლოტუს-რენოს" მფლობელი ბრაზილიას ეწვია და იქ მოლაპარკებები გამართა ბრუნო სენას პოტენციურ სპონსორებთან. სწორედ მაშინ გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, სენამ, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე შეცვალოს გერმანელი პილოტი. ახლა ამ თემაზე უფრო აქტიურად დაიწყეს ლაპარაკი, რადგან ბრუნო პარასკევის სესიაზე მიიწვიეს.

რამდენიმე დღის წინ ჰაიდფელდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ჰუნგარორინგზე" ახალ ჩასაბერ სისტემას გამოცდიდა, მაგრამ გუნდმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და ეს მისია სენას დააკისრა.

„ლოტუს-რენოს" ხელმძღვანელმა **ერიკ ბულიემ** რამდენჯერმე განაცხადა, რომ კმაყოფილი არ არის ჰაიდფელდის შედეგებით, თანაც გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს და სენას სპონსორები მისწრება იქნება საჯინიბოსთვის.

თუ ჭორებს დავუჯერებთ, „ლოტუს-რენოს" შემადგენლობაში ცვლილება ზაფხულის არდადეგების შემდეგ მოხდება, ბევრს კი გარანტირებული ჰგონია ბრუნო სენას ბრაზილიის გრანპრიზე გამოსვლა.

ბრუნო სენა

მაკლარენის პილოტები

ლუისი ხუთეულშია

სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ გერმანიის გრანპრის ფინიშს „მაკლარენის" პილოტები: სანამ **ლუის ჰემილტონი** პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შამპანურს მიირთმევდა, **ჯენსონ ბატონის** მანქანა მოშლილი ჰიდრავლიკის სისტემით ბოქსებში იდგა. ასე რომ, გერმანული უქმეების შედეგი არა მხოლოდ ბრიტანელ პილოტთა განწყობაზე, არამედ „კასტროლის" სარბოლო რეიტინგში მათ მდგომარეობაზეც აისახა.

ნიურბურგრინგზე გამართული რბოლის შემდეგ კლასიფიკაციაში პირველი ოთხი ადგილი უცვლელი დარჩა, სამაგიროდ, კვირას მოპოვებული გამარჯვების წყალობით ჰემილტონმა ხუთეულში დაიბრუნა ადგილი, რომელიც ორი კვირის წინ დაკარგა. შოტლანდიელმა **დარიო ფრანკიტიმ** მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა ინდიკარის ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე და ისევ უკან დახევა მოუწია.

ბატონს კი გერმანიაში რბოლის მიტოვება რეიტინგში მერვე ადგილის დაკარგვად დაუჯდა. 2009 წლის ჩემპიონს მოაკლდა ქულები, რომელიც შარშან ამ დროს სილვერსტოუნის რბოლაში მეოთხე ადგილზე გასვლისთვის მიიღო და ამიტომაც წინ გაუშვა ნასკარის სეზონის ლიდერი **კარლ ედვარდსი**. კიდევ უფრო მეტი - ოთხი პოზიცია დაკარგა **ნიკო როსბერგმა**, რომელიც 2010 წელს ბრიტანეთის გრანპრის პოდიუმზე იდგა. სამაგიეროდ, **ფელიპე მასამ** აიწია ორი საფეხურით - ახლა ბრაზილიელი მე-13 ადგილზეა.

უნდა აღვნიშნოთ **რომან გროსჟანიც** - GP2-ის პილოტი შესანიშნავ სეზონს ატარებს და რეიტინგში უკვე 39-ე ადგილზე იმყოფებდა. ის „ფორს ინდიას", „ტორო როსსა" და „უილიამსის" პილოტებზე მაღლა დგას, ასევე უსწრებს „ტურიზმის" კლასის ლიდერ **რობერტ ჰაფს**.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება

1. ს. ფეტელი (ფორმულა 1)	28 974
2. მ. უებერი (ფორმულა 1)	21 861
3. ფ. ალონსო (ფორმულა 1)	21 074
4. ს. ლოები (რალი)	19 869
5. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1)	18 637
6. დ. ფრანკიტი (IndyCar)	18 087
7. უ. პაუერი (IndyCar)	17 389
8. ჯ. ედვარდსი (NASCAR)	16 568
9. ჯ. ბატონი (ფორმულა 1)	16 163
10. ჯ. ჯონსონი (NASCAR)	15 013

ნიკო ასიანი გახდება

მარკ უებერმა რედ ბულთან კონტრაქტი გააგრძელა

„მერსედესის" პილოტი **ნიკო როსბერგი** ამ კვირას უნგრეთში თავის საიუბილეო, მეასე გრანპრის ჩაატარებს. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის **კეკე როსბერგის** ვაჟი 2006 წლიდან გამოდის ფორმულა 1-ში და დღემდე ერთი რბოლაც არ აქვს მოგებული - ეს ერთ-ერთი სარეკორდო სერიაა ჩემპიონატის ისტორიაში, მაგრამ გერმანელს სტატისტიკა არ ანაღვლებს.

„უნგრეთში მეასე გრანპრის ჩავატარებ - საოცარი ციფრია, თუნდაც იმიტომ, რომ მამაჩემი მთელი კარიერის განმავლობაში 114-ჯერ გავედა სტარტზე. სასიამოვნოა იუბილე, მაგრამ საერთო ჯამში სტატისტიკას ყურადღებას არ ვაქცევ.

მოუთმენლად ველი უნგრეთის გრანპრის. მომწონს ჰუნგარორინგი. იმედი მაქვს, ამჯერად უკეთ ჩაივლის ყველაფერი, ვიდრე შარშან, როცა ფინიშამდე ვერ მიავაღწიე. უნდა გავერკვეთ სარბოლო მახასიათებლებში, რადგან ნიურბურგრინგზე კვალიფიკაციაში მანქანა ისევ უფრო კონკურენტუნარიანი იყო, ვიდრე რბოლისას. დარწმუნებული ვარ, ამ პრობლემას გადავწყვეტთ და ერთი ნაბიჯით წინ წავიწევთ", - ამბობს „მერსედეს გრანპრის" პილოტი.

■ ■ ■

ფორმულა 1-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „რედ ბულის" ავსტრალიელი პილოტი **მარკ უებერი** უახლოეს დღეებში ერთი წლით გააგრძელებს კონტრაქტს ავსტრიულ საჯინიბოსთან.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ბევრი ჭორი დადიოდა იმის შესახებ, თითქოს უებერს „მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** ან „ტორო როსოს" რომელიმე წევრი შეცვლიდა, მაგრამ ახლა განცხადებით გამოვიდა „რედ ბულის" შეფი **კრისტიან ჰორნერი** - მისი თქმით, უებერთან ხელშეკრულების გაგრძელება გადაწყვეტილია და კონტრაქტზე ხელის მოწერა უბრალო ფორმალობა გახლავთ.



გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა